

ბესარიონ ბოხაშვილი
გიორგი მშვენერაძე
ირაკლი ყანდაშვილი

ექვემიტანილთა
საპროცესო უფლებები
საქართველოში

THE PROCEDURAL
RIGHTS OF SUSPECTS
IN GEORGIA

BESARION BOKHASHVILI
GIORGI MSHVENIERADZE
IRAKLI KANDASHVILI

ეჭვმიტანილთა
საკროცესო უფლებები
საქართველოში

THE PROCEDURAL
RIGHTS OF SUSPECTS
IN GEORGIA

BESARION BOKHASHVILI
GIORGI MSHVENIERADZE
IRAKLI KANDASHVILI

ბესარიონ ბოხაშვილი
გიორგი მშვენიერაძე
ირაკლი ყანდაშვილი

2016

წინამდებარე ნაშრომი გამოცემულია ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველო“ და „ღია საზოგადოება მართლმსაჯულების ინიციატივის“ ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით. ტექსტისა და კომენტარების ავტორების მიერ გამოხატული შეხედულებები, მოსაზრებები და განცხადებები მხოლოდ მათ ეკუთვნით და არ გამოხატავს ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოსა“ და „ღია საზოგადოება მართლმსაჯულების ინიციატივის“ მოსაზრებებს. შესაბამისად, არც ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“ და არც „ღია საზოგადოება მართლმსაჯულების ინიციატივა“ მასალის შინაარსზე პასუხს არ აგებენ.



სარჩევი

I. შესავალი	1
II. სისხლის სამართლის მართლმსაჯულება საქართველოში	5
III. პირის დაკავება: გამოძიების და სასამართლო ეტაპები საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის თანახმად	12
პირის დაკავება	14
აღამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ პირის დაკავებასთან დაკავშირებით დადგენილი სტანდარტები	14
1) დაკავების ან დაპატიმრების მიზანი	14
2) ტერმინი "გონივრული ეჭვის" მნიშვნელობა	14
3) ტერმინი „სამართალდარღვევა“	15
დაკავების პროცედურა საქართველოში	15
დაკავებიდან პირველი 48 საათი	20
ტარჭიშინისა და ტარგამანგა ხელისაწვდომობის უფლება	25
საერთაშორისო სტანდარტები	25
სტანდარტები საქართველოში	26
კოლიციის მიერ პირის დაკავება და იურიდიული დახმარება საქართველოში (საკანონმდებლო და კრეატიული ასპექტები)	29
აღამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საფუძველზე დამკვიდრებული სტანდარტები	29
სამართლებრივი წარმომადგენლობის სისტემა საქართველოში (საქართველოს აღვოკატთა ასოციაცია)	31
სამართლებრივი დახმარების უფლება, იურიდიული დახმარება და დაკავების შემდგომი კომუნიკაცია საქართველოში	38
მონიტორინგის დროს იდენტიფიცირებული კრეატიული ასპექტები	40
იურიდიული დახმარება სისხლის სამართლის საქმეებზე	41
კრეატიული განხორციელება	46
ინფორმაციის მიღების უფლება	51
ევროპული სტანდარტები	51
ინფორმაციის მიღების უფლება საქართველოში	53

კოლიციის მიერ პირის დაკითხვა და დუმილის უფლება	56
დაკითხვისა და დანაშაულის არ დაბრალების ევროკული სტანდარტები	56
პირის დაკითხვა და დუმილის უფლების გამოყენება საქართველოში	58
სამედიცინო დახმარებით სარგებლობის უფლება	60
ევროკული სტანდარტები	60
საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა	62
სპეციალური დაცვის მეთაურები ბავშვებისა და სხვა მოწყვლადი ექვმიტანილებისათვის	62
საერთაშორისო სტანდარტები	62
სტანდარტები საქართველოში	65
დასკვნები და რეკომენდაციები	68
რეკომენდაციების ჩამონათვალი	76
დანართი	81
ექვმიტანილთა უფლებები კოლიციის დროს დაკავებისას - მოლდოვა	82
ადამიანის უფლებები დახურულ კარს მიღმა - უკრაინა	88
პირის დაკავება აღმოსავლეთ ევროპაში: ექვმიტანილის უფლებების პრაქტიკული განხორციელება საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში	92

ეჭვმიტანილთა
საკროცესო უფლებები
საქართველოში

ბესარიონ ბოხაშვილი
გიორგი მშვენიერაძე
ირაკლი ყანდაშვილი

დაკავებულ და/ან დაპატიმრებულ პირთა უფლებების ეფექტური დაცვა ნებისმიერი სამართლიანი სამართალწარმოების პროცესის წინაპირობაა. საქართველოს კონსტიტუცია, ასევე საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები თითოეული დაკავებული პირის სამართლებრივი დაცვის კონკრეტულ მექანიზმებს წარმოადგენს. ამ დოკუმენტებით გარანტირებული უფლებები მხოლოდ თეორიული ან ილუზორული არ არის, არამედ პრაქტიკული და ეფექტურია. ნებისმიერი დაკავებული პირი სარგებლობს მინიმალური სამართლებრივი გარანტიებით, რაც უზრუნველყოფს თავისუფლების აღკვეთის პირველივე წუთიდან მის უფლებას, მიიღოს ინფორმაცია დაკავების მიზეზებისა და დასაბუთების შესახებ; ამ ინფორმაციის მისთვის გასაგებ ენაზე მიღების უფლებას; იურიდიული კონსულტაციის მიღებისა და სამართლებრივი წარმომადგენლის ყოლის უფლებას, ასევე სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას. ეს უფლებები შესაძლებლობას აძლევს ბრალდებულს, დააყენოს მისი დაკავების კანონიერების საკითხი ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოების წინაშე, შეწყვიტოს უკანონო თავისუფლების აღკვეთა და მოითხოვოს კომპენსაცია დაკავების არაკანონიერად ცნობის შემთხვევაში. უფრო მეტიც, ამ უფლებების დაცვა დაკავების პირველივე წუთებიდან უმნიშვნელოვანესია შემდეგი მოსაზრებებით:

პირველ რიგში, ეს უფლებები საფუძვლად უდევს არა მხოლოდ ადამიანის თავისუფლებისა და უსაფრთხოების, არამედ სამართლიანი სასამართლოს უფლებასაც. ეს განსაკუთრებით აქტუალურია დაკავებულ და/ან ბრალდებულ პირებთან მიმართებაში სამართალდამცავების მხრიდან მათი შეურაცხყოფის ან ზეწოლის თავიდან აცილების თვალსაზრისით. ეს სამართლებრივი გარანტიები მართლმსაჯულების ხარვეზების თავიდან აცილებისა და სამართლიანი სასამართლოს მიზნების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა. ამავე დროს, თანაბარ პირობებში აყენებს როგორც საგამოძიებო ან ბრალდების მხარეს, ასევე დაკავებულ/ბრალდებულ პირს;

მეორე - განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს გამოძიებას, რომელსაც სისხლის სამართლის პროცესის დაწყება მოყვება, ვინაიდან ამ პროცესის განმავლობაში მოპოვებული ნებისმიერი მტკიცებულება განსაზღვრავს ბრალეულობას, რომელიც სასამართლოზე იქნება განხილული. დაკავებული თუ ბრალდებული პირი განსაკუთრებით მოწყვლადია უშუალოდ დაკავების მომენტისათვის. ამ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს რთული სისხლის სამართლის კანონმდებლობა, განსაკუთრებით კი მტკიცებულებათა შეგროვებისა და მოპყრობის წესები. უმეტეს შემთხვევებში, ამ მდგომარეობის შემსუბუქება

მხოლოდ ადვოკატის მეშვეობითაა შესაძლებელი, რომელსაც სხვა ფუნქციებთან ერთად ევალება დაიცვას ბრალდებულის უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული. *ეს უფლება აკეთებს წინასწარ დაშვებას, რომ პროკურატურა სისხლის სამართლის საქმეში ცდილობს დაამტკიცოს საკუთარი საქმე ბრალდებულის წინააღმდეგ და ამ დროს არ გამოიყენოს ისეთი მტკიცებულება, რომელიც მოპოვებულია იძულების გზით, ან ბრალდებულის სურვილის წინააღმდეგ.*

მესამე, წარმოდგენილი სამართლებრივი დაცვის მექანიზმების ადრეულ ეტაპზე ხელმისაწვდომობა პრაქტიკაში უზრუნველყოფს ბრალდებულის დაცვას დანაშაულის დაბრალებისაგან და არასწორი მოპყრობისაგან.

წარმოდგენილი კვლევის მიზანია, ქართულ რეალობაში ზემოთ-ხსენებული უფლებების პრაქტიკულ განხორციელებაზე დაკვირვება და შეფასება. პოლიციის მიერ პირის დაკავება სისხლის სამართლის პროცესის (ზოგადად და არა მხოლოდ საქართველოში) ყველაზე სუსტ და პრობლემურ ეტაპად ითვლება, ვინაიდან ის ქვეყნების უმეტესობაში ბრალდებულის საპროცესო უფლებების დაცვას უკავშირდება. შესაბამისად, განსაკუთრებით საინტერესოა გავარკვიოთ, როგორ უზრუნველყოფენ ამ უფლებების დაცვას სამართლდამცავები საქართველოში და როგორ ხდება ამ უფლებების პრაქტიკაში გამოყენება.

კვლევის ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერისათვის განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს და ღია საზოგადოება მართლმსაჭულების ინიციატივას, რომელთაც კვლევის ავტორებს გაუწიეს რეკომენდაციები და მიაწოდეს კვლევისათვის საჭირო მასალები, მოაწვეეს მულტინაციონალური შეხვედრები და ხელი შეუწვეეს გამოცდილების გაზიარებას ქართველ, უკრაინელ და მოლოდველ ექსპერტებს შორის და ორგანიზაციული და ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინეს ექსპერტებს წინამდებარე კვლევის პერიოდში.

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას, კერძოდ კი კრიმინალური პოლიციის ცენტრალურ დეპარტამენტს, რომელმაც საშუალება მისცა კვლევის ავტორებს, შეუფერხებლად ემუშავათ კონკრეტულ პოლიციის დაწესებულებებში თბილისში, ქუთაისსა და თელავში. ფონდ ღია საზოგადოება საქართველოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის თანახმად, ექსპერტებს და მკვლევარებს საშუალება ჰქონდათ, მონიტორინგი ეწარმოებინათ კონკრეტული პოლიციის დაწესებულებებში ზემოთ ხსენებულ ქალაქებში, დასწრებოდნენ მოწმეთა და ბრალდებულთა დაკითხვებს, მოეხდინათ ამ პროცესის

დოკუმენტირება და პოლიციის მოხელეების გამოკითხვა. ურთიერთ-გაგების მემორანდუმის საფუძველზე, მათ უფლება ჰქონდათ, დაკვირვებოდნენ თითქმის ყველა ტიპის სისხლის სამართლის საქმის დაკითხვას, მძიმე დანაშაულის საქმეების გამოკლებით. მძიმე დანაშაულების შემთხვევაში, უფროსი პოლიციის მოხელეები საკუთარი დისკრეციით წყვეტდნენ, მიეცათ თუ არა მკვლევარებისათვის დასწრების უფლება. ამგვარად, ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ენახათ დაკავებულთა პირობები დაკავებიდან პირველი საათებისა და დღეების განმავლობაში, შეეფასებინათ ამ პერიოდში ადვოკატების როლი და ბრალდებულების რეალური შესაძლებლობა, ესარგებლათ საკუთარი უფლებებით. წარმოდგენილი ემპირიული მონაცემები ექსლუზიურად სამ პოლიციის დაწესებულებაში ექსპერტების მიერ განხორციელებული დაკვირვებების შედეგია. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნები და მიგნებები ძირითადად სწორედ ამ პოლიციის განყოფილებებში განხორციელებულ დაკვირვებებს ეფუძნება.

წინამდებარე კვლევა ქართველი ექსპერტების 3 კაცთანა ჯგუფმა განახორციელა: ბესარიონ ბოხაშვილმა (ჯგუფის ხელმძღვანელი), ირაკლი ყანდაშვილმა და გიორგი მშენიერაძემ.

2014 წლის 9 ოქტომბრიდან 9 დეკემბრის პერიოდში, მკვლევარებს შეუფერხებლად შეეძლოთ შესვლა თბილისის, ქუთაისისა და თელავის პოლიციის კონკრეტულ დაწესებულებებში. 2 თვიანი მონიტორინგის პერიოდში, მკვლევარები დღეში 4-6 საათს ატარებდნენ ამ დაწესებულებებში და საშუალება ჰქონდათ, დასწრებოდნენ 22 პირის დაკითხვას. ამ 22 პირიდან 11% ქალბატონი იყო და 89% მამაკაცი. მკვლევარები მხოლოდ ერთი არასრულწლოვანი პირის გამოკითხვას დაესწრნენ მთელი მონიტორინგის პროცესში. მკვლევართა ჯგუფმა აღნიშნა, რომ პოლიციამათარაფერში არზღუდავდა დამონიტორინგის პროცესი ორმხრივი პატივისცემისა და ურთიერთგაგების გარემოში განხორციელდა.

ამასთან, 2 კვირის განმავლობაში მკვლევარებს შესაძლებლობა ჰქონდათ ადგილზე გაცნობოდნენ კერძო საადვოკატო ფირმებს მუშაობას და მიეღოთ ინფორმაცია რამდენიმე სისხლის სამართლის საქმის შესახებ. ექსპერტებმა სულ 19 (11 თბილისში, 3 თელავში და 5 ქუთაისში) ადვოკატი გამოკითხეს, რომელთაც შესაბამისი გამოცდილება გააჩნდათ სისხლის სამართლის საქმეებში. ადვოკატებმა თავიდანვე განაცხადეს თანხმობა, მკვლევარებისათვის გაეზიარებინათ ინფორმაცია იმ შემთხვევაში, თუკი მათი კლიენტებიდან რომელიმე იმ პოლიციის განყოფილებაში იქნებოდა დაკავებული, სადაც ექსპერტებს შესვლის ნებართვა ჰქონდათ.

დამატებით 2 შეხვედრა გაიმართა საქართველოს იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორთან, მელიტომ ბენიძესთან. შეხვედრებზე განიხილეს იურიდიულ დახმარებასთან დაკავშირებული დებულებები, მიიღეს ინფორმაცია არსებულ საკანონმდებლო ხარვეზებზე და ისაუბრეს ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო სტრატეგიისა და ხედვის შემუშავებაზე.

ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა სხვადასხვა პერსპექტივიდან დაკვირვებოდა და უკეთესად შეესწავლა როგორ იყო ბრალდებულის უფლებები დაცული - კერძოდ კი, დაკითხვებზე დასწრებით და მათზე მონიტორინგით, პოლიციის თანამშრომელთა, გამოძიებელთა და დაცვის ადვოკატთა მიერ ჩატარებულ გამოკითხვებზე დასწრებით - რათა უფრო დეტალურად გაცნობოდნენ ამ პროცესებთან დაკავშირებულ პრაქტიკულ შეზღუდვებს. ექსპერტებს არ მიეცათ საშუალება მართო გასაუბრებოდნენ წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს, ვინაიდან ურთიერთგაგების მემორანდუმი მსგავს შესაძლებლობას არ ითვალისწინებდა. შესაბამისად, ექსპერტებს არ გამოუკითხავთ წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები.

წინამდებარე ნაშრომი განიხილავს შემდეგ უფლებებს:

- i. ინფორმაციის მიღების უფლება - დაკავებული პირის უფლება, მიიღოს ინფორმაცია მისი საპროცესო უფლებების შესახებ; უფლება, მიიღოს ინფორმაცია დაკავების ან დაპატიმრების მიზეზების და მისთვის წაყენებული ბრალის შესახებ; საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობის უფლება;
- ii. ადვოკატის ყოლის უფლება - რაც გულისხმობს დროულ და ხარისხიან იურიდიულ დახმარებას; ადვოკატის როლს; იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობას;
- iii. დუმილის უფლება;
- iv. სამედიცინო დახმარების მიღების უფლება;
- v. მოწყვლადი პირების შემთხვევაში განსაკუთრებული დაცვის უზრუნველყოფის უფლება - იგულისხმება ბავშვები, ფსიქიკური პრობლემების მქონე პირები, ეთნიკური უმცირესობები და უცხოელები ან პირები, რომლებიც არ ფლობენ სახელმწიფო ენას.

წინამდებარე ნაშრომში თავმოყრილია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაკეთებული მიგნებები, დასკვნები და რეკომენდაციები. მიგნებების კონტექსტუალიზაციისა და სხვადასხვა პერსპექტივის წარმოდგენის მიზნით, კვლევა ასევე მოიცავს შედარებით მონაცემებს სხვა ქვეყნებში დამკვიდრებული ნორმების, საუკეთესო პრაქტიკებისა და რეფორმების შესახებ.

II. სისხლის სამართლის მართლმსაჯულება საქართველოში

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, სისხლის სამართლის სფერო მთავრობის პრიორიტეტული თემების ჩამონათვალის სათავეში მოხვდა და სამართლიანადაც. ამ მიმართულებით განხორციელებული რეფორმები სისხლის სამართლის სფეროში არსებულ მრავალმხრივ პრობლემებზე იყო მიმართული. ერთის მხრივ, გავრცელებული დანაშაულისა და კორუფციის არსებობა როგორც სამართალდამრღვევებში, ისე სასამართლოში მკაცრი ზომების გატარებას და დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის სახელმწიფო მიდგომის შეცვლას მოითხოვდა. მეორეს მხრივ კი, ასევე საჭიროებდა საზოგადოების მიერ დანაშაულის აღქმის შეცვლას, სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლოსადმი საზოგადოებრივი ნდობის გაზრდას.


სწორედ ამ მოსაზრებებით, საქართველოს ხელისუფლებამ ოფიციალურად განაცხადა დანაშაულისა და მაფიის ხელმძღვანელების (ქურდული სამყაროს/კანონიერი ქურდების) წინააღმდეგ “ნულოვანი ტოლერანტობის” პოლიტიკის შემოღების შესახებ. საქართველოს პარლამენტმა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში რამოდენიმე ცვლილება შეიტანა, რომელიც კრძალავდა კანონიერი ქურდების არსებობას და დანაშაულებრივ სამყაროსთან კავშირს, რომლის შემთხვევაშიც დამნაშავეებს 8-დან 10 წლამდე პატიმრობა ემუქრებოდათ. 2014 წლის გადაწყვეტილებაში საქმეზე “აშლარბა საქართველოს!” წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ 2005 წლის 20 დეკემბერს ორი ახალი დანაშაულის წარდგინებით, კერძოდ “ქურდული სამყაროს წევრობა” და “კანონიერი ქურდობა”, საქართველოს კანონმდებლობამ მხოლოდ ამ ცნებების და დანაშაულებრივ (“ქურდულ”) სუბკულტურასთან დაკავშირებული ქმედებების კრიმინალიზაცია მოახდინა, რომელთა ზუსტი მნიშვნელობა ფართო საზოგადოებისათვის უკვე ისედაც კარგად იყო ცნობილი.

ამ პოლიტიკამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა საქართველოში დანაშაულის შემცირებაზე (2014 წელს საქართველო 10 ყველაზე უსაფრთხო ქვეყნის სიაში მოხდა¹). სტატისტიკური მონაცემები აშკარად მიუთითებდა დანაშაულის რიცხვის შემცირებაზე ბოლო 5 წლის განმავლობაში. 2009 წელს საქართველოში რეგისტრირებულ იქნა 35,949 დანაშაულის ფაქტი. მომდევნო წლებში ეს რიცხვი თანდათანობით შემცირდა: 2010 წელს - 34,739 შემთხვევა დაფიქსირდა, 2011-ში 32,263, 2013 წლის იანვარ-აგვისტოში - 21,046, ხოლო 2014 წლის იანვარ-აგვისტოში 17,458 შემთხვევა³.


1. 2014 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება, განაცხადი #. 45554/08

2. იხ. ბმული: www.lifestyle9.com/top-10-safest-countries-to-live-in-the-world/; Accessed [October 1, 2015]

3. იხ. ბმული: <http://police.ge/ge/useful-information/statistics/statistics1?y=2014>; Accessed [October 1, 2015]




2007 - 2011 წლებში დანაშაულის კუთხით განხორციელებული პოლიტიკა უფრო სადამსჯელო ხასიათის იყო, ხოლო 2012 წელს გატარებულ პოლიტიკას შეიძლება უფრო ლიბერალური ვუწოდოთ. 2007-2011 წლების ოფიციალური სტატისტიკა სასჯელების რაოდენობის მთლიან და თანდათანობით შემცირებაზე მიუთითებს. 2007 წელს გამოტანილი სასჯელების რაოდენობა 21,246 იყო, ხოლო 2011 წელს ეს ციფრი 18,212-მდე შემცირდა. საქართველოს სასამართლოების მიერ 2012 წელს 11,043 განაჩენი იქნა გამოტანილი, 2013-ში 15,240, ხოლო 2014 წელს 16,903.




ნულოვანი ტოლერანტობის და სადამსჯელო პოლიტიკამ საქართველოს სასჯელალსრულების სისტემაში პატიმართა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაზარდა. პატიმართა რიცხვმა 2011 წელს უმაღლეს ნიშნულს - 24,114-ს მიაღწია. სასამართლოები ბრალდებულის დაკავების შესახებ პროკურატურის თითქმის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდნენ. 2008- 2012 წლებში სასამართლომ წინასწარი პატიმრობის მოთხოვნის 90% დააკმაყოფილა. 2013

წლიდან მოყოლებული, წინასწარი პატიმრობების შეფარდების მარკენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ სასამართლო უფრო მეტ მტკიცებულებას სთხოვდა ბრალდების მხარეს წინასწარი პატიმრობის აუცილებლობის დასაბუთებლად.

პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე წინასწარი პატიმრობის შეფარდება



2011 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველო მეექვსე ადგილზე მოხვდა იმ ქვეყნებს შორის, სადაც ერთ სულ მოსახლეზე პატიმართა რაოდენობა ყველაზე მაღალი იყო (505 პატიმარი / 100 000 კაცზე⁴). თუმცა, 2012 წლის 28 დეკემბერს ახალმა მმართველმა პარტიამ წინა წლებში საქართველოს ციხეებში გავრცელებული არასწორი მოპყრობის საპასუხოდ ფართომასშტაბიანი ამნისტია გამოაცხადა. ამნისტიის შედეგად ციხის მოსახლეობის რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა - 2013 წლის მონაცემებით, პატიმართა რაოდენობა 9,093 იყო (204 პატიმარი / 100,000 კაცზე).



4. იხ. ბმული Available online < <http://chartsbin.com/view/eqq> > გამოქვეყნებულია 2011 წლის 2 თებერვალს, ნანაბია [2015 წლის 1 ოქტომბერს].

2010 წლის ოქტომბერში ძალაში შესული ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

2009 წელს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის⁵ (სსსკ) მიღებას წინ უძღვოდა ხანგრძლივი დისკუსიები და აზრთა სხვადასხვაობა დაინტერესებულ მხარეებს შორის. ასობით ცვლილება დაემატა ძველ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, რაც მას ბუნდოვანს, ხოლო დებულებებს არასათანადოდ მდგრადს ხდიდა.

2010 წლამდე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ინკვიზიციური იყო. ამისაგან განსხვავებით, ახალმა კოდექსმა, რომელიც ძალაში 2010 წლის 1 ოქტომბერს შევიდა, ინკვიზიციური პროცესი შეჭიბრებითი ჩაანაცვლა. ახალი კოდექსის ძირითად ინოვაციები იყო: ნაფიც მსაჯულთა სისტემის შემოღება; მხარეებისათვის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარისათვის მტკიცებულებათა მოპოვების და სასამართლოს წინაშე წარდგენის თვალსაზრისით; მოსამართლე გახდა მსაჯული, რომელსაც არ აქვს უფლება, საკუთარი ნებით მოითხოვოს მტკიცებულება ან დაავალოს მხარეებს სხვა საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარება; ბრალეულობის მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარეს დაეკისრა; აიკრძალა სამართალდამცავ დაწესებულებებში მოწმის დაკითხვა მისი თანხმობის გარეშე; შემოღებულ იქნა მოწმეთა სასამართლოში დაკითხვის წესი.

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მთავარი მიზანი შეჭიბრებითი სასამართლოს შექმნისათვის საჭირო სამართლებრივი ბაზის შექმნა იყო: სასამართლო პროცესები, რომლებშიც თანაბრად არის გათვალისწინებული როგორც სახელმწიფო ინტერესები, ასევე დაცულია ბრალდებულის უფლებები, მოსამართლე კი ნეიტრალური და მიუკერძოებელი მსაჯულია, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიან სასამართლო პროცესს.

ახალი სისხლის სამართლის კოდექსი მოიცავს უფლებების უკეთეს განმარტებებს და სამართლიანი პროცესის დაცვის მექანიზმებს დაკავებულთათვის, სასამართლოს სისწრაფის გაზრდაზე მიმართულ ღონისძიებებს, რაც პოტენციურად ამცირებს პატიმრობის ვადებს. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს, რომ ბრალდებულის დაკავების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს და რომ ბრალდებულს დაკავებიდან 48 საათში უნდა წაუყენონ ბრალი. დაკავებისას ბრალდებულს უნდა განემართოს ყველა სამართლებრივი უფლება, რომლითაც ის სარგებლობს და ნებისმიერი დაკავების შემდეგ გაკეთებული განცხადება, რომელიც უფლებების განმარტებამდე გაკეთდება, უნდა ჩაითვალოს

5. ძალაში შევიდა 2010 წლის 1 ოქტომბერს.

დაუშვებლად და ამოღებული იქნას სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უფლებას აძლევს სამართალდამცავ პირებს, განსაკუთრებულ შემთხვევებში სასამართლოს განჩინების გარეშე დააკავონ პირი. კანონი განსაზღვრავს, რომ დაკავებული პირი უნდა წარედგინოს მაგისტრატ მოსამართლეს და ამ უკანსკნელმა 72 საათის განმავლობაში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება წინასწარი პატიმრობის შეფარდების ან გათავისუფლების შესახებ. პირი, რომელსაც ამ პერიოდის განმავლობაში ვერ წარუდგენენ ბრალს, უნდა გათავისუფლდეს. მთავარი პროკურატურა ერთადერთი ორგანოა, რომელსაც უფლება აქვს, პირდაპირ მიმართოს სასამართლოს.

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პატიმრობასთან შედარებით უპირატესობას ბრალდებულის წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლებას ანიჭებს; კოდექსი მოიცავს ნათლად განსაზღვრულ პირობებს და ბრალდებულის დაცვის მექანიზმებს საპროცესო შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებების, დასკვნების გაკეთებისა და მისი დამტკიცების პროცესში; ასევე გვთავაზობს უფრო პროგრესულ გირაოს და სხვა მექანიზმებს ბრალდებულის წინასასამართლო პროცესში და სასამართლოში ყოფნის საგარანტიოდ. ეს ყველაფერი კი ხელს უწყობს იმ ბრალდებულთა რიცხვის შემცირებას, რომლებიც სასამართლო პროცესის დროს იმყოფებიან პატიმრობაში.

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მეტ შესაძლებლობას აძლევს ბრალდების და დაცვის მხარეებს, ისარგებლონ თანაბარი უფლებებით მტკიცებულებების მოპოვებისა და წარდგენის თვალსაზრისით. ბრალდების მხარე ვალდებულია, ყველა მოპოვებული მტკიცებულება გაუზიაროს ბრალდებულს და წინა სასამართლო მოსმენამდე 5 დღით ადრე გაამჟღავნოს მისთვის ხელმისაწვდომი მტკიცებულებები. 2013 წლიდან მოყოლებული, ბრალდებულს შეუძლია მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით მესამე პირის ხელთ არსებული მტკიცებულებების ამოსაღებად ჩხრეკისა და ამოღების ნებართვის მოთხოვნით.

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ასევე, იძლევა სამართლიანი პროცესის გარანტიებს. ეს გარანტიებია: დაკავებულისა და ბრალდებულის უფლებები, მიიღოს ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ დაკავებისთანავე; ისარგებლოს სწრაფი, სამართლიანი და უწყვეტი სასამართლო პროცესით; ბრალის დამტკიცებამდე ითვლებოდეს უდანაშაულოდ და დარწმუნებული იყოს, რომ მოსამართლე არ ჩაატარებს ცალკე გამოძიებას და მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს განიხილავს პირის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის გასარკვევად. ახალი

კოდექსი იცავს პირის უფლებას, არ დაიბრალოს დანაშაული და გონივრულ ვადას და საშუალებას აძლევს დაცვის მხარეს, გაეცნოს პროკურატურის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებს.

ახალი კოდექსის თანახმად, ბრალდებულს უფლება აქვს, მოითხოვოს წინასასამართლო ეტაპზე გაკეთებული აღიარების დაფარვა და მთავარი სხდომიდან ამოღება ყოველგვარი მიზეზისა თუ პოლიციის მხრიდან არასწორი ქმედების ჩადენის წარმოდგენის გარეშე. თუკი ბრალდებული არ მოითხოვს მისი აღიარების დაფარვას და თუ ეს მხოლოდ ბრალდებულის სტატუსით გაკეთებული აღიარება იყო, ის არ იქნება გამოყენებული მის წინააღმდეგ. პირის ბრალეულობის დამტკიცებამდე, წინასწარი აღიარების გარდა, აუცილებელია არსებობდეს დამატებითი მტკიცებულებები. ახალი სტანდარტით, პროკურატურამ წინასასამართლო ეტაპზე ალბათობის მაღალი ხარისხით უნდა წარმოაჩინოს პირის ბრალეულობა. თუკი პროკურორი ვერ შეძლებს მტკიცების ტვირთის აღებას, სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმე და გაათავისუფლოს დაკავებული ბრალდებული.


კოდექსი დამატებით გარანტიებს იძლევა სწრაფი სასამართლოს უზრუნველსაყოფად მკაცრი ვადების ახალი სერიის მეშვეობით: წინასასამართლო სხდომა ბრალდებულის დაკავებიდან 60 დღის ვადაში უნდა დაინიშნოს. თუკი პირველი 60 დღის განმავლობაში წინასასამართლო სხდომა არ გაიმართება, ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს. მთავარი სხდომა წინასწარი მოსმენიდან 14 დღის ვადაში უნდა გაიმართოს. ბრალდებულის წინასწარ პატიმრობაში ყოფნის მთლიანი ხანგრძლივობა 9 თვემდე შემცირდა, რომლის დროსაც უნდა დაიწყოს მთავარ სხდომასთან დაკავშირებული წარმოება. ხსენებული ვადების გახანგრძლივება შესაძლებელია ბრალდებულის შუამდგომლობის საფუძველზე. საწყის ეტაპზე პროკურატურა შეზღუდული შესაძლებლობების გამო ვერ სარგებლობდა დაჩქარებული ვადებით. მაგალითად: პროკურორს მხოლოდ ერთხელ ჰქონდა წინასასამართლო სხდომის გადადების მოთხოვნის უფლება, თუმცა ეს წესი შეიცვალა და ამჟამად პროკურატურას შეუზღუდავი დროით შეუძლია წინასასამართლო სხდომის გადადების მოთხოვნა.

ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ძველთან შედარებით უფრო ნათლად არის განსაზღვრული ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფორმა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოსთან მიმართებაში მიღებულ გადაწყვეტილებას ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიიჩნევს და დაინტერესებულ მხარეებს წარმოების გასაახლებლად სააპელაციო სასამართლოსათვის მიმართვის საშუალებას აძლევს.

მიუხედავად იმისა, რომ ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ბევრი დადებითი ცვლილება იქნა შეტანილი, მაინც რჩება მნიშვნელოვანი ხარვეზი, რომელიც ზეგავლენას ახდენს ბრალდებისა და დაცვის მხარეების თანასწორობის ცნებაზე. წინასასამართლო გამოძიების ეტაპზე მოწმის ნებაყოფლობითი და არა იძულებითი დაკითხვის შესახებ ცვლილების შემოღება რამდენჯერმე გადაიდო და ძალაში მხოლოდ 2016 წლის იანვარში შევა.

საპროცესო შეთანხმება საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში ბოლო ათწლეულის განმავლობაში განხორციელებულ ერთერთ უმთავრეს ნოვაციად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან ის საქმის არსებითი განხილვის გარეშე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას იძლევა. საპროცესო შეთანხმების საფუძველს ბრალის აღიარება წარმოადგენს. საპროცესო შეთანხმებამ გარკვეული უკმაყოფილება გამოიწვია საერთაშორისო და რეგიონულ ადამიანის უფლებების დამცველ ორგანიზაციებში, რომლებიც საქართველოს მთავრობას ამ სისტემის დახვეწისაკენ მოუწოდებენ. მიუხედავად ამისა, 2014 წლის გადაწყვეტილებაში **საქმეზე ნაცვლიშვილი და ტოვონიძე საქართველოს წინააღმდეგ**, ევროპის სასამართლომ განაცხადა, რომ საპროცესო შეთანხმება თავისი არსით არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტებს.

ხელმისაწვდომი მონაცემები ნათლად მიუთითებს, რომ საპროცესო შეთანხმება ფართოდაა გავრცელებული საქართველოში და ბოლო 5 წლის განმავლობაში სისხლის სამართლის საქმეების აბსოლუტური უმრავლესობის შემთხვევაში იყო გამოყენებული. საპროცესო შეთანხმების გამოყენების სიხშირე თანდათანობით იზრდებოდა და პიკს 2013 წელს მიაღწია, როდესაც განხილული საქმეების 89% საპროცესო შეთანხმებით დასრულდა. თუმცა, 2014 წელს (პირველი 11 თვის განმავლობაში), საპროცესო შეთანხმებების გამოყენება საქმეების მთლიან რაოდენობასთან შედარებით შემცირდა და მხოლოდ 70% შეადგინა.




III. პირის დაკავება: გამოძიების და სასამართლო ეტაპები საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის თანახმად

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, პროკურორმა პირის დაკავებიდან 48 საათის განმავლობაში უნდა მიმართოს მოსამართლეს შუამდგომლობით პირისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია ბრალდებულის დაკავების ან პატიმრობის დაწესებულებიდან სასამართლოში გადაყვანა ავადმყოფობის, ბუნებრივი კატასტროფის ან სხვა ნებისმიერი ობიექტური მიზეზის გამო, მოსამართლემ სასამართლო პროცესი შეიძლება პატიმრობის დაწესებულებაში გამართოს. იმ შემთხვევაში, თუკი დაკავებიდან 48 საათის განმავლობაში ვერ მოხერხდება შუამდგომლობის დაყენება, ბრალდებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. 2013 წელს 16,536 პირი დააკავეს და მოათავსეს წინასწარი დაკავების დაწესებულებაში. 16,536 დაკავებულიდან 14,237 პირი სასამართლოს წინაშე წარსდგა.

დროებითი დაკავების იზოლატორებში მოთავსებული პირები



საქართველოს კანონმდებლობით, მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ბრალდებულის აღიარება არასაკმარისია, თუ ის არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით⁶. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლოს (ნაფიც მსაჯულებს) არ უნდა წარედგინოს მტკიცებულება, თუ მხარეებს მისი უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის თანაბარი შესაძლებლობა არ ჰქონდათ. ამასთან, მხარეს უფლება აქვს სასამართლოში მოითხოვოს

6. მუხლი 13, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

მოწმის უშუალოდ დაკითხვა და წარადგინოს მტკიცებულება⁷. სისტემის შეჯიბრობითობიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მხარეებს, როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარეს საკუთარი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს და არც ერთს არ ანიჭებს უპირატესობას. ხოლო სასამართლოს ავალდებულებს, თავი შეიკავოს დამოუკიდებლად პირის დამნაშავეობის ან უდანაშაულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვებისა და გამოკვლევისაგან. კოდექსი მტკიცებულებათა მოპოვებისა და წარდგენის ექსკლუზიურ უფლებას მხარეებს ანიჭებს⁸. უფრო მეტიც, ახალი კოდექსის თანახმად, მოპოვებული მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით. აუცილებელია, გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის⁹.

კოდექსი პირდაპირ აცხადებს, რომ თუკი ბრალდებული წინააღმდეგია, დაუშვებელია საქმის არსებით განხილვამდე მის მიერ მოწმის სტატუსით მიცემული ინფორმაციის სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვა და ამ ინფორმაციის აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება) და მისი მტკიცებულებად გამოყენება. მიცემული ინფორმაციის საჯაროდ წაკითხვაზე ან მისი აუდიო, ან ვიდეოჩანაწერის მოსმენაზე (დემონსტრირებაზე) ბრალდებულის უარი არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად¹⁰.

7. მუხლი 14, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

8. მუხლი 25, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

9. მუხლი 82, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

10. მუხლი 247, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ პირის დაკავებასთან დაკავშირებით დადგენილი სტანდარტები

1) დაკავების ან დაპატიმრების მიზანი

ევროპის სასამართლოს დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის თანახმად, რომლის „მიზანია პირის კომპეტენტური სამართლებრივი უწყების წინაშე წარდგენა“, მუხლი 5§1 (c)-ში წარმოდგენილია დაკავების ან დაპატიმრების სამივე ალტერნატიული დასაბუთება¹¹. მუხლი 5§1 (c) თანახმად, პირის დაპატიმრება შესაძლებელია მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესის კონტექსტში და კომპეტენტური სამართლებრივი უწყების წინაშე წარდგენის მიზნით, თუკი არსებობს გონივრული ეჭვი, რომ მას ჩადენილი აქვს სამართალდარღვევა¹². ამ დებულების მეორე ალტერნატივაა „გონივრული მოსაზრება, რომ დაკავება აუცილებელია სამართალდარღვევის პრევენციისათვის“. ეს დებულება, ასევე, ვრცელდება წინასწარ პატიმრობაზე და არა პატიმრობაზე ალკვეთის მიზნებით, თუკი ხსენებული პირი უკვე არ არის ეჭვმიტანილი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში¹³.

მუხლი 5§1 (c) დაწესებული სტანდარტი არ მოიცავს ვარაუდს იმის შესახებ, რომ პოლიციას გააჩნია საკმარისი მტკიცებულება ბრალის წასაყენებლად დაკავების მომენტში ან პირის პატიმრობაში ყოფნის პერიოდში¹⁴. მე-5 მუხლის 1(c) პუნქტის თანახმად, პატიმრობის პროცესში დაკითხვის მიზანია გამოძიების გაგრძელება დაკავების საფუძვლის დასამტკიცებლად ან გასაქარწყლებლად¹⁵. ტერმინი „კომპეტენტური სამართლებრივი უწყება“ გამოიყენება იგივე მნიშვნელობით, როგორც „მოსამართლ ან სხვა მოხელე, რომელსაც გააჩნია კანონით მინიჭებული უფლებამოსილება, განახორციელოს სამოსამართლო ფუნქცია“, როგორც ეს მოცემულია მუხლში 5§3¹⁶.

2) ტერმინი "გონივრული ეჭვის" მნიშვნელობა

„გონივრული ეჭვი“ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შესახებ გულისხმობს, რომ არსებობს ფაქტები ან ინფორმაცია, რომელიც დაარწმუნებდა ობიექტურ დამკვირვებელს, რომ პირმა, შესაძლოა, ჩადინა დანაშაული¹⁷. შესაბამისად, თუკი შესაბამისი

11. *Lawless v. Ireland* (no. 3), §§ 13-14; *Ireland v. the United Kingdom*, § 196.

12. *Ječius v. Lithuania*, § 50; *Schwabe and M.G. v. Germany*, § 72.

13. *Ostendorf v. Germany*, § 82.

14. *Petkov and Profirov v. Bulgaria*, § 52; *Erdagöz v. Turkey*, § 51.

15. *Brogan and Others v. the United Kingdom*, §§ 52-54; *Labita v. Italy* [GC], § 155; *O'Hara v. the United Kingdom*, § 36.

16. *Schiesser v. Switzerland*, § 29.

17. *Ilgar Mammadov v. Azerbaijan*, § 88; *Erdagöz v. Turkey*, § 51; *Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom*, § 32.

უწყებები ვერ შეძლებენ ძირითადი ფაქტების მოკვლევას, რათა სარჩელი დასაბუთებული იყოს, ეს ჩაითვლება მე-5 მუხლის 1(c) პარაგრაფის დარღვევად¹⁸. რაც შეეხება იმას, თუ რა უნდა ჩაითვალოს „გონივრულად“, დამოკიდებულია საქმეში არსებულ გარემოებებზე¹⁹. ანონიმური წყაროსაგან მიღებული ყურმოკრული მტკიცებულება, რომელიც არ იყო გამყარებული სხვა მტკიცებულებებით, სასამართლომ არ მიიჩნია საკმარისად „გონივრული ეჭვის“ არსებობისათვის, რომ პირი მონაწილეობდა მაფიასთან დაკავშირებული საქმიანობებში²⁰. ამის საპირისპიროდ, დანაშაულის ჩადენაში მამხილებელი წლების წინ გაკეთებული განცხადებები, რომლებიც მოგვიანებით უკან წაიღეს ეჭვმიტანილებმა, არ აღმოფხვრავს გონივრული ეჭვის არსებობას განმცხადებლის წინააღმდეგ. უფრო მეტიც, ამან არ იქონია გავლენა დაკავების ორდერის კანონიერებაზე²¹.

3) ტერმინი „სამართალდარღვევა“

ტერმინ „სამართალდარღვევა“ ავტონომიური მნიშვნელობა აქვს, რომელიც მე-6 მუხლში გამოყენებული „სისხლის სამართლის დანაშაულის“ იდენტურია. გასათვალისწინებელია სამართალდარღვევის ეროვნული კანონმდებლობით წარმოდგენილი კლასიფიკაცია. თუმცა, საქმეში „ბენჰამი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პროცესის ხასიათს/შინაარსს და გათვალისწინებული სასჯელის სიმკაცრეს²². „სამართალდარღვევა“ უნდა იყოს კონკრეტული: სახელმწიფოს მიერ დანაშაულისაკენ მუდმივად მიდრეკილად აღქმული პირის პრევენციული მიზნით დაპატიმრება დაუშვებელია²³.

დაკავების პროცედურა საქართველოში

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აღწერს როგორც დაკავებამდე, ასე დაკავების შემდგომ პროცედურებს. დაკავების საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, დამკავებელმა მოხელემ დაკავებულს გასაგები ფორმით უნდა შეატყობინოს ამ საფუძვლების შესახებ. უფრო კონკრეტულად კი, განუმარტოს, თუ რა დანაშაულის ჩადენაშია ის ბრალდებული, აცნობოს, რომ აქვს უფლება ადვოკატზე; დუმილის და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება; უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული, და რომ ყველაფერი, რასაც ის იტყვის, შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული სასამართლოში. ასევე, პირის მიერ მისი უფლებების განმარტებამდე გაკეთებული ნებისმიერი განცხადება ჩაითვლება დაუშვებელ

18. Stepuleac v. Moldova, § 73; Elçi და Others v. Turkey, § 674.

19. Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom, § 32.

20. Labita v. Italy [GC], §§ 156 et seq.

21. Talat Tepe v. Turkey, § 61.

22. § 56.

23. Guzzardi v. Italy, § 102; Ciulla v. Italy, § 40; M. v. Germany, § 89; Shimovolos v. Russia, § 54.

მტკიცებულებად. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ დამკავებელმა მოხელემ დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა გადაიყვანოს პოლიციის უახლოეს დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში. დაკავების ადგილას მიყვანისთანავე, დაკავებული ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის დასადგენად უნდა შემოწმდეს ექიმის მიერ და უნდა შედგეს სათანადო ცნობა. დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს. დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა, დაკავებულს უნდა გადაეცეს ბრალდების შესახებ დადგენილება. თუ ამ ვადაში დაკავებულს დადგენილება არ გადაეცა, იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს²⁴.

დამკავებელმა მოხელემ დაკავებისთანავე დაუყოვნებლივ უნდა შეადგინოს დაკავების ოქმი. თუ დაკავების ოქმის შედგენა დაკავებისთანავე ობიექტური მიზეზით (მიზეზებით) შეუძლებელია, იგი უნდა შედგეს დაკავებულის პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე. დაკავების ოქმში უნდა აღინიშნოს: ვინ, სად, როდის, რა ვითარებაში, ამ კოდექსში მითითებულ რომელ საფუძველზეა დაკავებული, დაკავებულის ფიზიკური მდგომარეობა დაკავების მომენტში, რომელი დანაშაულის ჩადენაშია იგი ბრალდებული, მისი პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანის ზუსტი დრო, ამ კოდექსით გათვალისწინებული ბრალდებულის უფლებებისა და მოვალეობების ნუსხა, აგრეთვე, შესაბამის შემთხვევაში, ის ობიექტური მიზეზი (მიზეზები), რომლის (რომელთა) არსებობის გამოც შეუძლებელი იყო დაკავების ოქმის შედგენა დაკავებისთანავე. დაკავების ოქმს ხელს აწერენ: თანამდებობის პირი, რომელმაც პირი დააკავა, დაკავებული და მისი ადვოკატი (მისი ყოფნის შემთხვევაში). ბრალდებულის პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე ოქმს ხელს აწერს პოლიციის ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს უფლებამოსილი პირი. დაკავებულს გადაეცემა დაკავების ოქმის ასლი. თუ დაკავებისას ჩატარდა პირის პირადი ჩხრეკა, ამ საგამოძიებო მოქმედების თაობაზე ცალკე ოქმი არ დგება. თუ დაკავებისას პირს არ განემართა უფლებები და არ გადაეცა დაკავების ოქმი ან თუ დაკავების ოქმი შედგენილია არსებითი დარღვევით, რომელიც აუარესებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას, თავისუფლებაშემზღუდული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს²⁵.

პროკურორი ან მისი დავალებით გამომძიებელი ვალდებულია პირის დაკავებიდან, დაპატიმრებიდან ან ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებიდან არა უგვიანეს 3 საათისა საქმის კურსში ჩააყენოს მისი ოჯახის რომელიმე წევრი, ხოლო თუ ასეთი არ არსებობს – რომელიმე ნათესავი ან ახლობელი, დაპატიმრების ან

24. მუხლი 174, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

25. მუხლი 175, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შემთხვევაში კი აგრეთვე შეატყობინოს სამუშაო ან სწავლის ადგილას²⁶. თუ დაკავებული, დაპატიმრებული ან ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებული პირი სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელიც აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ ატყობინებს შესაბამისი სახელმწიფოს საკონსულო დაწესებულებას. დღემდე საქართველოში არ დაფიქსირებულა ისეთ შემთხვევა, რომ დაკავებულს არ ჰქონოდა ნათესავებთან ან ადვოკატთან დაკავშირების უფლება.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მკაცრად მოითხოვს დაკავებულ პირის გათავისუფლებას, თუკი:

- ა. არ დადასტურდა ეჭვები მის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ;
- ბ. პირის დაკავების შესახებ გადაწყვეტილება არ იყო მიღებული, როგორც ალკვეთის ღონისძიება;
- გ. დაკავების ვადა (72 საათი) ამოიწურა;
- დ. უფლებამოსილმა სახელმწიფო დაწესებულებამ ან მოხელემ არ დაადასტურა პირის დაკავება;
- ე. დაკავების პროცესში ადგილი ჰქონდა სისხლის სამართლის პროცესის არსებით დარღვევებს.

დაკავებულის გათავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ პროკურორის გადაწყვეტილებით ან მოსამართლის განჩინებით. პატიმრობის ვადის გასვლის შემთხვევაში, დაკავებულს დაკავების ადგილის ხელმძღვანელის გადაწყვეტილების საფუძველზე ათავისუფლებენ. გათავისუფლებისას, დაკავებულს უნდა გადაეცეს მისი გათავისუფლების გადაწყვეტილების ასლი. იმის მიუხედავად, დაკავებულ პირს დაუმტკიცდება თუ არა ბრალი, მას უნდა აუნაზღაურდეს ზარალი, რომელიც უკანონო ან დაუსაბუთებელი დაკავებისას მიადგა. ანაზღაურება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის განსაზღვრული წესების თანახმად.

კოდექსი განსაზღვრავს დაკავების და/ან თავისუფლების ალკვეთის საფუძვლებს²⁷. პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე დასაშვებია, თუკი:

- ა) პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე;
- ბ) პირი დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილას და მის მიმართ

26. მუხლი 177, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

27. სისხლი სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლი ნათლად განსაზღვრავს, რომ ა) დაკავება უნდა მოხდეს სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ბ) სასამართლოს განჩინების გარეშე პირის დაკავება დაშვებულია განსაკუთრებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში და გ) დაკავება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მიმალვის, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების საფრთხე ან თუ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე თავიდან ვერ იქნება აცილებული სხვა, ალტერნატიული ღონისძიებით.

დაუყოვნებლივ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა მისი დაკავების მიზნით;

- გ) პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი;
- დ) პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიიმალა, მაგრამ შემდგომ იგი თვითმხილველმა ამოიცნო;
- ე) პირი შესაძლოა მიიმალოს;
- ვ) პირი ძებნილია.

მოგვიანებით, კოდექსი განმარტავს, რომ პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩადინა დანაშაული და მისი მიმალვის, სასამართლოში გამოუცხადებლობის, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურებისა თუ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე თავიდან ვერ იქნება აცილებული სხვა, ალტერნატიული ღონისძიებით, რომელიც სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის გარემოებებისა და ბრალდებულის პირადი მონაცემების პროპორციულია.

ექსპერტთა მიერ ჩატარებული მონიტორინგი, ასევე შესაბამისი მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ, მართალია, კოდექსი უპირატესობას ანიჭებს უდანაშაულობის პრეზუმციას და პირის დაკავებას სასამართლოს განჩინების საფუძველზე, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, მაშინაც კი, როდესაც შესაძლებელი იყო წინასწარ სასამართლო განჩინების მოპოვება, გამოძიება მხოლოდ დაკავების ფაქტის შემდეგ ცდილობდა მის დასაბუთებას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეებში **დევერი ბელგიის წინააღმდეგ და კონორსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ** დაადგინა, რომ “სისხლის სამართლის ბრალდების” ცნებას ავტონომიური მნიშვნელობა აქვს და ვარაუდობს, რომ როდესაც პირს შეფარდებული აქვს სასჯელი ან აღკვეთილი აქვს თავისუფლება, მისი საქმე არის ავტონომიური ცნების “სისხლის სამართლის ბრალდების” მნიშვნელობით და, შესაბამისად, პირს ხელი უნდა მიუწვდებოდეს სამართლიან სასამართლოზე და მასში ნაგულისხმევ ყველა სხვა უფლებაზე. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ადმინისტრაციულ პატიმრობას სასჯელის ერთ ერთ სახედ მიიჩნევს. თუმცა, 2014 წლის 18 აგვისტომდე, პატიმრობაში მოთავსებული პირები იშვიათად სარგებლობდნენ ამ გარანტიებით. უფრო მეტიც, 2014 წლის აგვისტომდე, ადმინისტრაციული დაკავების მაქსიმალური ვადა 90 დღე იყო, ხოლო ცვლილების ძალაში შესვლის შემდეგ, მაქსიმალური ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 15 დღეს. უფრო ხანმოკლე დაკავების პერიოდის გარდა, ახალი ცვლილებები ითვალისწინებდა გარკვეულ

გარანტიებს ბრალდებულისათვის, მათ შორის მის დაკავებასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას, ადვოკატისა და სამართლებრივი მრჩევლის ყოლის უფლებას, დუმის უფლებას და სამართლებრივი წარმომადგენლის გარეშე ჩვენების არ მიცემის უფლებას, ასევე ნათესავებისათვის საკუთარი ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის მიწოდების უფლებას.

ახლო წარსულში პოლიციის მიერ განხორციელებული ხშირი შემოწმებები დანაშაულის რაოდენობის მატებასთან იყო დაკავშირებული. შედეგად, აჩერებდნენ ადამიანებს და ზოგადი ჩხრეკისა და შემოწმების შემდეგ სწრაფად უშვებდნენ. შედარებით გრძელვადიანი დაკავებები ხშირად შესაბამის დაწესებულებაში ნარკო შემოწმების ჩატარებას ემსახურებოდა.

როგორც ადრე ვახსენეთ, საქართველოს კანონმდებლობა პირდაპირ აცხადებს, რომ, როგორც წესი, სამართალდამცავმა უწყებებმა პირის დასაკავებლად სასამართლოს განჩინების შუამდგომლობით უნდა მიმართონ. ეს წესი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლშია აღწერილი. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, სამართალდამცავები ჯერ აკავებენ ადამიანებს და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართავენ სასამართლოს წინასწარი პატიმრობის ნებართვის მოთხოვნით. წინასწარი პატიმრობის შესახებ საქართველოს სასამართლოების²⁸ გადაწყვეტილებათა ანალიზის შედეგად ნათელი ხდება, რომ სასამართლო მცირე ყურადღებას აქცევს დაკავების კანონიერების შეფასებას როგორც ასეთი (რამდენად იყო ეს ყველაფერი სისხლის სამართლის პროცესის 171-ე მუხლთან შესაბამისობაში), ამის ნაცვლად, ყურადღებას ამახვილებს თავად წინასწარ პატიმრობაზე. მაგალითად, სასამართლოები გაურკვეველი მიზეზით თავს არიდებენ იმის შეფასებას, გააჩნდათ თუ არა სამართალდამცავებს რაიმე მტკიცებულება ან თუნდაც დაკავების შესახებ სასამართლოს განჩინების წინასწარ მოპოვების შესაძლებლობა. მხოლოდ წინასწარი პატიმრობის შესაფერისობაზე მსჯელობით, სასამართლო უარს ამბობს თავად დაკავების კანონიერის შეფასებაზე. ეს კი სამართალდამცავების მხრიდან აშკარა თვითნებობის რისკს აღძრავს, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ დაკავებიდან პირველი 48 საათის განმავლობაში საქართველოს კანონმდებლობა არ გვთავაზობს პირის დაკავების კანონიერების და/ან აუცილებლობის შეფასების სხვა მექანიზმს.

28. ექსპერტებმა ადგილობრივი სასამართლოებიდან 30 გადაწყვეტილება გამოითხოვეს და გააანალიზეს. 10 გადაწყვეტილება 2013 წელს იყო გამოტანილი, 10 გადაწყვეტილება 2012 წელს და 10 გადაწყვეტილება 2011 წელს.

დაკავებიდან პირველი 48 საათი

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი განსაზღვრავს მაქსიმალურ დროს, რომლის განმავლობაშიც უნდა წარედგინოს დაკავებული პირი მაგისტრატ მოსამართლეს. დაკავებიდან 48 საათის განმავლობაში პირს უნდა წაუყენონ ბრალი და გადასცენ საქმე კომპეტენტურ სასამართლოს. მომდევნო 24 საათის (დაკავებიდან 72 საათში) განმავლობაში, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას წინასწარი პატიმრობის შეფარდება-არ შეფარდების შესახებ. თუკი სასამართლო ამ პერიოდის განმავლობაში არ მიიღებს გადაწყვეტილებას, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ ზოგადად საქართველოში აღნიშნული ვადები დაცულია. არ გამოვლენილა ამ ვადების გადამეტების შემთხვევები ან დაცვის ადვოკატთა საჩივარი 72 საათიანი ვადის გადაცილების შესახებ. ექსპერტთა მიერ გამოკითხულმა ადვოკატებმა აღნიშნეს, რომ არ ყოფილა ისეთი გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც დაცვის მხარემ ეჭვქვეშ დააყენა დაკავების ვადა (*de facto*, დაკავების ოფიციალურ ოქმში მხოლოდ ერთი ასეთი შემთხვევა იყო მითითებული; ეს უფრო გამონაკლისი შემთხვევა იყო და არა სისტემატური).

ინტერვიუების დროს, ადვოკატები აცხადებდნენ, რომ ზოგჯერ ადამიანებს ქუჩაში აკავებენ და გადაყავთ პოლიციის დაწესებულებაში. პოლიციის დაწესებულებაში მისვლამდე, გამომძიებელი პოლიციელები ე.წ. “გასაუბრებას” უტარებენ დაკავებულს. პოლიციის ოფიცრები არ იცავენ პროტოკოლს და, შესაბამისად, ხდება ამ პირების გათავისუფლება. ადვოკატები ირწმუნებიან, რომ როდესაც პოლიციის თანამშრომელი გადაწყვეტს პირის დაკავებას, ისინი უთითებენ დაკავების დროდ არა ფაქტობრივი დაკავების, არამედ პოლიციელის მიერ დაკავებულის პოლიციის დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების დროს. იმის მიუხედავად, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ნათლად განმარტა საქმეში გიორგი ჩხეიძე პარლამენტის წინააღმდეგ²⁹, რომ დაკავების დროის ათვლა უნდა მოხდეს პირის თავისუფლების ფაქტიური შეზღუდვის მომენტიდან, ადვოკატების მტკიცებით, ხშირია შემთხვევა, როდესაც პოლიციის თანამშრომელი დაკავების დროდ მიიჩნევს იმ მომენტს, როდესაც მიიღებს დაკავების შესახებ გადაწყვეტილებას და არა პირის რეალურად დაკავების მომენტს.

უფრო მეტიც, საქართველოს კანონმდებლობა მოითხოვს, რომ დაკავების ოქმის შედგენა დაკავებისთანავე მოხდეს³⁰ ანუ იმ მომენტში,

29. 2005 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება.

30. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 175.

როდესაც პირს დააკავებენ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დაკავების ოქმის მოგვიანებით შედგენას მხოლოდ იმ შემთხვევაში უშვებს, თუკი არსებობს მისი დაუყოვნებლივ შედგენის ხელისშემშლელი ობიექტური მიზეზი. ემპირიული კვლევა და ადვოკატებთან და პოლიციის მოხელეებთან ინტერვიუები გვიჩვენებს, რომ უმეტეს შემთხვევებში პოლიციის მოხელეები დაკავების მომენტში არ ადგენენ დაკავების ოქმს და, როგორც წესი, ამას მხოლოდ პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა დაკავების დაწესებულებაში აკეთებენ. და ეს არ არის დამოკიდებული იმაზე, ჰქონდა თუ არა პოლიციის ოფიცერს დაკავების მომენტში ოქმის შედგენის საშუალება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან ამ წესის გადახვევა პოტენციურად იწვევს დაკავებული პირისათვის რამდენიმე პრობლემას:

- ა. საკამათო ხდება დაკავების ნამდვილი დრო. შედეგად, ჩნდება დაცვის მხარის ბრალდებები 48 საათიანი ლიმიტის (ბრალის წაყენებისათვის) დარღვევისა და 72 საათიანი ვადის (წინასწარი პატიმრობის შეფარდებისათვის) დაუცველობის შესახებ;
- ბ. დაკავებული დაგვიანებით იღებს ინფორმაციას საკუთარი საპროცესო უფლებების შესახებ, ვინაიდან რეალურად მხოლოდ თავად დაკავების ოქმშია ნახსენები “მირანდას უფლებები”.

უფრო მეტიც, სამართალდამცავთა მხრიდან თვითნებური გადაწყვეტილებების მიღების საკმარისი შესაძლებლობა არსებობს, რაც სამართლიანად იწვევს შეშფოთებას. ეს ყველაზე მეტად ეხება დაკავების შემდგომ პირველ 48 საათს, რომლის შემდეგ პირს ან ბრალი უნდა წაუყენონ ან გაათავისუფლონ. სამწუხაროდ, საქართველოს კანონმდებლობა არ გთავაზობს ნათელ მითითებას, თუ ვინ არის პასუხისმგებელი დაკავების ნებართვის გაცემაზე ან 48 საათის განმავლობაში დაკავების კანონიერების შემოწმებაზე. ეს კი საშუალებას აძლევს პოლიციას, დააკავოს პირი 48 საათით ეფექტური შიდა მეთვალყურეობის მექანიზმის გარეშე, რომელიც უზრუნველყოფდა დაკავების კანონიერებას.

ექსპერტთა მიერ ჩატარებული ემპირიული კვლევა ადასტურებს, რომ პოტენციურად პირის დაკავება 48 საათის განმავლობაში ხდება ყოველგვარი შიდა ადმინისტრაციული მექანიზმის ან მიმდინარე დაკავების კანონიერების შემოწმების რესურსის გარეშე. პრაქტიკული პოზიციიდან კი დამკავებელ მოხელეს ერთი რამ ევალება, დაკავების შესახებ ოქმის შედგენა, მისი დაკავებული პირისათვის ხელმოსაწერად გადაცემა და უზრუნველყოფა, რომ მან გაიგოს საკუთარი უფლებები. არც დამკავებელი მოხელე და არც მაღალი თანამდებობის პირი არ არიან ვალდებული, გადაამოწმონ დაკავების ვადის გაგრძელება. გადაწყვეტილებას კი დაკავებულისთვის ბრალის წაყენების ან

გათავისუფლების შესახებ მხოლოდ 48 საათის მიწურულს იღებენ. ამ ეტაპზე გადაწყვეტილების მიმღები პროკურორი.

სხვადასხვა დასავლეთ ევროპულმა ქვეყანამ პოლიციის მხრიდან თვითნებური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის შესასუსტებლად, რამდენიმე შიდა ადმინისტრაციული კონტროლის მექანიზმი შემოიღო. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში პოლიციის მოხელეები დაკავების კანონიერების საკითხს პირველად დაკავებიდან 6 საათის შემდეგ, მეორედ კი 9 საათის შემდეგ განიხილავენ. ნიდერლანდებში განხილვის დრო 6-დან 15 საათამდე მერყეობს და პირის დაკავების დროზეა დამოკიდებული. თუკი ეჭვმიტანილი საღამოს საათებში, შუალამემდე იქნა დაკავებული, თავდაპირველი დაკავების პერიოდი შეიძლება 15 საათი იყოს. ყველა ეს დამატებითი მექანიზმი და გარანტია სამართალდამცავი უწყებების მხრიდან თვითნებური გადაწყვეტილების მიღების რისკის მინიმუმამდე შემცირებას ემსახურება. ამისათვის გამოიყოფა პასუხისმგებელი პირი (მოხელე), რომელიც აფასებს დაკავების კანონიერებას და მის გადავადებას მცირე პერიოდით და იღებს გადაწყვეტილებას, სამართლიანია თუ არა პირის დაკავება დაშვებული მაქსიმალური ვადით. ამ შიდა მექანიზმების გარეშე, იზრდება ძალის ბოროტად გამოყენების პოტენციური რისკი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს პირის თვითნებურად დაპატიმრება 48 საათამდე პერიოდის განმავლობაში.

საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეიმუშავოს შიდა ადმინისტრაციული მექანიზმი, რომლითაც დაადგენს დაკავების შემდგომ პერიოდზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც გადაამოწმებს გონივრული პერიოდულობით დაკავებულის პატიმრობაში დატოვების, თუ გათავისუფლების აუცილებლობას. 48 საათით პირის სტანდარტული და ავტომატური დაკავება ეწინააღმდეგება თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების არსს, რომელიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით.

დაკავების პროცედურა და დაკავებულის დაწესებულებაში გადაყვანა - დაკავების შემდეგ, პირი გადაყავთ პოლიციის დაწესებულებაში ან დროებითი დაკავების დაწესებულებაში. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დაკავების შემდეგ პირი ხდება ბრალდებული და მასზე ვრცელდება ბრალდებულთან მიმართებაში დაწესებული ყველა უფლება. კერძოდ, ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლება; დუმილისა და საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების არ მიცემის უფლება; უფლება, შეამოწმოს ექიმმა და სხვა უფლებები.

საქართველოს კანონმდებლობა პირდაპირ არ აკონკრეტებს, თუ სად უნდა გადაიყვანონ პირი დაკავების შემდეგ - პოლიციის

დაწესებულებაში თუ დროებითი დაკავების დაწესებულებაში. პირის პოლიციის დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში, არ არსებობს სამართლებრივი პირობები ან ვადები, რომლის ფარგლებშიც მოხდება პირის დაკავება პოლიციის დაწესებულებაში დროებითი მოთავსების იზოლაცორში გადაყვანამდე. ექსპერტთა გუნდს არ გააჩნდა წვდომა პოლიციის რეესტრზე და, შესაბამისად, არ შეუძლია შეაფასოს პირთა პოლიციის დაწესებულებაში დაყოვნების ხანგრძლივობის კანონიერება.

ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ ყველა შემთხვევაში დაკავებული პირები ჯერ პოლიციის დაწესებულებაში გადაყავთ. დაკავებულის პოლიციის დაწესებულებაში გადაყვანის წესი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 174(2)-ე მუხლშია განსაზღვრული. თუმცა ბუნდოვანია, ზუსტად პოლიციის რომელ დაწესებულებაში უნდა გადაიყვანოს პოლიციამ დაკავებული კოდექსის თანახმად - იქ, სადაც თავისუფალი ადგილია თუ პოლიციის ნებისმიერ დაწესებულებაში. ამასთან, როგორც პირის დროებითი პატიმრობის მარეგულირებელი წესის დამატებითი ინსტრუქციების შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის #108-ე ბრძანებაშია (ძალაში შევიდა 2010 წელს) განმარტებული, დაკავებულის მოთავსება პატიმრობის დაწესებულებაში ხორციელდება დაკავების ოქმის საფუძველზე, რომელსაც ადგენს გამომძიებელი, პროკურორი ან სამართალდამცავი მოხელე და ამტკიცებს საგამოძიებო უწყების უფროსი. ამ ბრძანებაზე დაყრდნობით, დამკავებელ მოხელეს დაკავებული გადაყავს პოლიციის დაწესებულებაში, რათა საგამოძიებო განყოფილების უფროსმა ხელი მოაწეროს დაკავების ოქმს. პოლიციის მოხელეები ამ პროცედურას იმ ფაქტით ამართლებენ, რომ თუკი დაკავებულს პირდაპირ პატიმრობის დაწესებულებაში გადაიყვანენ, გამომძიებელი ვერ შეძლებს მის გამოკითხვას, რადგან იქ არ არსებობს საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა. იმის გათვალისწინებით, რომ პატიმრობის დაწესებულებაში პირის მიმართ ნებისმიერი ფორმის ზეწოლისგან დაცვის უფრო მაღალი გარანტიები არსებობს, უფრო გონივრული იქნება თუკი დაკავებულს პირდაპირ დაწესებულებაში გადაიყვანენ, დაწესებულებას კი ინტერვიუს ჩატარებისათვის საჭირო მოწყობილობებით აღჭურვავენ. პირის პატიმრობის დაწესებულებაში დაყოვნებლივ მოთავსება მისი დაცვის მეტ გარანტიებს იძლევა, რადგან მინიმუმამდე შეამცირებს თვითნებური დაკავების და თავისუფლების აღკვეთის რისკს. პირის პატიმრობის დაწესებულებაში გადაყვანის დრო მკაცრად აღირიცხება შესაბამის ჟურნალში. ეს ამარტივებს პირის (ქუჩაში თუ სახლში) დაკავების რეალური დროის განსაზღვრას და პოლიციის მოხელის მიერ დაკავებულის პატიმრობის დაწესებულებამდე გადაყვანისათვის საჭირო დროის გამოთვლას. ექსპერტებს პოლიციის ჟურნალზე წვდომა არ ჰქონდათ და ამიტომ მათთვის შეუძლებელი იყო იმის გარკვევა, რამდენად თანმიმდევრულად და ზუსტად ახორციელებენ

პოლიციის მოხელეები დაწესებულებაში მიყვანილი პირის რეგისტრაციას. თუმცა, ადვოკატთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია მიუთითებს, რომ სამართალდამცავებს შეუძლიათ გარკვეული ხერხებით თავი აარიდონ დაკავებულის პოლიციის დაწესებულებაში დარეგისტრირებას (მაგალითად, პირის მხოლოდ “გასაუბრების” მიზნით წაყვანა). მეორეს მხრივ, პატიმრობის დაწესებულებაში შესვლისთანავე, დაკავებულს უტარდება სამედიცინო შემოწმება და ეს ძლიერი ბერკეტი ნებისმიერი სახის შესაძლო ზეწოლის თუ არასწორი მოპყრობის წინააღმდეგ.

ადვოკატები აცხადებდნენ, რომ გასაუბრებების დროს სამართალდამცავი პირები გარკვეულ შემთხვევებში კონკრეტულ ხერხებს იყენებდნენ ფორმალური პროცედურებისათვის თავის არიდების ან შესაბამისი ვადების უზრუნველყოფისათვის.

იყო შემთხვევები, როდესაც პოლიცია ქუჩაში აკავებდა პირებს ან გადაყავდათ პოლიციის დაწესებულებაში ან პოლიციის მანქანაში აკავებდა „გასაუბრებისათვის“. არც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და არც სხვა რომელიმე აქტი არ განსაზღვრავს „გასაუბრების“ რაიმე პროცედურას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აცხადებს, რომ პირი შეიძლება დაიკითხოს **ბრალდებულის, მოწმის ან დანარაღებულის** სტატუსით. პირის დაკავება ან პოლიციის მანქანაში „გასაუბრების“ მიზნით მისი სურვილის წინააღმდეგ ჩასმა ზღუდავს მისი თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებას და წარმოადგენს თვითნებურ ქმედებას. ამასთან, პირის არარეგისტრირებული დაკავება ზრდის არასწორად მოპყრობის რისკს. მსგავსი შემთხვევების პრევენციის ეფექტური მექანიზმი იქნებოდა პოლიციის თანამშრომლებისათვის ნათლად ჩამოყალიბებული წესის/ინსტრუქციის მიცემა რათა პირი დაკავებისთანავე გადაიყვანონ პატიმრობის დაწესებულებაში, სადაც მკაცრად არის განსაზღვრული მოთავსების მაქსიმალური ვადა, დაკავებულს დაუყოვნებლივ ჩაუტარდება სამედიცინო შემოწმება და შესაძლებელი იქნება ნებისმიერი პოტენციური ზეწოლის ან არასწორი მოპყრობის ნიშნების გამოვლენა.

გარდა ამისა, მომავალში პოლიციის მოხელეების მხრიდან თვითნებური გადაწყვეტილებების მიღების რისკის შესამცირებლად, შემოღებული უნდა იყოს სპეციალური გაიდლაინები. ზოგჯერ პოლიციის თანამშრომლებმა არ იციან, როგორ იმოქმედონ გარკვეულ სიტუაციებში ზუსტი პროტოკოლის არარსებობის გამო, ანდა ზოგჯერ გარშემომყოფთა არაპროფესიონალურ ქცევას იმეორებენ. პოლიციის მხრიდან არასწორი ქცევის შემცირებისათვის, სასურველია, კარგად ჩამოყალიბებული გაიდლაინების შემოღება. ეს სასარგებლო იქნება ასევე არაეთიკური ქცევის შესამცირებლად,

რომელიც შეიძლება მისაღებად ითვლება პოლიციის მიერ დაკითხვისა და სისხლის სამართლის პროცესის წარმოებისას. ეს გაიდლაინები შეიძლება არ იყოს საჯარო, მაგრამ მათი მიღების ან ცვლილებების შეტანის პროცესი გარკვეულ წილად გამჭვირვალე უნდა იყოს და შესაბამისი ექსპერტები უნდა ჩაერთონ უკუგებისა და კომენტარების მიწოდების მიზნით. გაიდლაინები არ უნდა შედგებოდეს უბრალოდ ზოგადი პრინციპებისაგან, არამედ უნდა მოიცავდეს ზუსტ წესებს, რომლებიც საშუალებას მისცემს პოლიციის თანამშრომლებს, უკეთესი გადაწყვეტილებები მიიღონ სხავდასხვა სიტუაციაში და იმოქმედონ კანონის შესაბამისად.

თარჯიმნისა და თარგმანზე ხელმისაწვდომობის უფლება საერთაშორისო სტანდარტები

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ განაცხადა, რომ მე-6 მუხლის მე-3 (ე) პუნქტი უზრუნველყოფს თარჯიმნის უფასო დახმარებას. თარგმნის მომსახურეობის ხელმისაწვდომობის უფლება არა მხოლოდ სასამართლოში გაკეთებულ ზეპირ განცხადებებზე ვრცელდება, არამედ ნებისმიერ დოკუმენტაციასთან და წინასასამართლო პროცესთან მიმართებაშიც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ბრალდებული, რომელსაც არ ესმის ან ვერ საუბრობს სასამართლოში გამოყენებულ ენაზე, უფლებამოსილია, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურეობით უფასოდ, ასევე იმ დოკუმენტაციისა თუ განცხადებების შემთხვევაში რომლებიც საჭიროა პროცესისათვის (მათ შორის, თარგმნა სასამართლო ენაზე) ან აუცილებელია მისთვის პროცესის გასაგებად და სამართლიანი სასამართლოსათვის³¹. ამასთან, სასამართლოს მიერ უზრუნველყოფილი თარგმნის მომსახურეობა შესაძლებლობას უნდა აძლევდეს ბრალდებულს, შეიტყოს მის წინააღმდეგ არსებული ბრალის შესახებ, დაიცვას თავი და ამისათვის გააჩნდეს სასამართლოსთვის მოვლენების მისეული ვერსიის მიწოდების შესაძლებლობა³².

მე-3 (ე) პუნქტი პროცესში არსებული ყველა წერილობითი მტკიცებულებისა თუ ოფიციალური დოკუმენტაციის თარგმნას არ მოითხოვს. ამ პარაგრაფში საუბარია კორესპონდენციის ენაზე და დასახელებულია თარჯიმანი და არა მთარგმნელი. ეს კი ნიშნავს, რომ ზეპირი დახმარება შეიძლება აკმაყოფილებდეს კონვენციის მოთხოვნებს³³. იმის უზრუნველსაყოფად რომ გამოყენებული უფლება ეფექტური იყოს, ხელისუფლება არ არის შეზღუდული მხოლოდ თარჯიმნის დანიშვნით. ადეკვატური გაფრთხილების შემთხვევაში, მათ შეიძლება უფრო განავრცონ ამ უფლების მნიშვნელობა, რაც თარგმნის ხარისხსაც გულისხმობს³⁴.

31. Luedicke, Belkacem and Koç v. Germany, 1978 წლის 28 ნოემბერი, § 48, Series A no. 29.

32. Güngör v. Germany (dec.), no. 31540/96, 2001 წლის 17 მაისი.

33. Husain v. Italy (dec.), no. 18913/03, 2005 წლის 24 თებერვალი.

34. Kamasinski v. Austria ციტირებულია ზემოთ, § 74).

ევროპის სასამართლო აცხადებს, რომ მე-6 მუხლის მე-3(ე) პარაგრაფის თანახმად, აუცილებელია, ბრალდებულს შეეძლოს პროცესის ენის გაგება, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება სამართალდარღვევის შინაარსს, რომელიც ბრალად ედება და იმ განცხადებებს, რომელსაც სამართალდამცავები აკეთებენ მასთან მიმართებაში; სამართალდამცავებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბრალდებულს ადეკვატურად ესმოდეს სასამართლოს სამართალწარმოების ენა³⁵.

ამასთან, როგორც ადვოკატის შემთხვევაში, თარჯიმანიც გამოძიების საწყისი ეტაპიდანვე უნდა იყოს ხელმისაწვდომი გარდა იმ შემთხვევისა, თუკი შესაძლებელია ამ უფლების შეზღუდვის მაიძულებელი მიზეზების არსებობის დასაბუთება³⁶. ამასთან, უნდა არსებობდეს საკმარისი გარანტიები, რომ ბრალდებულისათვის მიწოდებული თარგმანი ადეკვატური და ზუსტია³⁷.

ადამიანის უფლებათ ევროპული სასამართლოს განცხადებით, კონვენციის მე-6 მუხლი ვერ აუკრძალავს ადამიანს, უარი თქვას თავისუფალ და სამართლიან სასამართლოზე. თუმცა, კონვენციის მიზნებისათვის უარი ნათლად უნდა იყოს გამოხატული და თან ახლდეს მისი მნიშვნელობის თანაბომიერი მინიმალური დაცვის მექანიზმები. ამასთან, ეს უარი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ინტერესს³⁸.

სტანდარტები საქართველოში

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესი უნდა წარიმართოს ქართულ ენაზე. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ასევე დაშვებულია აფხაზური ენის გამოყენება. ამავე კოდექსის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე, რომელიც ვერ ფლობს ან არასათანოდ ფლობს წარმოების ენას, უზრუნველყოფილი უნდა იყოს თარჯიმნის დახმარებით.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ დაკავების მომენტში ან თუ დაკავება არ ხდება – ბრალდებულად ცნობისთანავე, დაუყოვნებლივ, ასევე ნებისმიერი დაკითხვის წინ **ბრალდებულს მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელი დანაშაულის ჩადენაში არსებობს მის მიმართ დასაბუთებული ვარაუდი**. ბრალდებულს უნდა გადაეცეს დაკავების ოქმის ან, თუ ის არ დაუკავებიათ, ბრალდების შესახებ დადგენილების ასლი.

35. *Hermi v. Italy*, no. 18114/02, § 71, 2006 წლის 10 ოქტომბერი.

36. *ob.*, *Diallo v. Sweden* (dec.), no. 13205/07, § 25, 2010 წლის 5 იანვარი.

37. *Cuscani v. the United Kingdom*, no. 32771/96, § 38, 2002 წლის 24 სექტემბერი.

38. *ob.* *Hermi*, ციტირება, § 73, და *Håkansson and Sturesson v. Sweden*, 21 February 1990, § 66, Series A no. 171-A.

ბრალდებულს უფლება აქვს, დაკითხვის და სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე, თუ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა ან აქვს ისეთი ფიზიკური ნაკლი, რომელიც თარჯიმნის გარეშე მასთან კომუნიკაციას გამორიცხავს³⁹.

გარდა ამისა, კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, თარჯიმანს იძახებენ, როცა:

- ა) პროცესის მონაწილემ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;
- ბ) საჭიროა, სისხლის სამართლის პროცესის ენაზე ითარგმნოს ტექსტი.

ექსპერტთა დაკვირვებით, პრაქტიკაში როგორც დედაქალაქში (თბილისში), ასევე საქართველოს რეგიონებში შინაგან საქმეთა სამინისტრო და მთავარი პროკურატურა გარე თარჯიმნებს ქირაობენ და ოფიციალურად შედგენილი აქვთ კომპეტენტური და აკრედიტრებული მთარგმნელობითი ფირმების სია, რათა საჭიროების შემთხვევაში დაუკავშირდნენ.

თუმცა, ამ ფირმებს მომსახურებისათვის უმეტესად იმ შემთხვევებში მიმართავენ, როდესაც დაკავებული ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად ან რუსულად საუბრობს. აზერბაიჯანული ან სომხური ენის თარჯიმნის შემთხვევაში, თარჯიმნის მომსახურებების მიწოდება, განსაკუთრებით საქართველოს რეგიონებში, არ არის ადეკვატური და მნიშვნელოვანი მცდელობებია განსახორციელებელი ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ეს პრობლემა მაშინ იქმნება, როდესაც დაკავებული ან მოწმე საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის (აზერბაიჯანელები, სომხები) წარმომადგენელია და მხოლოდ მშობლიური ენა იცის. დაცვის ადვოკატებთან და პოლიციის მოხელეებთან საუბრისას ნათელი გახდა, რომ ასეთ შემთხვევებში თარჯიმანთა ბიუროების გამოყენება არ ხდება.

ექსპერტების დასკვნით, გამომძიებლებს სათანადო სისტემა არ აქვთ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად და საჭიროების მიხედვით ეძებენ აზერბაიჯანული ან სომხური ენის მცოდნე თარჯიმნებს ანაზღაურების გარეშე, რათა დაეხმარონ გამოძიების პროცესში. ხშირად პოლიციის მოხელეები აზერბაიჯანული ან სომხური ენის მცოდნე პირებს, რომლებიც ასევე ქართულ ენაზეც საუბრობენ, ბაზარში ან ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში ეძებენ (ადგილისა და რეგიონის მიხედვით). სასურველ ენაზე მოსაუბრე პირს ბრალდებულს ან მოწმეს სთავაზობენ თარჯიმნად და, თანხმობის შემთხვევაში, ეს პიროვნება

39. მუხლი 38, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

ასრულებს თარჯიმნის ფუნქციებს. მართალია, ამ შემთხვევაში პოლიციის ოფიცრები და გამომძიებლები ასრულებენ საკუთარ ვალდებულებას პირის თარჯიმნით უზრუნველყოფის შესახებ, მაგრამ მხოლოდ ფორმალურად. ძირითადად პოლიციას თარჯიმანი მხოლოდ იმისათვის სჭირდება, რომ კოდექსის მოთხოვნა დააკმაყოფილოს და არა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბრალდებულს ან მოწმეს ესმოდეს უფლებები და ეფექტურად ისარგებლოს საპროცესო გარანტიებით.

ასეთ შემთხვევებში, სამწუხაროდ, პრობლემას ის ფაქტიც ართულებს, რომ პოლიციას არ გააჩნია თარჯიმნის ან თარგმანის ხარისხის შემოწმების მექანიზმი. სამართლებრივი ტერმინებისა და მათი რეალური მნიშვნელობის სირთულიდან გამომდინარე, ძალიან დიდია ალბათობა, რომ ბრალდებულმა არასწორად გაიგოს რამე. ამან პოტენციურად შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბრალდებულზე ან მოწმეზე პირველ რიგში მისი უფლებების და დაკავების მიზეზების გაგების კუთხით, და, მეორე რიგში, სერიოზული დაბრკოლებები შეუქმნას ეფექტურ დაცვას სისხლის სამართლის პროცესში მოგვიანებით.

თარჯიმნის მომსახურების ვერ უზრუნველყოფის შემთხვევაში შესაძლო სანქციები ან შედეგები განსაზღვრული არ არის, თუმცა ასეთ შემთხვევაში, ლოგიკურად, იგივე შედეგი დადგება, რაც ბრალდებულისათვის მისი ბრალდებულად ცნობის შესახებ ზუსტი ინფორმაციის ან მის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებების არ გაცნობის შემთხვევაში დადგებოდა.

ყველანაირი თარგმნის ხარჯი, იქნება ეს წერილობითი თუ ზეპირი თარგმანი, საპროცესო ხარჯს განეკუთვნება⁴⁰ და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. ექსპერტს ან თარჯიმანს ანაზღაურება არ ეძლევა, თუ საქმიანობისათვის სახელმწიფოს მიერ დანიშნული აქვს ხელფასი⁴¹.

საპროცესო ხარჯების გადახდა მსჯავრდებულს ეკისრება მისი ან მისი ადვოკატის მიერ თარჯიმნის მოთხოვნის შემთხვევაში. სასამართლოს უფლება აქვს, გადახდისუუნარობის შემთხვევაში მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს მსჯავრდებული საპროცესო ხარჯების გადახდისგან⁴².

40. მუხლი 90, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;

41. იქვე;

42. მუხლი 91, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;

**პოლიციის მიერ პირის დაკავება და იურიდიული დახმარება
საპარტოვოლოში (საკანონმდებლო და კრავტიკული ასკავტები)
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კრავტინდოული
სამართლის საფუძვლზე დამკვიდრებული სტანდარტები**

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მთლიანობაში უზრუნველყოფს ბრალდებულის უფლებას, ეფექტური მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის პროცესში⁴³. კერძოდ, ბრალდებულს უნდა ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალებანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად და შესაძლებლობა შეზღუდვის გარეშე მოიძიოს ყველა დაცვის არგუმენტი, რომელსაც გამოიყენებს სასამართლოში პროცესის შედეგზე ზეგავლენის მოსახდენად⁴⁴. თავის დაცვის უფლებით სარგებლობისათვის, ბრალდებულს საშუალება უნდა მიეცეს ეფექტურად ისარგებლოს ადვოკატის დახმარებით. სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული ყველა პირი სარგებლობს ადვოკატის ყოლის უფლებით და ეს უფლება სამართლიანი სასამართლოს ერთერთი ფუნდამენტური პრინციპია. ევროპულმა სასამართლომ საქმეზე სალდუზი თურქეთის წინააღმდეგ, ხაზი გაუსვა გამოძიების მნიშვნელობას სისხლის სამართლის პროცესის მომზადებისათვის, ვინაიდან სწორედ ამ ეტაპზე მოპოვებული მტკიცებულება განსაზღვრავს, თუ როგორ იქნება განხილული სამართალდარღვევა სასამართლოში. სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება საკმარისად “პრაქტიკული და ეფექტური” რომ იყოს, მე-6 (1) მუხლი, როგორც წესი, მოითხოვს ადვოკატის ხელმისაწვდომობას პოლიციის მიერ დაკავებულის პირველი დაკითხვისას გარდა იმ შემთხვევისა, თუკი საქმის კონკრეტული გარემოებები გვიჩვენებს, რომ არსებობს ამ უფლების შეზღუდვის მიზეზები. აქ ხსენებულ საქმეში, დაკავებულის ადვოკატს უფლება მისცეს შესულიყო სასამართლო დარბაზში დაკითხვის პროცესში, თუმცა ეს პასიური დასწრება იყო და მას არ ჰქონდა ჩარევის შესაძლებლობა ბრალდებულის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად⁴⁵. 2014 წელს საქმეში არასო თურქეთის წინააღმდეგ⁴⁶, ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ ადვოკატის ფორმალური ყოფნა არ იყო საკმარისი და ადვოკატს უნდა ჰქონდეს საშუალება, რჩევა და კონსულტაცია გაუწიოს ბრალდებულს. ამასთან, კანონმდებლობა და პრაქტიკა საშუალებას უნდა აძლევდეს ადვოკატს, გამოვიდეს სიტყვით და დაიცვას ბრალდებული. ეს განსაკუთრებით აქტუალურია იმ საქმეებთან მიმართებაში, როდესაც პირი საკუთარი თავის წინააღმდეგ აძლევს ჩვენებას და ეს საფუძვლად უდევს მის შემდგომ ბრალდებას⁴⁷.

43. *ob. Rowe and Davis v. the United Kingdom* [GC], no. 28901/95, § 60, ECHR 2000-II.

44. *Luchaninova v. Ukraine*, no. 16347/02, § 62, 2011 წლის 9 ივნისი;

45. *Salduz v. Turkey* [GC], no. 36391/02, § 52, 2008 წლის 27

46. არასო თურქეთის წინააღმდეგ, 2014 წლის 18 ნოემბერის გადაწყვეტილება;

47. ბიკოვი რუსეთის წინააღმდეგ, 2014 წლის 10 ოქტომბერის გადაწყვეტილება;

როგორც ბევრ შემთხვევაში, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ პირს, რომელსაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა და რომელსაც არ სურს თავად დაიცვას თავი, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ისარგებლოს იურიდიული დახმარებით საკუთარი სურვილის მიხედვით⁴⁸. სისხლის სამართლის პროცესში, ბრალდებულს, რომელიც თავად ანაზღაურებს იურიდიული წარმომადგენლის ხარჯებს, უფლება აქვს თავად აირჩიოს დაცვის ადვოკატი, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, სადაც მისი უფლებების დაცვაზე უპირატესი მართლმსაჯულების ინტერესებია ან დაკავშირებულია დასაბუთებულ და მნიშვნელოვან დაბრკოლებებთან⁴⁹. 2014 წელს საქმეში *დვორსკი ხორვატიის წინააღმდეგ*⁵⁰, ევროპის სასამართლომ გამორიცხა ყველა შესაძლებლობა იმისა, რომ მის მიერ არჩეულ ადვოკატზე პირდაპირ და აშკარად უარის თქმის შემთხვევად განხილულიყო ბრალდებულის მიერ რწმუნებულებაზე ხელმოწერა და პოლიციისთვის ჩვენების მიცემა. სასამართლომ განაცხადა, რომ ადვოკატის ყოლის უფლება ერთერთი იმ ფუნდამენტური უფლებათაგანია, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიან სასამართლოსა და კონვენციის მე-6 მუხლით აღიარებული უფლებების დაცვას. შესაბამისად, ამ უფლებაზე უარის თქმა მიეკუთვნება იმ გარანტიათა კატეგორიას, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ დაცვას“ გაცნობიერებული და გონივრული უარის” სტანდარტით, სასამართლოს მიერ აღიარებული პრეცედენტული სამართლით⁵¹.

მიუხედავად ადვოკატ-კლიენტს შორის არსებული ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის მნიშვნელობისა, ეს უფლება მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს აბსოლუტურად⁵². ეროვნულმა ხელისუფლებამ შეიძლება ბრალდებულის სურვილი იურიდიულ წარმომადგენლობასთან მიმართებაში პრიორიტეტულად არ მიიჩნიოს, თუკი არსებობს შესაბამისი და საკმარისი საფუძველი იმის დასამტკიცებლად, რომ ეს პრიორიტეტი მართლმსაჯულების ინტერესს ემსახურება⁵³.

ევროპის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, ჩვეულებრივ სახელმწიფო ვერ იქნება პასუხისმგებელი ბრალდებული პირის ადვოკატის ქმედებებზე, ან გადაწყვეტილებებზე⁵⁴, ვინაიდან დაცვის მხარის ქცევა, ძირითადად, ბრალდებულ-ადვოკატის

48. Campbell and Fell v. the United Kingdom, 28 June 1984, § 99, Series A no. 80; Pakelli v. Germany, 25 April 1983, § 31, Series A no. 64; and Whitfield and Others v. the United Kingdom, nos. 46387/99, 48906/99, 57410/00 და 57419/00, § 48, 2005 წლის 12 აპრილი;

49. Pavlenko, ციტირებულია ზემოთ, § 98, და Klimentyev v. Russia, no. 46503/99, §§ 116-119, 2006 წლის 16 ნოემბერი;

50. დვორსკი ხორვატიის წინააღმდეგ, 2013 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება, გადაცა დიდ პალატას 2014 წლის აპრილში (მიმდინარე).

51. Pishchalnikov v. Russia, no. 7025/04, §§ 77-79, 2009 წლის 24 სექტემბერი;

52. Prehn v. Germany (dec.), no. 40451/06, 2010 წლის 24 აგვისტო;

53. Croissant v. Germany, 25 September 1992, §§ 29 და 30, Series A no. 237-B, and Pavlenko v. Russia, no. 42371/02, § 98, 2010 წლის 1 აპრილი;

54. Stanford v. the United Kingdom, 1994 წლის 23 თებერვალი, § 28, Series A no. 282-A;

შიდა საქმეა იმის მიუხედავად, სახანინო თუ კერძო ადვოკატი⁵⁵. მიუხედავად ამისა, თუკი იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ დანიშნული ადვოკატი ან ზოგიერთ შემთხვევაში კერძო ადვოკატი ვერ შეძლებს ეფექტური წარმომადგენლობის განხორციელებას, კონვენციის მე-6§3 (გ) მუხლი ეროვნული ხელისუფლების ჩარევას მოითხოვს⁵⁶.

ევროპის სასამართლომ არაერთხელ გაუსვა ხაზი გამოძიების მნიშვნელობას სისხლის სამართლის პროცესის მომზადების საკითხში, ვინაიდან ამ ეტაპზე მოპოვებული მტკიცებულება განსაზღვრავს ზოგადად კანონმდებლობას, რომლის ფარგლებში იქნება განხილული სასამართლოში წაყენებული ბრალდება⁵⁷. ამავდროულად, ხშირად ბრალდებული საკუთარ თავს განსაკუთრებით მოწყვლადად აღიქვავს პროცესის დროს. ამ შედეგს კიდევ უფრო აუარესებს ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა განსაკუთრებით იმ წესებთან მიმართებაში, რომლებიც მტკიცებულებათა შეგროვებას და გამოყენებას არეგულირებენ, სულ უფრო კომპლექსური ხდება. უმეტეს შემთხვევაში, ამ კონკრეტული მოწყვლადობის კომპენსაცია შესაძლებელია ადვოკატის დახმარებით, რომლის ამოცანაა, ბრალდებულის სხვა უფლებებთან ერთად, ბრალდებულის მიერ დანაშაულის არ დაბრალების უფლების დაცვა⁵⁸.

სამართლებრივი წარმომადგენლობის სისხშირე სამართლებლოში (სამართლებლო ადვოკატთა ასოციაცია)

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია აერთიანებს ყველა ადვოკატს, მათ შორის სისხლის სამართლის სფეროში სპეციალიზებულ ადვოკატებს⁵⁹. საქართველოს კანონის მოთხოვნა საადვოკატო საქმიანობის ორგანიზაციულ ფორმასთან მიმართებაში საკმაოდ ლიბერალურია. კანონის თანახმად, ადვოკატს უფლება აქვს, საადვოკატო საქმიანობის განსახორციელებლად ინდივიდუალურად, სხვა ადვოკატებთან ან სხვა პირებთან ერთად შექმნას საადვოკატო ბიურო ამხანაგობის ან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სამეწარმეო იურიდიული პირის სახით⁶⁰.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა ოფიციალური სიის თანახმად, საქართველოში რეგისტრირებულია 3,982 ადვოკატი. თუმცა, მათგან მხოლოდ 3,119-ს აქვს სისხლის სამართლის პროცესში

55. Czekalla v. Portugal, no. 38830/97, § 60, ECHR 2002-VIII; see also Bogumil v. Portugal, no. 35228/03, § 46, 2008 წლის 7 ოქტომბერი;

56. Güveç v. Turkey, no. 70337/01, §§ 130-131, ECHR 2009.

57. Salduz, ციტირებულია ზემოთ, § 54.

58. Pavlenko, v. Russia, § 101.

59. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ბევრს კამათობდნენ იმაზე, უნდა დაეშვათ თუ არა ერთდროულად რამდენიმე ადვოკატთა ასოციაციის არსებობა.

60. მუხლი 18, კანონი ადვოკატთა შესახებ, მიღებულია 2001 წლის 20 ივნისს;

მონაწილეობის უფლება, ვინაიდან სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის ლიცენზია მხოლოდ იმ პირებს გააჩნიათ, ვინც ჩააბარა საადვოკატო გამოცდა (2,100 ადვოკატი), რომელიც აერთიანებს სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალს ან გამოცდა სისხლის სამართალში (1,019 ადვოკატი⁶¹).

2013-2014 წლის მონაცემებით, ადვოკატები საქართველოში სისხლის სამართლის საქმეებზე დაცვის განხორციელების პრინციპებს ძირითადად კარგად ვერ იცნობენ. ხელისუფლებამ დიდი ძალისხმევა მოახმარა სამართალდამცავი უწყებების (მათ შორის, სასამართლოს, პროკურატურისა და პოლიციის) ინსტიტუციურ გაძლიერებას. ამ მიმართულებით, სახელმწიფოს ადვოკატთა ასოციაციის გაძლიერებისათვის დიდი ძალისხმევა არ მოუხმარებია. სისხლის სამართლის სფეროში სპეციალიზებული ადვოკატები ძალიან პესიმისტურად იყვნენ განწყობილი სისხლის სამართლის საქმეებში წარმატების მიღწევასთან დაკავშირებით სწორედ იმ ტენდენციის გამო, რომელიც გამამართლებელი განაჩენების 2013 წლამდე შეგროვებული სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებდა. სასამართლოს განაჩენი პროკურატურის ზეწოლის ქვეშ გამოჰქონდა. არაოფიციალურ საუბრებში, ბევრი ადვოკატი აღნიშნავდა, რომ სისხლის სამართლის საქმეების მოგების იმედის არარსებობის გამო, არჩევანს სამოქალაქო საქმეებზე აკეთებდნენ.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ოფიციალური ორგანოა, რომელიც გასცემს ლიცენზიას საადვოკატო საქმიანობის განსახორციელებლად და რომელმაც შემოიღო ეთიკის კოდექსი, რაც თავის მხრივ დისციპლინურ მექანიზმსაც მოიცავს.

სისხლის სამართლის ადვოკატებსა და მათ კლიენტს შორის ურთიერთობას ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კოდექსი არეგულირებს. ამ კოდექსის თანახმად, ყველა ადვოკატმა პროფესიული საქმიანობა უნდა განახორციელოს კოდექსში მითითებულ 6 ძირითად პრინციპზე დაყრდნობით. ეს პრინციპებია:


- ა. დამოუკიდებლობა - ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს;
- ბ. ნდობა - ადვოკატმა ყველაფერი უნდა გააკეთოს კლიენტის ინტერესის დასაცავად და არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. კოდექსი მიუთითებს, რომ აღნიშნული თვისება ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა.

61. ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: < www.gba.ge > [2015 წლის 2 ოქტომბერი];

- გ. კონფიდენციალობა - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ეს ვალდებულება არ არის განსაზღვრული დროში. ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია კლიენტის თანხმობის საფუძველზე ან მის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან თავის დასაცავად.
- დ. ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა.
- ე. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი - ადვოკატს უფლება არა აქვს წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი.
- ვ. კოლეგიალობის პრინციპი - ადვოკატი ვალდებულია, პატივი სცეს კოლეგებს.

ეთიკის კოდექსი ავალდებულებს ადვოკატს, იმოქმედოს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დასაცავად.

უკანასკნელი სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2014 წელს ეთიკის კომისიამ 27 ადვოკატის წინააღმდეგ დაიწყო დისციპლინური წარმოება. 2013 წელს ეთიკის კომისიის მიერ დაწყებული დისციპლინური წარმოების რაოდენობა 32 იყო, ხოლო 50 საქმეზე არ დაიწყო წარმოება. კომისიამ დისციპლინური სანქცია დააკისრა 11 ადვოკატს და გაამართლა 3 ადვოკატი. 2013 წელს სისხლის სამართლის სფეროში მოღვაწე 58 ადვოკატის წინააღმდეგ შევიდა საჩივარი კომისიაში. 2012 წელს 29 დისციპლინური წარმოება იყო, ხოლო 61 უარყოფილი შემთხვევა. კომისიამ სანქცია დააკისრა 18 ადვოკატს და გაამართლა 5 მათგანი. 2011 წელს 19 დისციპლინური პროცესი, ხოლო 56 უარყოფილი საქმე იყო. ამათგან, კომისიამ 12 ადვოკატს დააკისრა სანქცია, მხოლოდ 3 გაამართლა.



წინა კვლევაში⁶² სისხლის სამართლის ადვოკატთა უმეტესობა აცხადებდა, რომ მათი როლი სისხლის სამართლის წარმოებაში ნომინალური იყო და სისხლის სამართლის სფეროში არსებული მდგომარეობა საგანგაშოა. სამოქალაქო სამართლის ადვოკატები კი აცხადებენ, რომ ხედავენ საკუთარი საქმიანობის ეფექტურობას. იგივეს ამბობენ ადმინისტრაციულ საქმეებზე მომუშავე ადვოკატები. ადვოკატების თქმით, სისხლის სამართლის საქმეებში არ აქვთ კლიენტების ინტერესების ეფექტურად დაცვის შესაძლებლობა პროკურატურისა და სასამართლოს მიერ წარმოებული პოლიტიკის გამო.

საპროცესო შეთანხმების გამოყენების ახალი წესი, როგორც ჩანს, ასევე უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატების საქმიანობაზე სისხლის სამართალში. საპროცესო შეთანხმების მიზანია, გადაწყვეტილების არსებითი განხილვის გარეშე გამოტანა. საპროცესო შეთანხმების გამოყენების საფუძველი შეიძლება გახდეს ბრალის აღიარება ან სასჯელზე შეთანხმება.

უკანასკნელი სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ 2014 წლამდე, სისხლის სამართლის საქმეების უმრავლესობა საპროცესო შეთანხმებით დასრულდა⁶³. 2013 წელს საპროცესო შეთანხმება გამოყენებულ იქნა საქმეების 88,8%, ხოლო 2012 წელს 87.9%. 2014 წელს ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად შემცირდა და 69.7% შეადგინა⁶⁴. საპროცესო შეთანხმების დროს დაცვის ადვოკატის ყოლა აუცილებელია. თუმცა, 2011 წლის დეკემბერში ახალი ცვლილებების მიღებამდე, ადვოკატის და სასამართლოს როლი საპროცესო შეთანხმების პროცესში საკმაოდ შეზღუდული იყო პროკურორის ვრცელი მანდატის გამო. მაშინაც კი, როდესაც ადვოკატები კლიენტებს საქმის ბოლომდე მიყვანას ურჩევდნენ, უმეტეს შემთხვევებში ბრალდებულები სასამართლოში წარმატების მიღწევის იმედი არ ქონის გამო, თანხმდებოდნენ პროკურორის შემოთავაზებულ საპროცესო შეთანხმებას და იხდიდნენ შეთანხმებულ თანხას პატიმრობის თავიდან აცილების ან საპატიმრო ვადის შემცირების სანაცვლოდ. 2012 წლიდან მოსამართლეს უფლება აქვს, შეაფასოს საპროცესო შეთანხმების ადეკვატურობა და გარკვეულ შემთხვევებში უარყოს ის, ვინაიდან ადვოკატის როლი გაიზარდა.

სახელმწიფოს არ შეუძლია იზრუნოს ადვოკატთა ინსტიტუციურ გაძლიერებაზე და განათლების გაუმჯობესებაზე, რაც ასევე უარყოფითად აისახება სისხლის სამართლის ადვოკატთა საქმიანობაზე. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ინკვი-

62. 2010 წელს განხორციელდა OSI-ის მიერ (LARN);

63. იხ. ზემოთ საპროცესო შეთანხმებების ამსახველი ცხრილი;

64. იხ. შემდეგი ბმული: < <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2014w-statistic-3.pdf> > ნანახია [12 ოქტომბერი, 2015 წელი]; ;

ზიციური სამართლებრივი სისტემის შეჭიბრებითი ჩანაცვლება, კოდექსში შეტანილი სიახლეები და ახალი უფლებებისა და მოვალეობების შემოღება ადვოკატთა ეფექტურ, უწყვეტ განათლებას მოითხოვს. სასამართლო სფეროში სახელმწიფოს და საერთაშორისო აქტორების განათლების კუთხით განხორციელებული ძალისხმევა დღემდე ძირითადად პროკურორებისა და მოსამართლეების ინსტიტუციურ გაძლიერებაზე და განათლებაზე იყო მიმართული და ეს უარყოფით ზეგავლენას ახდენს ადვოკატებზე სისხლის სამართლის პროცესში.

თუმცა 2012-2014 წლებში ამ მიმართულებით დადებითი ნაბიჯები გადაიდგა. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ადვოკატებისათვის უწყვეტი იურიდიული განათლების პროგრამის განხორციელება დაიწყო. ამასთან, ადვოკატები ვალდებული არიან ყოველწლიურად სავალდებულო კრედიტების გარკვეული რაოდენობა დააგროვონ.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ბრალდებულის პატიმრობის პერიოდში სისხლის სამართლის ადვოკატის როლის შესახებ სპეციალური დებულებები არ არის წარმოდგენილი. შესაბამისად ზოგადად ყველა პროცედურაზე, რომელშიც ადვოკატი მონაწილეობს იგივე სტანდარტები, უფლებები და ვალდებულებები ვრცელდება.

ბრალდებული (პირი, რომელიც დაკავებულია ან დაკავების გარეშე აქვს ბრალი წაყენებული) ან მისი ახლო ნათესავი ან სხვა პირი, რომელიც ბრალდებულის სურვილის თანახმად მოქმედებს, უფლებამოსილია აირჩიოს ან დანიშნოს ადვოკატი. ბრალდებულს აქვს ადვოკატის არჩევისა და ყოლის უფლება, ასევე მის მიერ არჩეული ადვოკატის ნებისმიერ დროს შეცვლის უფლება. ხოლო თუკი ის უქონელია, უფლება, დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. ბრალდებულს უნდა ჰქონდეს გონივრული დრო და საშუალება დაცვის მოსამზადებლად. ბრალდებულის და მისი ადვოკატის ურთიერთობა კონფიდენციალურია. არც ერთ პიროვნებას არ აქვს უფლება შეაფერხოს ბრალდებულისა და ადვოკატის ურთიერთობა, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ადვოკატს დაცვის სათანადოდ განხორციელებაში⁶⁵. გამომძიებელს, პროკურორს და მოსამართლეს არ აქვთ უფლება, რეკომენდაცია გაუწიონ რომელიმე ადვოკატს. ბრალდებული, მისი ახლო ნათესავი ან სხვა პირი და ადვოკატი თავიანთ ურთიერთობებს არეგულირებენ შეთანხმების საფუძველზე⁶⁶.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ადვოკატმა ყველა კანონიერი საშუალება უნდა გამოიყენოს იმ გარემოებების

65. მუხლი 38, პარაგრაფები 5-6, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;

66. მუხლი 41, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;

დასადგენად, რომლებიც ადასტურებს ბრალდებულის უდანაშაულობას და/ან ამსუბუქებს მის პასუხისმგებლობას. ადვოკატს უფლება არ აქვს, იმოქმედოს ბრალდებულის ინსტრუქციებისა და ინტერესების, ასევე მისი ნების საწინააღმდეგოდ. ადვოკატს უფლება არ აქვს, შეიტანოს ან გამოიტანოს სარჩელი წაყენებულ ბრალდებასთან და სასჯელთან დაკავშირებით ბრალდებულის ნების წინააღმდეგ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბრალდებული არასრულწლოვანია ან გააჩნია ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რომლის გამოც შეუძლებელია მისი თანხმობის მოპოვება.

ადვოკატს უფლება აქვს, გაეცნოს პროკურორის მიერ ბრალდებულის საწინააღმდეგოდ შეგროვებულ მტკიცებულებებს, მოიპოვოს მტკიცებულებების ასლები და საქმის მასალები და, ასევე, ისარგებლოს ბრალდებულის ყველა უფლებით და სხვა უფლებებით, რომლებიც გარანტირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. ადვოკატს უფლება არ აქვს, განახორციელოს ის უფლებები, რომლებიც თავისი შინაარსით ექსკლუზიურად ბრალდებულმა უნდა განახორციელოს.

არ არსებობს სპეციალური წესები, აქტები ან ბრძანებულებები პოლიციის დაწესებულებაში პირველი დაკითხვის ან პროცედურების და ამ სამართლებრივ პროცედურებში ადვოკატის მონაწილეობის შესახებ. ეს პროცესი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში იურიდიულ დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი წესებით რეგულირდება პირის დაკავების ან ბრალის წაყენების პირველივე წუთიდან და შემოთ არის განხილული.

იურიდიული კონსულტაციის გაწევა პოლიციის დაწესებულებაში აუცილებელია, როდესაც ბრალდებული ან მისი ნათესავები ადვოკატს დაიქირავებენ და თხოვნით მიმართავენ, დაიცვას დაკავებულის სამართლებრივი ინტერესები. პოლიციის დაწესებულებაში იურიდიული კონსულტაციის გაწევის უფლება მხოლოდ იმ ადვოკატებს გააჩნიათ, რომლებმაც ჩააბარეს გამოცდა სისხლის სამართლის პროცესში (ან საერთო სპეციალიზაციით) და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები არიან. იურიდიული დახმარების სამსახურის ყველა ადვოკატი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრია. მომსახურებების მიწოდება დეცენტრალიზებულია და კერძო ადვოკატების მიერ ხორციელდება ან 116 იურიდიული ფირმისა და 11 იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ, რომლებიც საქართველოს დედაქალაქსა და რეგიონებში არიან განთავსებული. ადვოკატების ან იურიდიული ფირმებისათვის პოლიციის დაწესებულებაში იურიდიული დახმარების გაწევის რაიმე კონკრეტული მოთხოვნა ან სტანდარტი არ არსებობს. ზოგადი წესები სისხლის სამართლის პროცესის ყველა ეტაპზე ვრცელდება და თუკი ადვოკატს

შესაბამისი გამოცდა აქვს ჩაბარებული და ადვოკატთა ასოციაციის წევრია, იურიდიული კონსულტაციის განწევისას სამართლებრივი დაბრკოლება არ შეექმნება. კერძო ადვოკატებს ან ფირმებს იურიდიული კონსულტაციისა და დახმარების განწევა ბრალდებულთან და მის ახლობელ პირთან და ადვოკატთან ან იურიდიულ ფირმასთან შეთანხმების შემდეგ შეუძლიათ. ბრალდებულის მიერ იურიდიული დახმარების მოთხოვნის შემდეგ, გამომძიებელი მოცემულ რაიონში მდებარე უახლოეს ოფისს უგზავნის მოთხოვნას. კერძო ადვოკატის ან იურიდიული ფირმის მომსახურეობა უფასო არ არის და ღირებულება ბრალდებულსა და ადვოკატს შორის დადებული ხელშეკრულებით განისაზღვრება. რაც შეეხება სახელმწიფო იურიდიული დახმარების მომსახურეობას, ის უფასოა და მხოლოდ უქონელი ბრალდებულებისთვისაა განკუთვნილი. ადვოკატს (კერძოს თუ სახაზინოს) აქვს პირადი ვიზიტების განხორციელების, ტელეფონის საშუალებით კონსულტაციის განწევის უფლება და მისი კლიენტთან ყველანაირი კომუნიკაცია კონფიდენციალურია.

ამასთან, მკვლევართა ჯგუფმა დაასკვნა, რომ როდესაც ადვოკატი ბრალდებულის თხოვნით დაკითხვას ესწრება, ბრალდებულის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება უფრო გასაგები, თანმიმდევრული და ზეწოლისაგან თავისუფალია. ჩვეულებრივ, ადვოკატს შეუძლია დაესწროს დაკითხვის პროცესს, მაგრამ, ხშირად პოლიციის მოხელეები ბრალდებულისათვის ადვოკატის ყოლის უფლების განმარტებისას ასევე ამბობენ, რომ ამ უფლებით ასევე შეუძლიათ ისარგებლონ მოგვიანებით, სასამართლო პროცესზე. ეს შეიძლება გაგებულ იქნას, რომ აუცილებელი არ არის ადვოკატის ყოლა დაკითხვის დროს და შეუძლიათ ბრალდებულის დაკითხვა ადვოკატის გარეშე გააგრძელონ.

როდესაც პირი ადვოკატს ითხოვს, ზოგჯერ პოლიციის მოხელეები აშკარად გამოხატავენ უკმაყოფილებას. ისინი მიიჩნევენ, რომ ადვოკატის ჩართვით პროცესი გაჭიანურებული და გამალიზიანებული ხდება. იმ დაკითხვების დროს, რომლებსაც ექსპერტები ესწრებოდნენ, გამომძიებლის კითხვაზე, სურდა თუ არა ბრალდებულს ადვოკატის ყოლა, დადებითი პასუხის შემთხვევაში აშკარა იყო, რომ ადვოკატთან დაკავშირება შემდგომში პრობლემას წარმოადგენდა. ბრალდებულს აძლევდნენ მობილურ ტელეფონს და სთავაზობდნენ, დაერეკა ადვოკატთან, მაგრამ გამომძიებლის ტელეფონის ანგარიშზე თანხა არ იყო. გამომძიებელი აგრძელებდა დაკითხვას და არწმუნებდა ბრალდებულს, რომ ადვოკატი მოგვიანებით იქნებოდა ხელმისაწვდომი. ადვოკატები, ასევე, აცხადებენ, რომ ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევებში, გაურკვეველი მიზეზებით მათ დაკავებულთან დაუყოვნებლივ შეხვედრის უფლებას არ აძლევდნენ. ასეთ შემთხვევებში მცირე ხნით მალავენ ბრალდებულის

ადგილსამყოფელს, ვიდრე ბრალდებულს პოლიციის დაწესებულებაში არ გადაიყვანენ. მკვლევართა გუნდს შთაბეჭდილება შეექმნა, რომ პოლიცია ამ პერიოდში ბრალდებულის „დამუშავებას“ ახორციელებს და მხოლოდ ამის შემდეგ აძლევს ადვოკატს მასთან კომუნიკაციის საშუალებას. თუმცა ეს მაგალითები გამონაკლისს წარმოადგენენ და არა გავრცელებულ პრაქტიკას.

სამართლებრივი დახმარების უფლება, იურიდიული დახმარება და დაკავების შემდგომი კომუნიკაცია საქართველოში

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პირდაპირ უზრუნველყოფს ბრალდებულის უფლებას, იყოლიოს ადვოკატი. დაკავების მომენტში ან თუ დაკავება არ ხდება, ბრალდებულად ცნობისთანავე, დაუყოვნებლივ, ასევე ნებისმიერი დაკითხვის წინ ბრალდებულს უნდა ეცნობოს, რომ მას აქვს უფლება ადვოკატზე⁶⁷. ბრალდებულს აქვს ადვოკატის არჩევისა და ყოლის, ასევე მის მიერ არჩეული ადვოკატის ნებისმიერ დროს შეცვლის უფლება, ხოლო თუ ის უქონელია – უფლება, დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. ადვოკატს ირჩევს და იყვანს ბრალდებული ან ბრალდებულის ნების გათვალისწინებით მისი ახლო ნათესავი ან სხვა პირი. გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს უფლება არა აქვთ, რეკომენდაცია გაუწიონ რომელიმე ადვოკატს. ბრალდებული (მისი ახლო ნათესავი, სხვაპირი) და ადვოკატი თავის ურთიერთობებს აწესრიგებენ მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობა კონფიდენციალური და შეუზღუდავია. კონფიდენციალურია, ასევე, პირის ბრალდებულად ცნობამდე მისი ურთიერთობა მის შესაძლო ადვოკატთან. პატიმრობაში მყოფი ბრალდებულის ურთიერთობა მის ადვოკატთან შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ ვიზუალური მეთვალყურეობით.

ბრალდებულს უნდა ჰქონდეს გონივრული დრო და საშუალება დაცვის მომზადებისათვის. ბრალდებულს უფლება აქვს, უარი თქვას ადვოკატის მომსახურებაზე და დამოუკიდებლად დაიცვას თავი, რისთვისაც მას უნდა მიეცეს საკმარისი დრო და საშუალება (ამ პრაქტიკის დაფიქსირება ხორციელდება ადგილზე). ბრალდებულს არ შეუძლია უარი თქვას ადვოკატის მომსახურებაზე, თუ ის ექვემდებარება სავალდებულო დაცვას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ბრალდებულს სავალდებულოა ჰყავდეს ადვოკატი:

- ა) თუ არასრულწლოვანია;
- ბ) თუ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;

67. მუხლი 38, პარაგრაფი 2, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, mutatis mutandis მუხლი 174, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;

- გ) თუ აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რაც ხელს უშლის მის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებას;
- დ) თუ გამოტანილია განჩინება (დადგენილება) სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ;
- ე) თუ ჩადენილი ქმედებისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით;
- ვ) თუ მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე;
- ზ) თუ სისხლის სამართლის საქმეს იხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო;
- თ) თუ თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას;
- ი) თუ გააძევეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან;
- კ) თუ არაიდენტიფიცირებული პირია;
- ლ) ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს, რომ სახელმწიფო გაიღებს დაცვის ხარჯებს თუ:

- ა) გადახდისუუნარო ბრალდებული მოითხოვს ადვოკატის დანიშვნას;
- ბ) არსებობს ამ კოდექსით დადგენილი სავალდებულო დაცვის შემთხვევა და სისხლის სამართლის საქმეში არ მონაწილეობს ბრალდებულის მიერ აყვანილი ადვოკატი. ასეთ შემთხვევაში, ბრალდების მხარე ან მოსამართლე ვალდებულია, დაუყოვნებლივ მიმართოს იურიდიული დახმარების შესაბამის სამსახურს ადვოკატის სახელმწიფოს ხარჯზე დანიშვნის მოთხოვნით. დაცვის სახელმწიფოს ხარჯზე განხორციელების შემთხვევაში, სახელმწიფო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიღებს დაცვისთვის საჭირო სხვა ხარჯებსაც, თუ ეს ხარჯები პირდაპირაა დაკავშირებული ბრალდებულის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებასთან.

ბრალდებულს უფლება აქვს, საკუთარი ხარჯით, თვითონ ან/და ადვოკატის დახმარებით მოიპოვოს მტკიცებულება. ბრალდებულის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებას ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულების თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. თუ მტკიცებულების მოპოვებისთვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, იგი უფლებამოსილია, შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. მოსამართლე ვალდებულია, მიიღოს ყველა ზომა, რათა ბრალდების მხარისათვის ცნობილი არ გახდეს დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვება.

მონიტორინგის დროს იდენტიფიცირებადი პრაქტიკული ასკეზები

მკვლევართა დაკვირვებით, როგორც წესი, ბრალდებულს აქვს შესაძლებლობა, მოითხოვოს ადვოკატი. უმეტეს შემთხვევებში, ოჯახს აწვდიან ინფორმაციას ამ მოთხოვნის შესახებ. დაკავებულს უფლება არ აქვს, ადვოკატისაგან სამართლებრივი რჩევა მიიღოს ტელეფონით ან ფაქსით - კონსულტაციის მიღება მხოლოდ პირისპირ შეხვედრით არის შესაძლებელი. საქართველოს კანონმდებლობით, ადვოკატს დაკავებული პირისთვის იურიდიული დახმარების, მათ შორის, კონსულტაციის გაწევა მხოლოდ ოფიციალურ საგამოძიებო უწყებაში ან გამომძიებელთან დოკუმენტის წარდგენის შემდეგ შეუძლია. ბრალდებულსა და ადვოკატს შორის პირველი კომუნიკაციის დამყარება პრობლემატურია. პოლიციის მოხელეებისა და ადვოკატების გამოკითხვების შედეგად ირკვევა, რომ საქართველოს კანონი არ განსაზღვრავს ბრალდებულის მიერ ადვოკატთან პირველი დაკავშირების ზუსტ წესს. ერთის მხრივ, კანონი ბრალდებულს აძლევს ადვოკატის საკუთარი სურვილით შერჩევისა და ყოლის უფლებას, ხოლო, მეორეს მხრივ, უფლებას არ აძლევს, თავად დაუკავშირდეს ადვოკატს (მაგალითად, ტელეფონით). საქართველოს კანონმდებლობით, ადვოკატი საკუთარ უფლებამოსილებას განჩინების საფუძველზე ახორციელებს. განჩინების წინაპირობას კი წარმოადგენს ადვოკატსა და ბრალდებულს ან ბრალდებულის ახლობელს შორის გაფორმებული შეთანხმება. თუკი ბრალდებულს ნათესავები არ ჰყავს (ან მათთან დაკავშირება შეუძლებელია), ვის შეუძლია ადვოკატთა ხელშეკრულების დადება, თუკი ადვოკატს არ აქვს უფლება წარმოდგინოს განჩინება რომლითაც დაასაბუთებს, რომ არის ადვოკატი?

თუკი ბრალდებულს არ მიაწოდებენ ინფორმაციას, თუ რა დანაშაულის ჩადენეში არის ეჭვმიტანილი, არ მისცემენ ადვოკატის ყოლის უფლებას, არ განუმარტავენ, რომ აქვს დუმილის, კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება, უფლება, არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ და რომ მის მიერ მიცემული ჩვენება შეიძლება მის საწინააღმდეგოდ იყოს გამოყენებული სასამართლოში, რომლის მიერ უფლებების განმარტებამდე გაკეთებული ნებისმიერ განცხადება დაუშვებელ მტკიცებულებად ჩაითვლება - მაშინ ბრალდებული დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლონ⁶⁸. გარდა ამისა, ყველას აქვს უფლება, მოითხოვოს და მიიღოს კომპენსაცია უკანონო საპროცესო ქმედებების და უკანონო სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სარჩელის პროცედურების შედეგად მიყენებული ზარალის სანაცვლოდ. პირს, რომლის საპროცესო უფლებები დაირღვა, უფლება აქვს, მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება იგივე სამოქალაქო სარჩელის პროცედურის მეშვეობით.

68. მუხლი 175, პარ. 4, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;

იურიდიული დახმარება სისხლის სამართლის საქმეებზე

იურიდიული დახმარების სამსახური არის სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს უფასო იურიდიული დახმარების გაწევას სოციალურად დაუცველი პირებისათვის. იურიდიული დახმარების სამსახური 2007 წლის ივლისში დაარსდა და ამჟამად საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიას ფარავს იურიდიული დახმარების ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების მეშვეობით.

იურიდიული დახმარება მოიცავს:

- სამართლებრივ პრობლემებზე იურიდიული დახმარების გაწევას;
- სამართლებრივი დოკუმენტების (განცხადებები, შუამდგომლობები და სხვა სამართლებრივი დოკუმენტები) მომზადებაში დახმარებას;
- სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოში ბრალდებულისა და მსჯავრდებულის სამართლებრივ წარმომადგენლობას;
- ადვოკატის დახმარებას სავალდებულო ფსიქიატრიული დაცვის საქმეებზე;
- ადვოკატის დახმარებას ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შემთხვევებზე, რომელიც შეიძლება ითვალისწინებდეს პირის დაკავებას.

იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მიზანია, საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გარანტირებული დაცვის უფლების უზრუნველყოფისთვის აუცილებელი, სოციალურ მოთხოვნილებებზე ორიენტირებული, მდგრადი და საიმედო იურიდიული დახმარების სისტემის შექმნა.

იურიდიული კონსულტაცია და იურიდიული დახმარება უზრუნველყოფილია სისხლის სამართლის პროცესში, თუკი ბრალდებულს ან მსჯავრდებულს არ გააჩნია იურიდიული დახმარების მისაღებად საჭირო რესურსი. იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება უფასო იურიდიული დახმარება გაუწიოს პირს, რომელიც არ არის რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში, თუკი ეს პირი აკმაყოფილებს იურიდიული დახმარების საბჭოს მიერ წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

2008 და 2013 წლებში კანონში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. ამ ცვლილებების თანახმად, იურიდიული დახმარების სამსახური დამოუკიდებელ უწყებად ჩამოყალიბდა, რომელიც

მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშეა ანგარიშვალდებული. სამსახურის დირექტორი წელიწადში ერთხელ აბარებს პარლამენტს ანგარიშს.

ზოგადად, კანონი შემდეგ პრინციპებს ეფუძნება:

- იურიდიული დახმარების სამსახური არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე;
- ყველას აქვს უფლება ისარგებლოს იურიდიული კონსულტაციითა და იურიდიული დახმარებით სახელმწიფოს ხარჯზე⁶⁹;
- იურიდიული კონსულტაცია გაიწვევა ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე და ყველასთვის სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს⁷⁰.
- მხოლოდ ფიზიკურ პირს და არა იურიდიულს აქვს უფლება ისარგებლოს იურიდიული დახმარების მომსახურეობით⁷¹.
- სისხლის სამართლის პროცესში იურიდიული დახმარება უზრუნველყოფილია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე, თუბრალდებული გადახდისუუნაროა⁷².

იურიდიული დახმარების სამსახური არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც უზრუნველყოფს იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობას და ახორციელებს საკუთარ უფლებამოვალეობებს საქართველოს კანონმდებლობის თანახმად.

იურიდიული დამხმარების საბჭოს დაარსების მიზანია, უზრუნველყოს სამსახურის დამოუკიდებელი, გამჭვირვალე ფუნქციონირება და განახორციელოს სამეთვალყურეო ფუნქცია. საბჭო შედგება 9 წევრი-საგან, რომელთაგან 3 წევრს ირჩევს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო, 3 წევრს – საქართველოს სახალხო დამცველი, 1 წევრს იურიდიული დახმარების ბიუროების ადვოკატთაგან შეარჩევენ იურიდიული დახმარების ბიუროები, 1 წევრს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთაგან წარადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრი, ხოლო 1 წევრს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრებისაგან – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

საბჭო:

- ა) კონკურსის წესით ირჩევს დირექტორს და კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში იღებს გადაწყვეტილებას დირექტორისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ;

69. მუხლი 1, საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ;

70. მუხლი 1, საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ;

71. მუხლი 4, საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ;

72. მუხლი 5, საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ;

- ბ) ამტკიცებს სამსახურის სტრატეგიას და ახორციელებს მისი შესრულების მონიტორინგს;
- გ) დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სამსახურის დებულებას, ხოლო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით – საბჭოს დებულებას;
- დ) დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესსა და კრიტერიუმებს;
- ე) ამტკიცებს იურიდიული დახმარების გაწევის კრიტერიუმებს, რომელთა საფუძველზედაც დირექტორმა შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება პირისთვის იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ;

სამსახურს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც საბჭო შეარჩევს ღია კონკურსის წესით 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი დირექტორად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. დირექტორის ფუნქციებია:


- ა) სამსახურის ხელმძღვანელობა, საკონსულტაციო ცენტრის, იურიდიული დახმარების ბიუროსა და მიმწოდებლის საქმიანობის ზედამხედველობა;
- ბ) ყოველწლიურად, არაუგვიანეს 1 მარტისა, საქართველოს პარლამენტისთვის სამსახურის წინა წლის საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენა;
- გ) საბჭოს მიერ დამტკიცებული ზღვრული ოდენობის ფარგლებში თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ოდენობების განსაზღვრა;
- დ) საბჭოსთან შეთანხმებით სამსახურის ბიუჯეტის პროექტისა და სამსახურის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის წარდგენა;
- ე) იურიდიული დახმარების ბიუროს/საკონსულტაციო ცენტრის შექმნისა და გაუქმების თაობაზე, აგრეთვე იურიდიული დახმარების ბიუროსა და მიმწოდებლის სამოქმედო ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილებათა პროექტების საბჭოსთვის წარდგენა;

იურიდიული დახმარების ბიურო არის სამსახურის შემადგენელი ერთეული, რომელიც კანონით დადგენილი წესითა და თავისი სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებში ახორციელებს იურიდიულ დახმარებას. თბილისსა და საქართველოს რეგიონებში 11 ბიურო ფუნქციონირებს. იურიდიული დახმარების ბიურო პასუხისმგებელია თავისი სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებში მაქსიმალურად უზრუნველყოს კვალიფიციური იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა და დაიცვას იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირთა

ინტერესები, რათა მათ შეძლონ, სრულად ისარგებლონ საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებით.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი შესაძლებლობას აძლევს იურიდიული დახმარების სამსახურს, უფრო მოქნილი იყოს დაფინანსების საკითხებთან მიმართებაში სხვა სახელმწიფო უწყებებთან შედარებით (მაგ. სამინისტრო ან დეპარტამენტი). საჯარო სამართლის პირების შესახებ კანონის თანახმად, პირები, რომლებიც ჩვეულებრივი საბიუჯეტო დაფინანსების მექანიზმის (რომლის ფარგლებშიც ასეთ უწყებებს ცალკე საბიუჯეტო ხაზი უნდა ჰქონდეთ) ფარგლებში არ ფუნქციონირებენ, უფლებამოსილი არიან ისარგებლონ დაფინანსების შემდეგი წყაროებით: საწევრო გადასახადები (თუკი უწყება საწევრო ორგანიზაციაა); მიზნობრივი სახელმწიფო საბიუჯეტო შემოწირულობები; სახელმწიფო შესყიდვების შედეგად მიღებული შემოსავალი; სახელშეკრულებო მომსახურებების შედეგად მიღებული შემოსავალი; დაფინანსების სხვა კანონიერი წყაროები (მათ შორის გრანტები⁷³). იურიდიული დახმარების შესახებ კანონშიც დაფინანსების წყაროების მსგავსი ჩამონათვალია წარმოდგენილი⁷⁴. იურიდიული დახმარების სამსახური საშუალოდ წელიწადში ბიუჯეტიდან დაახლოებით 2.8 მილიონ ლარს იღებს.

იურიდიული დახმარების სამსახურის დაფინანსება ბოლო 5 წლის განმავლობაში



სამსახურის შიდა სისტემა განსაზღვრავს იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატის თვიური ანაზღაურების ფიქსირებულ ოდენობას. იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის, მელიტონ ბენიძის განცხადებით, თბილისის ოფისებში მომუშავე ადვოკატთა თვიური ანაზღაურება 1,187 ლარია (დაახლოებით 510 ევრო), ხოლო რეგიონების ადვოკატების ანაზღაურება 1,008 ლარია (420 ევრო). იურიდიული დახმარების სამსახურს შეუძლია ადვოკატთა ხელშეკრულებით დაქირავება. ამ შემთხვევაში მათი ანაზღაურება


73. გრანტების შესახებ კანონის მე-4 მუხლის თანახმად (რომელიც 1996 წლის 28 ივნისს იქნა მიღებული) საჯარო სამართლის პირებს უფლება აქვთ, პირდაპირი წესით მიიღონ გრანტები;

74. კანონის 22-ე მუხლი;


განისაზღვრება შესრულებული სამუშაოს ხასიათის, აქტოვობების და მომზადებული იურიდიული დოკუმენტების რაოდენობის მიხედვით (მაგ. რამდენი შუამდგომლობა მოამზადეს და წარადგინეს სასამართლოში ან სამართალდამცავ ორგანოებში ან ციხეში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა).

ბოლო 5 წლის განმავლობაში, იურიდიული დახმარების სამსახურმა 58,000-ზე მეტი საქმე მიიღო წარმოებაში. იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროების მიერ მიღებული საქმეების რაოდენობა ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილშია ასახული:

2008-2013 წლებში წარმოებაში მიღებული საქმეები




ბოლო 5 წლის განმავლობაში სისხლის სამართლის საქმეებზე არასრულწლოვანთათვის გაწეული იურიდიული დახმარების მაჩვენებლები



იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებს ყველაზე ხშირად საგამოძიებო სამსახურები, პროკურატურა და კერძო პირები მიმართავენ:

იურიდიული დახმარების ადვოკატის დანიშვნის შესახებ შუამდგომლობა



პრაქტიკული განხორციელება

პრაქტიკაში, მკვლევართა გუნდს მნიშვნელოვანი დაბრკოლებები არ აღმოუჩენია დაკავებულების ან ბრალდებულების იურიდიულ კონსულტაციაზე ან ადვოკატზე ხელმისაწვდომობის კუთხით.

საქმეების თითქმის 100%, იურიდიული კონსულტაცია პირისპირ შეხვედრებისა და პოლიციის დაწესებულებაში ან დროებითი მოთავსების იზოლატორებში (იმის მიხედვით, თუ სად იქნა პირი გადაყვანილი დაკავების შემდეგ) კონსულტაციებით ხორციელდება. როგორც ზემოთ ვახსენეთ, საქართველოში იურიდიული კონსულტაციის ტელეფონით ან ფაქსით მიღების პრაქტიკა არ არსებობს. პოლიციის დაწესებულებებში აქვთ სპეციალური ოთახები პირისპირ კონსულტაციებისათვის. ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ენახათ ეს ოთახები, სადაც ბრალდებულებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ კერძო და კონფიდენციალური დახმარება ადვოკატებისაგან.

დაკავების შემდეგ, პოლიცია, ჩვეულებრივ, რამოდენიმე საათს, დაახლოებით 2-3 საათს აძლევს ბრალდებულს ოჯახის წევრებთან ან ადვოკატთან დასაკავშირებლად. პოლიციის მიერ ოჯახის წევრების ან ადვოკატისთვის დაკავების შესახებ ინფორმაციის მიწოდების თანმიმდევრულობა განსხვავებულია. ზოგიერთ შემთხვევებში, პოლიციის თანამშრომელი ბრალდებულს უფლებას აძლევს, ოჯახის წევრს მისი საკუთარი ტელეფონით (მხოლოდ მას შემდეგ, რაც გადაამოწმებს, რომ პირი, რომელსაც ბრალდებული ურეკავს, ნამდვილად მისი ოჯახის წევრია) დაუკავშირდეს, ანდა პოლიციის

თანამშრომელი თავად რეკავს ბრალდებულის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე და აცნობებს ოჯახს ან ადვოკატს დაკავების შესახებ და იწვევს მას ადვოკატის დასანიშნად.

ოჯახის ან ადვოკატის ინფორმირების შემდეგ, პოლიციას დაკავებული სპეციალურ ოთახში შეჰყავს, სადაც ადვოკატთან ურთიერთობის საშუალებას აძლევს.

ექსპერტების დაკვირვებით, იმ შემთხვევებში, როდესაც პირი უქონელია და არ აქვს ადვოკატისთვის თანხის გადახდის შესაძლებლობა, პოლიციის გამომძიებელი უკავშირდება იურიდიული დახმარების სამსახურის ადგილობრივ ფილიალს და თხოვს ფილიალის ხელმძღვანელობას, გააგზავნოს იურიდიული დახმარების ადვოკატი, რომელიც იქნება ბრალდებულის წარმომადგენელი. რამდენიმე გამოკითხვისას, პოლიციის თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ იყო შემთხვევები, როდესაც ბრალდებულები უარს აცხადებდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის კონკრეტული ადვოკატის მომსახურებაზე და სამსახურს ადვოკატის შეცვლა მოუხდა (მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს საერთაშორისო სტანდარტი ან შიდა სამართლებრივი კანონი, რომელიც ბრალდებულს იურიდიული დახმარების სამსახურში კონკრეტული ადვოკატის არჩევის უფლებას ანიჭებს).

თუმცა, ექსპერტების დაკვირვებით, ადვოკატის დაუყოვნებელი ხელმისაწვდომობის უფლებით ყველა დაკავებული არ სარგებლობს.

ადვოკატთა დიდი ნაწილის (85%) დაკვირვებით, საქმეების უმეტესობაში (საშუალოდ, საქმეების 75-80%) საქართველოში: 1. ბრალდებულებს ურჩევიათ ადვოკატი სასამართლოში პირველი წარდგენისას დაეხმაროს, ვიდრე პირველი დაკითხვისას; 2. ბრალდებულები უარს ამბობენ პირველი დაკითხვის დროს ადვოკატის დახმარებაზე (ეს ეხება როგორც ბრალდებულებს, ასევე მოწმეებს). ემპირიული კვლევები და ადვოკატების გამოკითხვები მოწმობს, რომ დაკავებულთა დიდი უმეტესობა (85%) უარს ამბობს ადვოკატის დახმარებაზე შემდეგი მიზეზებით:

- ა. არ იციან სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატის როლი და მისი მნიშვნელობა. სამწუხაროდ, ზოგადად საზოგადოების ცნობიერება სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატის როლთან მიმართებაში ძალიან დაბალია. მათი უმეტესობა, ვინც უარს ამბობს ადვოკატის მომსახურებაზე, მიიჩნევს, რომ ადვოკატის მონაწილეობა მხოლოდ სასამართლოში წინასასამართლო პატიმრობის საკითხის განხილვისას არის ფასეული. ამ ფაქტით ეფექტურად სარგებლობს პოლიცია,

რათა დაკითხვა საკუთარი სურვილისამებრ ჩაატაროს და საჭირო ჩვენება მიიღოს ბრალდებულისაგან ან მოწმისაგან მიუხედავად იმისა, რომ ჩვენება შეიძლება დანაშაულში საკუთარი თავის მამხილებელი იყოს;

- ბ. არ გააჩნიათ ფინანსური რესურსები და ეშინიათ, რომ უფრო მეტ ფინანსურ ტვირთს დააკისრებენ ოჯახის ბიუჯეტს. ბრალდებულთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ ადვოკატის ხარჯი სისხლის სამართლის პროცესში მათთვის და მათი ოჯახისათვის ძალიან დიდი ფინანსური ტვირთია. შესაბამისად, ბრალდებულებს ურჩევიათ, რომ ადვოკატი მხოლოდ სასამართლო პროცესისთვის დაიქირავონ ან საპროცესო გარიგებისას, რომელშიც ადვოკატის მონაწილეობა აუცილებელია;
- გ. მოწყვლადობის, შიშისა და შფოთვის გამო. დაკავების პირველივე წუთებიდან პირი მოწყვლადია. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ პოლიციის მხრიდან სულ მცირე ზეწოლის პირობებშიც კი, დაკავებულები ფიქრობენ, რომ ადვოკატის ყოლაზე უარით ნაკლებად გააღიზიანებენ გამომძიებლებს და შედეგად მათ მდგომარეობა შეიძლება შემსუბუქდეს.

იურიდიული დახმარების შემთხვევაში, ადვოკატის ადრეულ ეტაპზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოში

საქართველოში, დამოუკიდებელი უწყება, იურიდიული დახმარების სამსახური ახორციელებს დახმარებას სისხლის სამართლის საქმეებზე. იურიდიული დახმარების გაწევა 2 მთავარი კრიტერიუმის არსებობის შემთხვევაში ხორციელდება: 1. პირი უნდა იყოს უქონელი და 2. სამართლიანობის პრინციპი მოითხოვს პროცესში ადვოკატის მონაწილეობას. როგორც წესი, ადვოკატის ხელმისაწვდომობა პრობლემას არ წარმოადგენს, თუკი დაკავებული აკმაყოფილებს იურიდიული დახმარების მისაღებად საჭირო კრიტერიუმებს. იურიდიული დახმარების ადვოკატის საქმეში ჩართვისა და დანიშვნის წესები იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლში და იურიდიული დახმარების სამსახურის წესდებაშია აღწერილი.

მიუხედავად ამისა, ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ პრაქტიკაში ეს სამართლებრივი მოწყობა ვერ უზრუნველყოფს იურიდიული დახმარების დროულად გაწევას, განსაკუთრებით დაკავებიდან პირველი რამოდენიმე საათის განმავლობაში. ძირითად პრობლემას წარმოადგენს დაკავებულის დროული და დაუყოვნებელი კავშირი

ადვოკატთან ან თუნდაც კონსულტაცია იურიდიული დახმარების სამსახურის წამომადგენელთან დაკავების შემდეგ და პირველ დაკითხვამდე ან სამართალდამცავთან ნებისმიერ ქმედებამდე.

იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი და იურიდიული დახმარების სამსახურის წესდება (მუხლი 21, პარაგრაფი 4) განსაზღვრავს მაქსიმუმ 2 დღიან ვადას⁷⁵ იურიდიული დახმარების ადვოკატის დასანიშნად, თუკი პირი ან მისი ახლობელი (წარმომადგენელი) ადვოკატის გამოყოფის თხოვნით მიმართავს იურიდიული დახმარების სამსახურს. იგივე ორ დღიანი ვადა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც ბრალდებულის უქონელობის გამო, ადვოკატის დანიშვნის მოთხოვნით იურიდიული დახმარების სამსახურს საგამოძიებო უწყება მიმართავს.

ამ წესებით, განსაკუთრებით კი 2 დღიანი ვადით სარგებლობა დაკავებულისათვის პირველი რამდენიმე საათის განმავლობაში თითქმის შეუძლებელია, ვინაიდან ადვოკატი შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ დაუნიშნონ, როცა პოლიცია გამოიძიებს და შეაგროვებს მტკიცებულებებს (კანონიერად თუ არაკანონიერად) დაკავებულის წინააღმდეგ. ეს წესები თითქმის გამორიცხავს ბრალდებულის შესაძლებლობას, დაკავებიდან პირველი რამდენიმე საათის განმავლობაში, დაკითხვამდე ან პოლიციის მიერ სხვა ზომების მიღებამდე მიუწვდებოდეს ხელი ადვოკატზე. თითქმის ყველა შემთხვევაში, იურიდიული დახმარების ადვოკატის საქმეში ჩართვა მხოლოდ ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის წინ ხდება.

სისხლის სამართლის პროცესის პირველი ეტაპები ყველაზე მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის სისტემის ეფექტიანობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით. სწორედ ამ პერიოდში შეგროვებული მტკიცებულებების რაოდენობა და ხარისხი განსაზღვრავს მოგვიანებით სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობას. ამ პერიოდში მიიღება გადაწყვეტილებები წინასწარი პატიმრობის შესახებ და ამას მოგვიანებით საკმაოდ ფართო ზეგავლენა აქვს არა მხოლოდ ბრალდებულზე და მის ოჯახზე, არამედ იმ რესურსებზეც, რაც ბრალდებულის პატიმრობის დაწესებულებაში ყოფნისას მის შესანახადაა საჭირო.

იურიდიული კონსულტაციისა და დახმარების სწრაფი ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით პირის დაკავების მომენტში, სამართლიანი სასამართლოს და კანონის უზენაესობის დაცვის მთავარი გარანტიაა. იურიდიული დახმარების პროვაიდერთა ადრეულ ეტაპზე ჩართვა უზრუნველყოფს ამ უფლებების დაცვას, აუმჯობესებს

⁷⁵ მუხლი 21, საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ;

სისხლის სამართლის სისტემის ეფექტიანობას და სამართლიანობას და წამებისა და არასწორი მოპყრობის სხვა ფორმებისაგან დაცვის მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს. ასევე, შესაძლებელია ხარჯების შემცირება როგორც მთლიანად სისტემის, ასევე უშუალოდ დაკავებული პირისა და მისი ოჯახისათვის. მაგალითად, ქრთამის სახით მოთხოვნილი ხარჯის თვალსაზრისით, პატიმრობის გამო შემოსავლის დაკარგვის გამო.

უფასო იურიდიული დახმარება, რომელსაც, ასევე, შეიძლება დაემატოს სხვა იურიდიული დახმარების პროვაიდერები, უმთავრესია იურიდიული კონსულტაციისა და დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში და მოწყვლადი პირების მხარდაჭერისათვის. იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის გარეშე, განსაკუთრებით დაკავების პირველ საათებში, ადამიანები მოწყვლადი ხდებიან არასწორი მოპყრობის ან ზეწოლის და უკანონო ქმედებების მიმართ. იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობა აძლიერებს მოწყვლად პირებს, საშუალებას აძლევს მათ, გაამყარონ საკუთარი პოზიციები და მოითხოვონ და ისარგებლონ საკუთარი უფლებებით. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაში ადამიანთა დახმარება, მათ შორის იურიდიული დახმარების მომსახურებების მიწოდების გზით, უმნიშვნელოვანესია სიღარიბის შემცირებისა და კონფლიქტის პრევენციისათვის.

საკანონმდებლო ხარვეზებით გამოწვეული პრობლემების გადაჭრის გზების ძიებისას, ექსპერებმა მათ მიერ გაკეთებული მიგნებები იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორთან ერთად განიხილეს 2015 წელს ორგანიზებული 2 შეხვედრის დროს. იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი აღიარებს ხარვეზების არსებობას, თუმცა, მისი განმარტებით, პრობლემის მოგვარება მნიშვნელოვან დამატებით ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს მოითხოვს, რაც, მისი აზრით, თითქმის შეუძლებელი იქნება უახლოეს მომავალში. ამჟამად იურიდიული დახმარების სამსახურში 100-ზე მეტი ადვოკატი მუშაობს. დირექტორის განმარტებით, არსებული ადვოკატთა მორიგეობის სია და ყველა დაკავებულისათვის (მიუხედავად იმ ფაქტისა, აკმაყოფილებენ თუ არა ისინი უფასო იურიდიული დახმარების მისაღებად საჭირო კრიტერიუმებს) იურიდიული დახმარების მუდმივი ხელმისაწვდომობა, მისი სამსახურის თანამშრომლებისა და ოფისების სულ მცირე გასამმაგებას მოითხოვს. საწყის ეტაპზე, დაკავების პირველივე საათებში ყველა იმ პირისთვის, ვინც საჭიროებს იურიდიულ დახმარებას, ადვოკატის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად იყო მოსაზრება იურიდიული კონსულტაციის ტელეფონით გაწევა მათთვის, ვისაც არ შეუძლია კერძო ადვოკატის დაქირავება. ამ მიზნით, იურიდიული დახმარების სამსახური მზადაა, დაფაროს სატელეფონო კონსულტაციის ხარჯები. მსგავსი მომსახურებასახელმწიფოსგან მნიშვნელოვანი რესურსების

გამოყოფას არ მოითხოვს - იურიდიული დახმარების სამსახურს შეუძლია სატელეფონო კონსულტაცია არსებული ადამიანური და ფინანსური რესურსების გამოყენებით მიაწოდოს. სახელმწიფოს მიერ დამატებითი ადამიანური და ფინანსური რესურსების გამოყოფამდე, ეს მეთოდი შეიძლება გამოყენებული იქნას გარდამავალი სისტემის სახით და ნაწილობრივ მოაგვაროს დაკავებულთათვის იურიდიული კონსულტაციისა და ადვოკატის ხელმისაწვდომობის პრობლემა.

ინფორმაციის მიღების უფლება ევროპული სტანდარტები

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5(2) მუხლი განსაზღვრავს, რომ დაკავებულ პირს დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ მისი დაკავების მიზეზები. ამ უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ 5.2 მუხლის ინტერპრეტაცია დამოუკიდებლად უნდა მოხდეს, კონკრეტულად კი მე-5 მუხლის მიზნისა და ამოცანის შესაბამისად, რაც ყველა ადამიანის თვითნებური თავისუფლების აღკვეთისგან დაცვას გულისხმობს. სასამართლომ პირდაპირ განაცხადა, რომ ტერმინი “დაკავება” სცილდება სისხლის სამართლის ზომების ფარგლებს და ტერმინები “ნებისმიერი ბრალდება” არ მიუთითებს გამოყენებადობის მდგომარეობაზე, არამედ შესაძლებლობაზე, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს. მუხლი 5.4 არ ანსხვავებს თავისუფლება აღკვეთილ პირებს იმის მიხედვით, დაკავებული არიან ისინი თუ დაპატიმრებული. შესაბამისად, ამ უკანასკნელთა 5.2 მუხლის⁷⁶ ფარგლებიდან გამორიცხვის საფუძველი არ არსებობს, რადგან ეს გარანტია ვრცელდება ექსტრადიციის⁷⁷ და მკურნალობის⁷⁸ მიზნით დაკავებაზე და ასევე ვრცელდება პირობითი გათავისუფლების შემდეგ პატიმრობის დაწესებულებაში მოთავსებულ პირებზე.

მუხლი 5.2 ასევე მოიცავს იმ ელემენტარული დაცვის მექანიზმს, რომელიც ყველა პირს უნდა გააჩნდეს დაკავებისას. ეს არის თავისუფლების აღკვეთის მიზეზის ცოდნა, რომელიც მე-5 მუხლში წარმოდგენილი დაცვის მექანიზმის განუყოფელი ნაწილია. თუკი პირი ინფორმირებულია მისი დაკავების ან დაპატიმრების მიზეზების შესახებ, თუკი საჭიროდ ჩათვლის, მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს, რათა გაარკვიოს მისი დაკავების კანონიერება 5.4 მუხლის⁷⁹ შესაბამისად. პირი, რომელსაც უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს საკუთარი პატიმრობის კანონიერების საკითხის სწრაფად გადასაწყვეტად, ვერ ისარგებლებს ამ უფლებით, თუკი მას სწრაფად და ადეკვატურად არ აცნობებენ თავისუფლების აღკვეთის მიზეზებს⁸⁰.

76. Van der Leer v. the Netherlands, §§ 27-28.

77. Shamayev and Others v. Georgia and Russia, §§ 414-15.

78. Van der Leer v. the Netherlands, §§ 27-28; X. v. the United Kingdom, § 66

79. Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom, § 40; Conka v. Belgium, § 50.

80. Van der Leer v. the Netherlands, § 28; Shamayev and Others v. Georgia and Russia, § 413.

5.2 მუხლიდან ნათლად ჩანს, რომ აუცილებელია დაკავებულს ან მის წარმომადგენელს მიეწოდოს კონკრეტული ინფორმაცია⁸¹. თუკი პირს არ შეუძლია მიწოდებული ინფორმაციის გაგება, შესაბამისი დეტალები უნდა ეცნობოს იმ პირებს, რომლებიც წარმომადგენენ მის ინტერესებს - მაგალითად, ადვოკატს ან მეურვეს⁸².

ინფორმაციის მიწოდების სისწრაფე თითოეულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს მისი კონკრეტული მახასიათებლების მიხედვით. თუმცა მიზეზები დამკავებელი მოხელის მიერ მთლიანობაში უნდა იქნას განმარტებული დაკავების პირველივე მომენტიდან⁸³. დროში შეზღუდულობა, რომელიც სისწრაფის ცნებიდან გამომდინარეობს, იმ შემთხვევაში იქნება დაკმაყოფილებული, თუკი პირს მისი დაკავების მიზეზებს დაკავებიდან პირველი რამდენიმე საათის განმავლობაში აცნობებენ⁸⁴.

მიზეზები პატიმრობის ნებართვის გადაწყვეტილების ტექსტში არ უნდა იყოს განმარტებული და არ არის აუცილებელი, წერილობით ან რაიმე სპეციალურ ფორმაში იყოს აღნიშნული⁸⁵. თუმცა, თუკი ინტელექტუალური ნაკლის მქონე პირის მდგომარეობა სათანადოდ არ არის გათვალისწინებული ამ პროცესში, შეუძლებელი იქნება იმის თქმა, რომ მას მიეწოდა ინფორმაცია, რომელიც საშუალება მისცემდა ეფექტურად და სათანადოდ ესარგებლა 5.4 მუხლით გარანტირებული უფლებით და ეჭვქვეშ დაეყენებინა მისი დაკავება, თუკი მისი ადვოკატი ან სხვა უფლებამოსილი პირი არ იყო ინფორმირებული მის ნაცვლად⁸⁶. დაკავების მიზეზები შეიძლება მოცემული იყოს ან ნათელი გახდეს დაკავების შემდგომი დაკითხვის ან გამოკითხვის პროცესში⁸⁷. დაკავებულმა შეიძლება არ გაასაჩივროს ის, რომ არ იცოდა მისი დაკავების მიზეზი, თუკი პირი სისხლის სამართლის და განზრახი დანაშაულის ჩადენისთანავე დააკავეს⁸⁸ ან თუკი მისთვის ცნობილი იყო სავარაუდო სამართალდარღვევის დეტალები წინა დაკავების განჩინებებისა და ექსტრადიციის მოთხოვნების მეშვეობით⁸⁹.

იყო თუ არა დაკავებულისთვის მიწოდებული ინფორმაცია საკმარისი, ეს თითოეული შემთხვევის კონკრეტული გარემოებების შესწავლის შედეგად უნდა შეფასდეს⁹⁰. თუმცა, დაკავების სამართლებრივი საფუძვლის უბრალოდ მითითება, როგორც ასეთი, არ არის საკმარისი

81. Saadi v. the United Kingdom, § 53.

82. X. v. the United Kingdom, Commission Report, § 106; Z.H. v. Hungary, §§ 42-43.

83. Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom, § 40; Murray v. the United Kingdom [GC], § 72.

84. Kerr v. the United Kingdom (dec.); Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom, § 42.

85. X. v. Germany, Commission decision of 13 December 1978; Kane v. Cyprus (dec.).

86. Z.H. v. Hungary, § 41.

87. Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom, § 41; Murray v. the United Kingdom [GC], § 77; Kerr v. the United Kingdom (dec.).

88. Dikme v. Turkey, § 54.

89. Öcalan v. Turkey (dec.).

90. Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom, § 40.

5.2 მუხლის⁹¹ მიზნებისათვის. დაკავებულს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მარტივი, არატექნიკური ენით, რათა მისთვის გასაგები იყოს დაკავების მთავარი სამართლებრივი და რეალური საფუძველი და თუ საჭიროდ ჩათვლის, მიმართოს სასამართლოს, რათა გაასაჩივროს დაკავების კანონიერება 5.4⁹² მუხლის შესაბამისად. თუმცა, 5.2 მუხლი არ მოითხოვს, რომ ინფორმაცია მოიცავდეს დაკავებულისათვის წაყენებული ყველა ბრალის მთლიან ჩამონათვალს⁹³. თუკი პირი ექსტრადიციის მიზნით არის დაკავებული, მისთვის მიწოდებული ინფორმაცია შეიძლება კიდევ უფრო არასრულყოფილი⁹⁴ იყოს, ვინაიდან ამ მიზნით დაკავება არ მოითხოვს ბრალეულობის არსებითი შინაარსის შეფასებას⁹⁵. თუმცა, ამ პირებსაც უნდა მიეწოდოთ საკმარისი ინფორმაცია, რათა შეძლონ მიმართონ სასამართლოს კანონიერების საკითხის განხილვის მოთხოვნით 5.4⁹⁶ მუხლის თანახმად მისთვის გასაგებ ენაზე. თუკი დაკავების განჩინება დაკავებულისათვის უცნობ ენაზეა დაწერილი, 5.2 მუხლი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება დაკმაყოფილებული, თუკი პირს სათანადო წესით ჩაუტარდება დაკითხვა და ეცნობება მისი დაკავების მიზეზების შესახებ მისთვის გასაგებ ენაზე⁹⁷. იმ შემთხვევაში, თუკი ამ მიზნით გამოიყენება თარჯიმნის მომსახურება, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს თარჯიმნის მოთხოვნის სიზუსტე⁹⁸.

ინფორმაციის მიღების უფლება საქართველოში

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პირდაპირ ავალდებულებს ხელისუფლებას, მიაწოდოს ბრალდებულს ინფორმაცია მისი საპროცესო უფლებების შესახებ დაკავების შემთხვევაში. დაკავების საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, დამკავებელმა მოხელემ გასაგები ფორმით უნდა აცნობოს დაკავებულს მათ შესახებ. უფრო კონკრეტულად კი, მან უნდა აუხსნას ბრალდებულს, თუ რომელი დანაშაულის ჩადენაში არის ეჭვმიტანილი, რომ აქვს ადვოკატის ყოლის, დუმილის და კითხვებზე პასუხისაგან თავის შეკავების უფლება, უფლება არ დაიბრალოს დანაშაული, რომ ყველაფერი, რასაც იტყვის, შეიძლება მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული. ამ უფლებების განმარტებამდე, დაკავებულის მიერ გაკეთებული ნებისმიერი განცხადება ჩაითვლება დაუშვებელ მტკიცებულებად.

91. Murray v. the United Kingdom [GC], § 76; Kortesis v. Greece, §§ 61-62.

92. Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom, § 40; Murray v. the United Kingdom [GC], § 72.

93. Bordovskiy v. Russia, § 56; Nowak v. Ukraine, § 63; Gasinš v. Latvia, § 53.

94. Suso Musa v. Malta, §§ 113 and 116; Kaboulov v. Ukraine, § 144; Bordovskiy v. Russia, § 56.

95. Bejaoui v. Greece, Commission decision.

96. Shamayev and Others v. Georgia and Russia, § 427.

97. Delcourt v. Belgium, Commission decision.

98. Shamayev and Others v. Georgia and Russia, § 425.

ექსპერტებმა და ადვოკატებმა დაასკვნეს, რომ რეალურად სამართალდამცავები დაკავებულებს ინფორმაციას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში აწვდიდნენ. ადვოკატები აცხადებენ, რომ სამართალდამცავები მხოლოდ სიტყვიერად აწვდიან ბრალდებულებს ინფორმაციას მათი უფლებების შესახებ. ისიც განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საქმეებზე. ზოგადად, სამართალდამცავები ცდილობენ, ისარგებლონ პირის დაკავებით, რათა მისგან მაქსიმალურად სწრაფად მოიპოვონ მეტი ინფორმაცია, მტკიცებულება ან ჩვენება.

ექსპერტებმა ნახეს, რომ პოლიციის მოხელე დაკავების ოქმს მხოლოდ დაკავებულის პოლიციის განყოფილებაში გადაყვანის შემდეგ ადგენს და შემდეგ ხელს აწერიან დაკავებულს. დაკავებულის უფლებები (მირანდას უფლებები) ოქმის ერთერთ გვერდზეა ასახული და დაკავებულს შეუძლია გაეცნოს მას. ამ დროს გამომძიებლები სიტყვიერად აწვდიან ინფორმაციას დაკავებულს მისი უფლებების შესახებ. უმეტეს შემთხვევებში, სწორედ ამ დროს იღებს დაკავებული პირველად ინფორმაციას საკუთარი უფლებების შესახებ.

ექსპერტების მიერ გაკეთებული დასკვნების საპირისპიროდ, ადვოკატები აცხადებენ, რომ, უმეტეს შემთხვევებში, დაკავებულს მხოლოდ დაკავების ოქმს აძლევენ ან მხოლოდ იმ ფურცლის ასლს, რომელზეც უფლებებია განმარტებული და ამ უფლებების სიტყვიერად ახსნა არ ხდება. უფრო მეტიც - მაშინაც კი, როდესაც ბრალდებულს დაკავების ოქმს და უფლებების ჩამონათვალს აძლევენ, სამართალდამცავები ვალდებული არიან გადაამოწმონ, გაიგო თუ არა დაკავებულმა საკუთარი უფლებები. ამის მიუხედავად, ადვოკატების თქმით, არც დაკავების ოქმში და არც ბრალდებულად ცნობის ტექსტში ხარვეზი არ არის⁹⁹. ასევე, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ უმეტეს შემთხვევაში პოლიცია დაკავების ოქმის შედგენას პოლიციის დაწესებულებაში ახდენს. მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა პოლიციას საშუალება, ოქმი ადგილზე შეედგინა, მას ურჩევნია მისი განყოფილებაში შესრულება. შესაბამისად, დროში იწელება დაკავებულისთვის საკუთარი უფლებების გაცნობის პროცესი. ადვოკატთა უმეტესობა აცხადებს, რომ პოლიცია დაკავებულს დაწესებულებაში დაკითხვის დაწყებისას უხსნის მის უფლებებს. სწორედ ამ დროს გადასცემს პოლიცია დაკავებულს დაკავების ოქმს და განუმარტავს მის უფლებებს. ხშირად, ამ შემთხვევებში გამომძიებლებს დაკავებული შეცდომაში შეჰყავთ და მას მოწმის სახით კითხავენ (ეს საკითხი დაწვრილებით ქვემოთაა განხილული). დაკავებული კი ალელვებისა და საკუთარი უფლებების არ ცოდნის გამო, მიუხედავად იმისა, რომ მას წერილობითი ფორმით აწვდიან

99. მუხლი 174, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;

საკუთარი უფლებების განმარტებას, ხშირად თავს იკავებს ადვოკატის ყოლის უფლების გამოყენებისაგან.

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ბრალდებულს და მის ადვოკატს უფლებას აძლევს, გაეცნონ ბრალდებულის მხარის მტკიცებულებებს და მიიღონ მტკიცებულებებისა და სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები¹⁰⁰. ამასთან, დაცვის მხარეს უფლება აქვს სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე გაეცნოს ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ ნებისმიერ მტკიცებულებას. ბრალდების მხარე, თავის მხრივ, ვალდებულია გადასცეს დაცვის მხარეს მის ხელთ არსებული ნებისმიერი მამხილებელი მტკიცებულება. როგორც კი ერთი მხარე დააყენებს შუამდგომლობას ინფორმაციის მოთხოვნაზე, მეორე მხარის მიერ ყველა შესაბამისი მასალის დაუყოვნებლივ არწარმოდგენა გამოიწვევს ამ მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას.

ერთადერთი გამონაკლისი ამ წესიდან არის ინფორმაცია ან მტკიცებულება, რომელიც ბრალდების მხარემ სპეციალური ოპერატიული საგამოძიებო მოქმედებების მეშვეობით მოიპოვა. სასამართლომ ბრალდების მხარის შუამდგომლობით შეიძლება შეუზღუდოს დაცვის მხარეს ამ ინფორმაციის მოთხოვნის უფლება. ეს შეზღუდვა მხოლოდ ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციაზე ვრცელდება და მხოლოდ წინასასამართლო მოსმენამდე.

წინასასამართლო მოსმენამდე 5 დღით ადრე, მხარეები ვალდებული არიან გადასცენ ერთმანეთს და სასამართლოს მათ ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია და მტკიცებულება. სასამართლოში ბრალდებულის პირველ წარდგენამდე, ბრალდების მხარე ვალდებულია, საშუალება მისცეს ბრალდებულს, გაეცნოს ინფორმაციას და მტკიცებულებებს, რომლის გამოყენებასაც გეგმავს ბრალდების მხარე სასამართლოში და ასევე გადასცეს დაცვის მხარეს მის ხელთ არსებული ყველა წერილობითი მტკიცებულების ასლი.

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ დაკავებულის პოლიციის დაწესებულებაში მიყვანის შემდეგ, გამოძიებელი მას საინდენტიფიკაციო ინფორმაციას ან საბუთებს არ სთხოვს, არამედ ეყრდნობა კომპიუტერულსისტემაშიარსებულ ინფორმაციას, რომელიც დაკავების ოქმიდანაა ამოღებული. დაკითხვის დაწყებამდე, გამოძიებელი განუმარტავს ბრალდებულს მის უფლებებს და ეკითხება, სურს თუ არა რომელიმე მათგანით სარგებლობა. შემდეგ გამოძიებელი იწყებს ბრალდებულის დაკითხვას. ზოგიერთ შემთხვევაში, დაკითხვის შინაარსის ჩაწერა ოქმში სიტყვასიტყვით არ ხდება. როგორც

100. მუხლი 38, პარ. 13. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;

წესი, გამომძიებლები ცდილობენ შეასწორონ დაკავებულის მიერ დაშვებული გრამატიკული შედომები და “დაალაგონ” ტექსტი. დაკავებულს და ადვოკატს უფლება აქვთ, მოითხოვონ მცირე შესვენება და გაიარონ ერთმანეთთან კონსულტაცია. დაკითხვის შემდეგ, ჩვენებას ამოებჭდავენ და გადასცემენ დაკავებულს გასაცნობად. თუკი დაკავებული ტექსტში რაიმეს არ ეთანხმება, კეთდება შესაბამისი ცვლილება და ტექსტის საბოლოო ვერსიას ხელს აწერენ დაკავებული (ადვოკატიც, თუ იქ არის) და გამომძიებელი. დაკითხვას მხოლოდ დაკავებულის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პოლიციის თანამშრომელი და გამომძიებელი ესწრება.

ადვოკატების განმარტებით, უმეტეს შემთხვევაში, მათ კლიენტთან დაკავშირებაში ან კლიენტის საქმის მასალების ხელმისაწვდომობაში პრობლემებს არ უქმნიან. თუმცა, 2014 წელს ერთ გახმაურებულ საქმეზე, რომელშიც თავდაცვის სამინისტროს რამოდენიმე თანამშრომელი მონაწილეობდა¹⁰¹, პროკურატურა დიდი ხნის განმავლობაში უარს ეუბნებოდა ადვოკატებს საქმის მასალების გადაცემაზე იმ მოტივით, რომ საქმის მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი საიდუმლო ინფორმაციას შეიცავდა. მოგვიანებით, პროკურატურამ ადვოკატები დაიბარა და მხოლოდ პროკურატურის შენობაში მისცა საქმის მასალების გაცნობის უფლება. ადვოკატებმა, თავის მხრივ, უარი განაცხადეს ამ შემოთავაზებაზე იმ მოტივით, რომ ამგვარად ვერ შეძლებდნენ ეფექტური დაცვის პოზიციის ჩამოყალიბებას. მოგვიანებით, საქმის მასალების დიდ ნაწილს საიდუმლო სტატუსი მოეხსნა და ადვოკატებს მათი გაცნობის საშუალება მიეცათ.

პოლიციის მიერ პირის დაკითხვა და დუმილის უფლება დაკითხვისა და დანაშაულის არ დაბრალების ევროპული სტანდარტები

ევროპის სასამართლომ უკვე კარგად დამკვიდრებულ პრეცედენტულ სამართალში არაერთხელ განაცხადა, რომ დუმილის უფლება და უფლება, არ დაიბრალო დანაშაული, საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტებია, რომლებიც მე-6 მუხლით განსაზღვრული სამართლიანი პროცესის ცნების საფუძველს წარმოადგენენ. მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ დაიცვას ბრალდებული სამართალდამცავების მხრიდან არასწორი იძულების-აგან/ზეწოლისაგან და ამგვარად თავიდან იქნას აცილებული მართლ-მსაჯულების ხარვეზები და შესრულდეს მე-6 მუხლის მიზნები¹⁰². უფლება, არ დაიბრალო დანაშაული გულისხმობს, რომ სისხლის სამართლის საქმეში ბრალდება ცდილობს დაამტკიცოს საკუთარი პოზიცია ბრალდებულის წინააღმდეგ იძულების ან ზეწოლის გზით

101. ე.წ. “კაბელების საქმე”

102. ბიკოვი რუსეთის წინააღმდეგ [GC], no. 4378/02, § 92, ECHR 2009.

ან ბრალდებულის სურვილის საწინააღმდეგოდ მოპოვებული მტკიცებულებების გარეშე¹⁰³.

ამ თვალსაზრისით, ეს უფლება მჭიდროდ არის დაკავშირებული უდანაშაულობის პრეზუმციასთან, რომელიც კონვენციის 6.2 მუხლშია ასახული. როდესაც ვარკვევთ, პროცესი გამოირიცხავს თუ არა დანაშაულის დაბრალებას, ევროპული სასამართლო ამოწმებს იძულების ხასიათსა და ხარისხს, პროცესში არსებულ რაიმე სახის დაცვის მექანიზმებს და გამოყენებულია თუ არა ამ გზით მოპოვებული მასალა¹⁰⁴.

მე-6 მუხლში მოცემული სამართლიანობის ზოგადი მოთხოვნები ყველა სისხლის სამართლის პროცესზე ვრცელდება განურჩევლად სამართალდარღვევის სახეობისა. საზოგადოებრივი ინტერესით არ შეიძლება გავამართლოთ ისეთი ღონისძიებები, რომლებიც უგულვებელჰყოფს განმცხადებლის დაცვის უფლებებს. მათ შორის, დანაშაულის არ დაბრალების უფლებას, რომელიც გარანტირებულია კონვენციის მე-6 მუხლით¹⁰⁵.

საქმეში ზაიჩენკო რუსეთის წინააღმდეგ¹⁰⁶ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა, როცა განაცხადა, რომ მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანობის ცნების გათვალისწინებით, ბრალის არ დაბრალების უფლება არ შეიძლება გონივრულად შეიზღუდოს მხოლოდ შეცდომის აღიარებით ან განცხადებებით, რომლებიც პირდაპირ ბრალის დაბრალებას ნიშნავს. იძულებით მოპოვებული ჩვენება, რომელიც შეიძლება ერთი შეხედვით დანაშაულის დაბრალების ხასიათს არ ატარებდეს - როგორცაა გამამართლებელი შენიშვნები ან უბრალოდ ინფორმაცია ფაქტების შესახებ - შეიძლება მოგვიანებით გამოყენებული იქნას სისხლის სამართლის პროცესში ბრალდების პოზიციის გასამტკიცებლად. მაგალითად, ბრალდებულის სხვა ჩვენებების ეჭვქვეშ დასაყენებლად ან დასაპირისპირებლად ანდა ბრალდებულის მიერ სასამართლოზე წარმოდგენილი მტკიცებულებების საწინააღმდეგოდ ან მისი სანდოობის სხვაგვარად შესასუსტებლად.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ამ უფლებაზე უარის თქმა - რამდენადაც ეს შესაძლებელია - არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ინტერესს, ნათლად უნდა იყოს გაცხადებული და უნდა არსებობდეს მინიმალური დაცვის მექანიზმები უარის მნიშვნელობის გათვალისწინებით¹⁰⁷. უფრო მეტიც, ვიდრე ბრალ-

103. ჯი ბი შვეიცარიის წინააღმდეგ, no. 31827/96, § 64, ECHR 2001.

104. იქვე

105. Bykov v. Russia cited above, § 93.

106. Zaichenko v. Russia Application no. 39660/02 par 54.

107. Sejdic v. Italy [GC], no. 56581/00, § 86, ECHR 2006.

დებულები მისი ქცევით უარს იტყვის მე-6 მუხლით გაცხადებული ამ მნიშვნელოვანი უფლების გამოყენებაზე, ნათლად უნდა ჩანდეს, რომ მას შეეძლო გონივრულად გაეანალიზებინა მისი ქცევის შედეგები¹⁰⁸.

პირის დაკითხვა და დუმილის უფლების გამოყენება საქართველოში

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი რამდენიმე დებულებით უზრუნველყოფს ბრალდებულის დუმილის უფლებას. ბრალდებულს ნებისმიერ დროს შეუძლია გამოიყენოს დუმილის უფლება. თუ ბრალდებული ირჩევს დუმილის უფლებას, ეს არ უნდა შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად¹⁰⁹.

დაკავებულს უნდა ეცნობოს, რომ მას აქვს დუმილის უფლება; უფლება, თავი შეიკავოს კითხვებზე პასუხის გაცემისაგან; უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული და რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული¹¹⁰. დაუშვებელი მტკიცებულებაა ის განცხადება, რომელიც ბრალდებულმა მისი უფლებების განმარტებამდე გააკეთა¹¹¹. ამ უფლებების დაუცველობა გამოიწვევს ბრალდებულის გათავისუფლებას და წარმოადგენს ბრალდებულის მიერ არასწორი საპროცესო საქმიანობის განხორციელებისათვის კომპენსაციის მოთხოვნის საფუძველს.

მოწმეს არ აქვს დუმილის უფლება იმის მიუხედავად, რომ 2010 წელს შეტანილი ცვლილება გამომძიებელს უფლებას აძლევს, დაკითხოს მოწმე მხოლოდ მისი თანხმობით და მხოლოდ სასამართლო პროცესზე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 2010 წლის რედაქციის გარდამავალი დებულებების თანახმად, ხსენებული ცვლილებები ძალაში მხოლოდ 2016 წლის იანვარში შევა და მანამდე ძალაშია 1998 წლის რედაქციით განსაზღვრული წესები. საქართველოს პარლამენტმა ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღი რამდენიმეჯერ შეცვლა იმ მოტივით, რომ სამართალდამცავი უწყებები მზად არ არიან ამ ცვლილებისთვის და არ გაუვლიათ სათანადო ტრენინგი, რათა შეძლონ გამოძიების ჩატარება მოწმეების გამოძახებისა და მათი ჩვენებების მხოლოდ წინასასამართლო სხდომაზე მიღების გზით. 1998 წლის წესების თანახმად, მოწმეს კანონი ავალდებულებს, ჩვენება მისცეს ბრალდების მხარეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება. მოწმეს უფლება აქვს, უარი თქვას ჩვენების მიცემაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მისი ჩვენება არახელსაყრელია მისი ან მისი ოჯახის წევრებისათვის.

108. Talat Tunç v. Turkey, no. 32432/96, § 59, 27 March 2007; Jones v. the United Kingdom (dec.), no. 30900/02, 2003 წლის 9 სექტემბერი;

109. მუხლი 38, პარ. 4, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;

110. მუხლი 39, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;

111. მუხლი 174, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;

ექსპერტების დასკვნით, პრაქტიკაში გამომძიებლები პოლიციის დაწესებულებაში დაკითხვებს კომპიუტერული საქმის წარმოების სისტემის დახმარებით ატარებენ. ბრალდებულის ან მოწმის მიერ გაკეთებული ყველა განცხადება გამომძიებელს საქმის წარმოების სისტემაში შეყავს, რომელიც ავტომატურად ამზადებს ოქმს. დაკითხვის დროს, ბრალდებულს ან მოწმეს სთხოვენ, გამომძიებელს მოუყვეს ყველაფერი, რაც მისთვის ცნობილია კონკრეტული ფაქტების ან დანაშაულის შესახებ. ბრალდებული ან მოწმე საკუთარი სურვილით აწვდის ინფორმაციას გამომძიებელს, ის კი თავის მხრივ ინფორმაციას სისტემაში ასახავს. დაკითხვისას, გამომძიებელი სვავს კითხვებს იმ საკითხების შესახებ, რომლის დაკონკრეტებაც ან დამატებითი ინფორმაციის მიღებაც სურს. ბრალდებულს ან მოწმეს უფლება აქვს, გაეცნოს გამომძიებლის მიერ სისტემაში შეტანილ ინფორმაციას. თუკი ბრალდებულს ან მოწმეს საწინააღმდეგო არაფერი აქვს, გამომძიებელი ადასტურებს ინფორმაციას და კომპიუტერული პროგრამა ამზადებს ოქმს, რომელზეც ხელს აწერს ბრალდებული ან მოწმე. საქმის წარმოების სისტემა საშუალებას აძლევს პოლიციას, დაუყოვნებლივ გაუზიაროს დაკავების ოქმები პროკურორს, რომელიც გეგმავს შემდგომ ქმედებებს.

პოლიციის დაწესებულებაში გამოკითხვებმა გვიჩვენა, რომ პოლიციამ შეიძლება მიაწოდოს დაკავებულს ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის წესების თანახმად. გამომძიებლები კი ხშირად სხვადასხვა ხერხით ცდილობენ დაკავებულს დაკითხვის დროს მოწმესავით მოეპყრონ და ამგვარად შეასუსტონ მისი დუმილისა და საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების არმიცემის უფლება. მკვლევარების დაკვირვებით, უმეტეს შემთხვევებში პოლიცია დაკავებულებს მოწმის სტატუსით კითხავდა მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ბრალის წასაყენებლად საკმარისი მტკიცებულება.

უფრო მეტიც, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც პირი აღიარებდა დანაშაულს და მტკიცებულება ამყარებდა მის განცხადებებს, პოლიცია კვლავ მოწმის სტატუსით კითხავდა მას. ამგვარად, გამომძიებლები ცდილობენ, დაკავებულს შეუქმნან სამართლებრივი ვალდებულების მოლოდინი და რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიიღონ მისგან, თუნდაც ეს ინფორმაცია პოტენციურად პირდაპირ ან ირიბად დანაშაულის დაბრალებას გულისხმობდეს. გარდა ამისა, გამომძიებლები პირისთვის საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას განსაკუთრებით უსვავენ ხაზს მოწმის სამართლებრივ ვალდებულებას სრულყოფილი და სწორი ინფორმაციის მიწოდების შესახებ და არა იმას, რომ მოწმეს უფლება აქვს, არ მიაწოდოს საკუთარი თავის მამხილებელი ინფორმაცია.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ პოლიციის დაწესებულებაში გადაყვანილი ადამიანების უმეტესობა უარს ამბობს დაკითხვის დროს ადვოკატის ყოლის უფლებაზე. ამ გადაწყვეტილებას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს - სამართლებრივი კულტურის არქონა, ადვოკატის როლის ანდა ადვოკატის ყოლის უფლების არცოდნა, არასწორი მენტალიტეტი და დამატებითი ფინანსური ხარჯის შიში. ამასთან, გამომძიებლები კიდევ უფრო აუარესებენ დაკავებულის რთულ მდგომარეობას იმით, რომ ხაზს უსვავენ მოწმის ვალდებულებას, მიაწოდოს მის ხელთ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია და თუ რა შედეგი დადგება ინფორმაციის დამალვის ან ყალბი ჩვენების მიცემის შემთხვევაში. ფაქტიურად, გამომძიებლები მიზანმიმართულად არ ახსენებენ მოწმეს, რომ უფლება აქვთ, არ მისცენ საკუთარი თავის მამხილებელი ჩვენება. ამ საკითხთან მიმართებაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამოკიდებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომელმაც საქმეში *ბაიჩენკო რუსეთის წინააღმდეგ*¹¹² განაცხადა: უფლება, არ დაიბრალო დანაშაული, გონივრულად ვერ იქნება შეზღუდული შეცდომის აღიარების განცხადებებით ან პირდაპირ საკუთარი თავის მამხილებელი კომენტარებით. იძულებით მოპოვებული ჩვენება, რომელიც, ერთი შეხედვით, არ გამოიყურება როგორც საკუთარი თავის მამხილებელი - როგორცაა ბრალის გამომრიცხავი/გამამართლებელი შენიშვნები ან ფაქტის შესახებ არსებული ინფორმაცია - შეიძლება მოგვიანებით გამოყენებული იქნას სისხლის სამართლის პროცესში ბრალდების მხარის მიერ საკუთარი პოზიციის გასამყარებლად მაგალითად, ბრალდებულის სხვა განცხადებების ან მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საწინააღმდეგოდ ან ეჭქვეშ დასაყენებლად ან მისი სანდოობის სხვაგვარად შესასუსტებლად.

სამედიცინო დახმარებით სარგებლობის უფლება ევროპული სტანდარტები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დაწესებული სტანდარტები სამედიცინო დახმარების შესახებ მნიშვნელოვან ვალდებულებას (თითქმის აბსოლუტურს) აკისრებს სამართალდამცავებს, უზრუნველყონ მათ მიერ დაკავებული პირის სამედიცინო დახმარება, თუკი დაკავებული საჭიროებს სამედიცინო დახმარებას ან მკურნალობას. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ევროპულმა სასამართლომ შეიძლება დაასკვნას, რომ ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას (წამების აკრძალვა). როგორც არაერთხელ იქნა ინტერპრეტირებული, კონვენციის მე-3 მუხლი პირდაპირ კრძალავს წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას, მიუხედავად არსებული გარემოებებისა და დაზარალებულის

112. Zaichenko v. Russia Application no. 39660/02 par 54.

ქცევისა¹¹³. არასათანადო მოპყრობა სიმკაცრის მინიმალურ დონეს უნდა აღწევდეს, მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლებში რომ მოხვდეს. ამ მინიმალური ზღვარის შეფასება კი შედარებითია: დამოკიდებულია საქმის გარემოებებზე, როგორცაა მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და ფსიქიკური შედეგები. ზოგიერთ შემთხვევაში სქესი, ასაკი და მსხვერპლის ჯანმრთელობის მდგომარეობა¹¹⁴. ევროპის სასამართლო აცხადებს, რომ სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს დაკავებული პირი ადამიანის ღირსების შესაბამისი პირობებით, რომ თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ფორმა და მეთოდები არ უნდა აყენებდეს მას მძიმე ან აუტანელ მდგომარეობაში და მისი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, მათ შორის შესაბამისი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა, სათანადოდ უნდა იყოს დაცული¹¹⁵. ავადმყოფი პირის პატიმრობასთან დაკავშირებული საქმეების უმრავლესობაში, სასამართლო ამოწმებდა, იღებდა თუ არა განმცხადებელი ადეკვატურ სამედიცინო დახმარებას ციხეში. ამასთან დაკავშირებით სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მე-3 მუხლი არ ითვალისწინებს დაკავებულის “სიბრაღის საფუძველზე” გათავისუფლებას, ის ყოველთვის გულისხმობდა დაკავებულის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, მათ შორის ავალდებულებდა სახელმწიფოს, უზრუნველყოფა დაკავებულები ადეკვატური სამედიცინო დახმარებით¹¹⁶.

სამედიცინო დახმარების “ადეკვატურობა” კვლავ ყველაზე რთულად დასადგენ ელემენტს წარმოადგენს. სასამართლო ამტკიცებს, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს გადაუდებელი და ზუსტი დიაგნოზი და დახმარება¹¹⁷ და, საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო მდგომარეობიდან გამომდინარე, რეგულარული და სისტემატიური ზედამხედველობის გაწევა, რომელიც მოიცავს სრულყოფილ თერაპიულ სტრატეგიას, რომელიც მიმართულია პატიმრის ჯანმრთელობის პრობლემების ადეკვატურ მკურნელობაზე ან მათი გაუარესების პრევენციაზე¹¹⁸. ECHR საკმარისად მოქნილია ჯანდაცვის საჭირო სტანდარტის განმარტებისას და განმარტავს მას თვითეული საქმიდან გამომდინარე. სტანდარტი უნდა “შესაბამებოდეს პატიმრის ადამიანურ ღირსებას”, მაგრამ, ასევე, უნდა ითვალისწინებდეს “პატიმრობის პრაქტიკულ მოთხოვნებს¹¹⁹”.

113. *Labita v. Italy* [GC], no 26772/95, § 119, ECHR 2000-IV;

114. *Verbinț v. Romania*, no. 7842/04, § 63, 2012 წლის 3 აპრილი;

115. *Kudła v. Poland* [GC], no. 30210/96, §§ 92-94, ECHR 2000-XI; *Popov v. Russia*, no. 26853/04, § 208, 2006 წლის 13 ივლისი;

116. *Kudła v. Poland* [GC], § 94; *Kalashnikov v. Russia*, no. 47095/99, § 95, ECHR 2002-VI; *Khudobin v. Russia*, no. 59696/00, § 96, ECHR 2006-XII;

117. *Hummatov v. Azerbaijan*, nos. 9852/03 and 13413/04, § 115, 29 November 2007; *Yevgeniy Alekseyenko v. Russia*, no. 41833/04, § 100, 2011 წლის 27 იანვარი; *Gladkiy v. Russia*, no. 3242/03, § 84, 2010 წლის 21 დეკემბერი; *Khatayev v. Russia*, no. 56994/09, § 85, 2011 წლის 11 ოქტომბერი; *Holomiov v. Moldova*, no. 30649/05, § 121, 7 November 2006 წლის 7 ნოემბერი;

118. *Sarban v. Moldova*, no. 3456/05, § 79, 2005 წლის 4 ოქტომბერი; and *Popov v. Russia*, § 211.

119. *Aleksanyan v. Russia*, no. 46468/06, § 140, 2008 წლის 22 დეკემბერი.

საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უზრუნველყოფს ბრალდებულის უფლებას დაკავებისთანავე ან დაპატიმრებისას დაუყოვნებლივ მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემოწმება და მიიღოს შესაბამისი წერილობითი დასკვნა. კოდექსი ნათლად განმარტავს, რომ სამედიცინო შემოწმება დაუყოვნებლივ უნდა იქნას უზრუნველყოფილი. ასევე, ბრალდებულს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ნებისმიერ დროს, საკუთარი ხარჯით, დაუყოვნებლივ ჩაიტაროს სამედიცინო შემოწმება მის მიერ მოწვეული ექსპერტის მიერ¹²⁰.

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ავალდებულებს სახელმწიფოს, რომ დაკავების ადგილას მიყვანისთანავე დაკავებული ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის დასადგენად შეამოწმოს ექიმმა და შეადგინოს სათანადო ცნობა¹²¹. დაკავებულის მიერ ხელმოწერილ დაკავების ოქმში აღნიშნული უნდა იყოს, რომ ბრალდებულს უფლება აქვს, მოითხოვოს სამედიცინო შემოწმება და დახმარება.

პრაქტიკაში სამედიცინო შემოწმების დროულობა, სრულყოფილება და ფარგლები პატიმრობის ადგილზეა დამოკიდებული. პოლიციის დაწესებულებაში ავტომატური სამედიცინო შემოწმება არ არის ხელმისაწვდომი, ვინაიდან იქ სამედიცინო წარმომადგენელი მუდმივად არ ჰყავთ. თუკი დაკავებულს სამედიცინო დახმარება სჭირდება პოლიციის დაწესებულებაში, პოლიციის მოხელე სასწრაფო დახმარების სამსახურს უკავშირდება და დაკავებულს სამედიცინო დახმარებას ისინი უწევენ.

თუკი დაკავებული პირდაპირ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაჰყავთ, დაწესებულებაში მიყვანისთანავე პირს უნდა ჩაუტარდეს სამედიცინო შემოწმება. საჭიროების შემთხვევაში, ექიმი დაკავებულს უტარებს მკურნალობას ან გადაიყვანს საავადმყოფოში შემდგომი მკურნალობისათვის.

სპეციალური დაცვის მექანიზმები ბავშვებისა და სხვა მოწყვლადი ექვიტანოებისათვის საერთაშორისო სტანდარტები

ევროპის სასამართლო აცხადებს, რომ ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში სისხლის სამართლის პროცესის დაგეგმვა უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის დაცვის

120. მუხლი 38(9), ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;

121. მუხლი 174, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;

პრინციპებს. მნიშვნელოვანია, რომ სამართალდარღვევის ჩადენაში ბრალდებულ ბავშვთან მოპყრობისას გათვალისწინებული იყოს მისი ასაკი, მომწიფების დონე და ინტელექტუალური და ემოციური შესაძლებლობები და მიღებული იქნას შესაბამისი ზომები, რათა ხელი შეუწყონ მის მიერ პროცესის გაგებას და მასში მონაწილეობას¹²².

არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლება, ეფექტური მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის პროცესში, ავალდებულებს სახელმწიფოს არასრულწლოვანის სისხლის სამართლის გამოძიებაში მისი პირველივე ჩართვიდან მოეპყროს მას მისი მოწყვლადობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, განსაკუთრებით კი პოლიციის მიერ მისი დაკითხვის პროცესში. სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რათა შესაძლებლობების ფარგლებში, მინიმუმამდე იქნას დაყვანილი შიშის გამომწვევი გრძნობები არასრულწლოვანში. ამავე დროს, უზრუნველყოს, რომ არასრულწლოვან ბრალდებულს ესმოდეს გამოძიების ხასიათი და იმ სასჯელის მნიშვნელობა, რომელიც შეიძლება შეეფარდოს. ასევე, განემარტოს, რომ აქვს ადვოკატის ყოლის და დუმილის უფლება¹²³.

ბავშვების მოწყვლადობის, სიმწიფის, ინტელექტუალური და ემოციური შესაძლებლობების გათვალისწინებით, ევროპის სასამართლომ ხაზი გაუსვა ადვოკატის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მნიშვნელობას, როდესაც პატიმრობაში მყოფი პირი არასრულწლოვანია. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სალდუმის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში განაცხადა:

პოლიციის დაწესებულებაში მოთავსებული არასრულწლოვანის იურიდიული დახმარების გარშემო შესწავლილი დიდი რაოდენობით შესაბამისი საერთაშორისო სამართლის მასალების გათვალისწინებით, სასამართლო ხაზს უსვავს, რომ ადვოკატის ხელმისაწვდომობას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს, როდესაც პატიმრობაში მყოფი პირი არასრულწლოვანია.

გარდა ამისა, არასრულწლოვანთა სტანდარტებთან მიმართებაში მნიშვნელოვანია შემდეგი საერთაშორისო ინსტრუმენტები - გენერალური ასამბლეის მიერ 1985 წლის 29 ნოემბერის მიღებული გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები (A/RES/40/33, შემდგომში "ჰეკინის წესები") არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულებისათვის, ადგენს შემდეგს:

122. V. v. the United Kingdom [GC], no. 24888/94, § 86, ECHR 1999-IX; T. v. the United Kingdom [GC], no. 24724/94, § 84, 1999 წლის 16 დეკემბერი; Panovits v. Cyprus, no. 4268/04, § 67, 2008 წლის 11 დეკემბერი; Adamkiewicz v. Poland, no. 54729/00, § 70, 2010 წლის 2 მარტი;

123. Panovits, case § 67; S.C. v. the United Kingdom, no. 60958/00, § 29, ECHR 2004-IV; Martin v. Estonia, no. 35985/09, § 92, 30, 2013 წლის 30 მაისი;

- 5.1 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემამ ხელი უნდა შეუწყოს არასრულწლოვანთა კეთილდღეობას და უზრუნველყოს არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების მიმართ განხორციელებული ნებისმიერი რეაგირების თანაზომიერება როგორც სამართალდამრღვევის, ასევე სამართალდარღვევისადმი....
- 7. არასრულწლოვანთა უფლებები
- 7.1 ძირითადი საპროცესო დაცვის მექანიზმები, როგორებიცაა უდანაშაულობის პრეზუმცია, წაყენებული ბრალის შესახებ ინფორმაციის მიწოდების უფლება, დუმილის, ადვოკატის ყოლის, მშობლის ან მეურვის დასწრების უფლება, მოწმეთა დაპირისპირებისა და ჯვარედინი დაკითხვის უფლება და ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების უფლება გარანტირებული უნდა იყოს საქმის წარმოების ყველა ეტაპზე....
- 10. პირველი კონტაქტი
- 10.1 არასრულწლოვანის დაკავების შემთხვევაში, დაკავების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მის მშობლებს ან მეურვეს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი ეს შეუძლებელია, მშობლებს ან მეურვეს ამის შესახებ ინფორმაცია რაც შეიძლება მცირე დროში უნდა მიაწოდონ.....
- 10.3 სამართალდამცავ უწყებებსა და არასრულწლოვან სამართალდამრღვევს შორის ურთიერთობისას, პატივი უნდა სცენ არასრულწლოვანის სამართლებრივ სტატუსს, ეს ურთიერთობა ხელს უნდა უწყობდეს არასრულწლოვანის კეთილდღეობას და საქმის გარემოებების სათანადოდ გათვალისწინებით, ხელს უნდა უწყობდეს არასრულწლოვანისათვის ზიანის თავიდან აცილებას.

გაეროს წესები თავისუფლება აღკვეთილი არსრულწლოვების დასაცავად მიღებული იქნა გენერალური ასამბლეის #45/113 რეზოლუციით 1990 წლის 14 დეკემბერს:

“1. ფუნდამენტური შესაძლებლობები

...2. არასრულწლოვანისათვის თავისუფლების აღკვეთა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ პრინციპებისა და პროცედურების თანახმად, რომლებიც გაცხადებულია ამ წესებში და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულების შესახებ გაერთოს მინიმალურ წესებში (პეკინის წესები). არასრულწლოვანისთვის თავისუფლების აღკვეთის გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ სხვა ყველა შესაძლებლობის ამოწურვის შემდეგ მინიმალური ვადით და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. სანქციის ხანგრძლივობას განსაზღვრავს სასამართლო ისე, რომ არ

გამორიცხოს პირის ვადაზე ადრე გათავისუფლება.....

II. წესების მოქმედების სფერო და გამოყენება

...12. თავისუფლების აღკვეთა უნდა განხორციელდეს ისეთ პირობებში და გარემოებებში, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვანის უფლებების დაცვას. დაწესებულებაში განთავსებულ თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებს უნდა ჰქონდეთ სხვადასხვა აქტივობითა და პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა, რომლის მიზანია არასრულწლოვანის ჯანმრთელობისა და საკუთარი თავის პატივისცემის გაუმჯობესება და შენარჩუნება, პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება და ისეთი დამოკიდებულებებისა და უნარ-ჩვევების წახალისება/განმტკიცება, რომელიც დაეხმარება მათ, როგორც საზოგადოების წევრების, საკუთარი პოტენციალის განვითარებაში.....

სტანდარტები საქართველოში

ახალის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მთელ რიგ დებულებებს და ცალკე თავსაც კი მოიცავს არასრულწლოვნებისა და სხვა მოწყვლადი პირების შესახებ. კოდექსი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს არასრულწლოვნებს სამართალწარმოების ყველა ეტაპზე. კოდექსის მოთხოვნაა, რომ მხედველობაში იქნეს მიღებული არასრულწლოვანის ასაკი, რესოციალიზაციის განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი, მისი ხელახალი აღზრდისათვის ხელის შეწყობის აუცილებლობა. არასრულწლოვანის მიმართ სისხლის სამართლის პროცესის განმავლობაში სავალდებულოა არასრულწლოვანის უფლებათა საერთაშორისო გარანტიების სრული დაცვა¹²⁴.

კოდექსის თანახმად, დაცვა სავალდებულოა ბრალდებულისათვის, თუკი ის არასრულწლოვანია ან გააჩნია ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რაც ხელს უშლის მის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებას¹²⁵. ამასთან კოდექსის მოთხოვნაა, რომ არასრულწლოვანის შემოწმება მოხდეს მისი სამართლებრივი წარმომადგენლის ან ფსიქოლოგის თანდასწრებით. ახალი კოდექსით, 14 წლამდე ასაკის პირის დაკითხვა ნებადართულია მხოლოდ მისი სამართლებრივი წარმომადგენლის თანხმობით და მისი თანდასწრებით. წარმომადგენელს უფლება აქვს გამოთქვას საკუთარი აზრი და სასამართლოს ნებართვით დააბუსტოს კითხვა. 14 წლამდე ასაკის მოწმეს უნდა განემარტოს მისი ვალდებულება, რომ უნდა თქვას მხოლოდ სიმართლე, მაგრამ არ უნდა იყოს ინფორმირებული ჩვენების მიცემაზე უარის თქმის, ყალბი

124. მუხლი 316, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;

125. მუხლი 45, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;

ჩვენების და ურთიერთგამომრიცხავი ჩვენების მიცემის გამო სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესაძლო დაკისრების შესახებ.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ზოგად პრინციპებში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ ნებისმიერი სასამართლო სხდომა, რომელშიც არასრულწლოვანი მონაწილეობს, დახურული უნდა იყოს.

იმ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებული არასრულწლოვანია, მისი ცხოვრების, განათლების, განვითარების, ოჯახურის გარემოს და სხვა პირობები, რომლებიც ნათელს ჰფენს მის ხასიათსა და ქცევას, გამოკვლეული უნდა იქნას. არასრულწლოვანის მშობლებს, კანონიერ წარმომადგენლებს, ახლო ნათესავებს, ასევე პედაგოგებს უფლება აქვთ, დაესწრონ სასამართლოს სხდომას, რომელშიც არასრულწლოვანი მონაწილეობს. თუკი სასამართლო ან პროკურორი მიიჩნევს, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულის ინტერესებს ემსახურება, მას შეუძლია სავალდებულო წესით უზრუნველყოს მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის ან ახლო ნათესავის, ასევე პედაგოგის მონაწილეობა. არასრულწლოვანის ინტერესების დაცვის მიზნით, სასამართლოს ან პროკურორს შეუძლია აუკრძალოს არასრულწლოვანი ბრალდებულის მშობელს, კანონიერ წარმომადგენელს, ახლო ნათესავს ან პედაგოგს სასამართლო სხდომაზე დასწრება ან საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობა¹²⁶.

კოდექსის თანახმად, არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეზე პროცესს წარმართავს მხოლოდ ის მოსამართლე, პროკურორი ან გამომძიებელი, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში¹²⁷.

კოდექსის მოთხოვნაა, რომ არასრულწლოვანის საქმე სრულწლოვანის საქმისგან ცალკე გამოიყოს. იგივე მოთხოვნა ვრცელდება არასრულწლოვანის პატიმრობის პირობებზეც. ამ შემთხვევაში საპროცესო კოდექსის მოთხოვნაა, რომ არასრულწლოვანი ბრალდებული სრულწლოვანი ბრალდებულისაგან განცალკევებით იქნას მოთავსებული¹²⁸.

ამასთან, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაკუთრებული დაცვის ღონისძიებებს აწესებს არასრულწლოვანის საქმეებთან მიმართებაში - როგორცაა, მაგალითად, არასრულწლოვანის მეთვალყურეობის ქვეშ გადაცემა. არასრულწლოვანი ბრალდებულის მშობლის, წარმომადგენლის, მეურვის ან ბავშვთა სპეციალური დაწესებულების მეთვალყურეობაში გადაცემის მიზანია,

126. მუხლი, 317, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
127. მუხლი 319, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
128. მუხლები 318-323, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;

რომ მეთვალყურეობის განმახორციელებელმა მხარემ წერილობითი პასუხისმგებლობა აიღოს არასრულწლოვანი ბრალდებულის სასამართლოში, გამომძიებელთან, პროკურორთან გამოცხადებაზე და არასრულწლოვანის სწორ ქცევაზე.

ყრუ-მუნჯი პირის გამოკითხვა უნდა განხორციელდეს შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე თარჯიმნის დახმარებით. თუკი გამოსაკითხი პირი სმენადაქვეითებულია, მას შეიძლება წერილობით დაუსვან შეკითხვები. მძიმე ავადმყოფის დაკითხვა უნდა განხორციელდეს ექიმის თანხმობით და, თუ საჭიროა, ექიმის თანდასწრებით.

პრაქტიკაში ადვოკატებს არ გამოუთქვავთ შეშფოთება ან საყვედური იმასთან დაკავშირებით, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით არასრულწლოვნებთან მიმართებაში განსაზღვრული დებულებები არ სრულდება. კვლევის პროცესში ექსპერტებს მხოლოდ ერთი არასრულწლოვანის დაკითხვაზე დასწრების შესაძლებლობა მიეცათ.

არასრულწლოვანის პოლიციის დაწესებულებაში მიყვანისთანავე, მშობლებს ტელეფონით აცნობეს ბავშვის დაკავების შესახებ და მოიწვიეს საგამომძიებო პროცესზე დასასწრებად. მშობლები და ადვოკატი 30 წუთში მოვიდნენ და პოლიციის თანამშრომელმა ბავშვის დაკითხვა დაიწყო. დაკითხვის დაწყებამდე, არასრულწლოვანს და მის კანონიერ წარმომადგენლებს განუმარტეს მათი უფლებები. თუმცა, ერთი შემთხვევა საკმარისი არ იყო ექსპერტთა ჯგუფისათვის დასკვნების გასაკეთებლად, თუ რამდენად სრულდება კოდექსით განსაზღვრული წესები არასრულწლოვნების საქმეებში; ამიტომ ექსპერტების დასკვნები ძირითადად ადვოკატებისა და პოლიციის თანამშრომლების გამოკითხვის შედეგებს ეყრდნობა.

საქართველოს ხელისუფლების მიერ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გატარებულ რეფორმებს შორის, ერთ ერთი ყველაზე ღირშესანიშნავი სისხლის სამართლის სისტემის რეფორმაა. უკანასკნელი მონაცემები ცხადყოფს, რომ პოლიციის სექტორში განხორციელებული რეფორმების შედეგად სამართალდამცავი ორგანოების მიმართ საზოგადოების ნდობა გაიზარდა და პოლიცია სხვა უწყებებს შორის კვლავაც ყველაზე დიდი ნდობით სარგებლობს საქართველოში.

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, რომელიც ძალაში 2010 წლის ოქტომბერში შევიდა, რამდენიმე პოზიტიური სიახლე და გარანტია იქნა შემოღებული ბრალდებულებისათვის, რამაც ინკვიზიციური სისხლის სამართლის სისტემის შეჭიბრებითი ჩანაცვლება გამოიწვია.

მიუხედავად ამისა, სამართალდამცავთა მიერ თავისუფლება აღკვეთილი პირების უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად გასაუმჯობესებელი კვლავაც ბევრია როგორც კანონმდებლობაში, ისე პრაქტიკაში.

კვლევა ძირითადად მიზნად ისახავდა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში ისეთი ასპექტების იდენტიფიცირებას, რომლებიც ხელს უშლის დაკავებულებს, ისარგებლონ საქართველოსკონსტიტუციითა და საქართველოს მიერ ხელმოწერილი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებით გარანტირებული უფლებებით. სწორედ ამიტომ, კვლევა მიმართული იყო პირის დაკავების და მისი პოლიციის დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული საჭიროებების გამოვლენაზე.

შეზღუდული ადამიანური და ფინანსური რესურსების პირობებში, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის მკაცრად განსაზღვრული ჩარჩოს გამო, ექსპერტთა ჯგუფი იძულებული იყო საქართველოს მასშტაბით სამი პოლიციის დაწესებულების მონიტორინგით დაკმაყოფილებულიყო თბილისში, ქუთაისსა და თელავში. ჩვენ არ გვქონდა ამბიცია ან განზრახვა, მონიტორინგი გვეწარმოებინა პოლიციის დაწესებულებებზე ან პოლიციის თანამშრომლებზე - ჩვენი მიზანი იყო იმ პრობლემური ტენდენციების გამოვლენა როგორც კანონმდებლობაში, ასევე პრაქტიკაში, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ დაკავებულის შესაძლებლობაზე, ეფექტურად ისარგებლოს საპროცესო უფლებებით

დაკავებისთანავე და მოგვენახა გამოვლენილი პრობლემების მოგვარების გზები.

მკვლევართა ჯგუფმა დასკვნების გასაკეთებლად შემდეგი მეთოდოლოგია გამოიყენა:

1. საკანონმდებლო გარანტიების ანალიზი;
2. პოლიციის სამ დაწესებულებაში - თბილისში, ქუთაისსა და თელავში ყოველდღიური დაკვირვებების წარმოება და პოლიციისა და სხვა აქტორების ქმედებათა დოკუმენტირება; დაკვირვების ანგარიში, ასევე, მოიცავს პოლიციის მიერ ჩატარებულ დაკითხვებზე და დაკავებულებთან და ადვოკატებთან შეხვედრებზე დასწრების ამსახველ მასალას;
3. 17 ინდივიდუალური/ჩალრმავებული ინტერვიუ პოლიციის თანამშრომლებთან და ადვოკატებთან.

მთლიანობაში, საქართველოს კონსტიტუცია და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი საკმარის დაცვის მექანიზმებს სთავაზობს დაკავებულებს. არსებული კანონმდებლობა დეტალურად განსაზღვრავს დაკავების ვადებს, დაკავების წესებს და დაკავებაზე უფლებამოსილ პირებს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უფლებას აძლევს დაკავებულს:

- ა. დაუყოვნებლივ მიიღოს ინფორმაცია მისი დაკავების მიზეზების შესახებ;
- ბ. მოითხოვოს თარჯიმნის დახმარება, თუკი არ ფლობს სახელმწიფო ენას;
- გ. მოითხოვოს ადვოკატი;
- დ. უარი თქვას დანაშაულის დაბრალებაზე/საკუთარი თავის მამხილებელი ჩვენების მიცემაზე;
- ე. მოითხოვოს სამედიცინო დახმარება.

2. საქართველოს კანონმდებლობა ავალდებულებს სამართალდამცავ უწყებებს, მოიპოვონ პირის დაკავებისათვის საჭირო სასამართლოს განჩინება, ხოლო განჩინების გარეშე პირის დაკავება ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუკი არსებობს პირის მიერ დანაშაულის თავის არიდების, მტკიცებულებების განადგურების ან ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე. თუმცა, უმეტეს შემთხვევებში, პოლიცია ჯერ დაკავებას ახორციელებს და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართავს სასამართლოს წინასწარი პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით. ათობით წინასწარი პატიმრობის გადაწყვეტილების გაცნობის შემდეგ, მკვლევარებმა დაასკვნეს, რომ სასამართლო იშვიათად აქცევს ყურადღებას თავად დაკავების კანონიერებას (რამდენად განხორციელდა დაკავება სისხლის

სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის შესაბამისად) და ძირითადი აქცენტი გადააქვს წინასწარი პატიმრობის შეფარდება-არ შეფარდების საკითხის გადაწყვეტაზე. ეს ზრდის სამართალდამცავთა მხრიდან თვითნებური გადაწყვეტილებების მიღების რისკს, განსაკუთრებით დაკავებიდან პირველი 48 საათის განმავლობაში, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით დაკავების კანონიერების პერიოდულად შეფასების მექანიზმი არ არსებობს.

- რეკომენდაცია: სამართალდამცავები ვალდებული არიან, მუსტად დაიცვან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის პირობები, რომლის თანახმადაც პირის დაკავება მხოლოდ სასამართლოს განჩინებით უნდა განხორციელდეს. პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.

3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს, რომ სამართალდამცავი პირი ვალდებულია დაკავებისთანავე განუმარტოს დაკავებულს მისი საპროცესო უფლებები.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სამართალდამცავები დაკავებულს მისი უფლებების შესახებ ინფორმაციას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში აწვდიან. უმეტეს შემთხვევებში, დაკავებულს მის უფლებებს პოლიციის დაწესებულებაში გადაყვანის შემდეგ უმარტავენ, როდესაც მან ხელი უნდა მოაწეროს დაკავების ოქმს, სადაც მოცემულია ამ უფლებების ჩამონათვალი. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ უფლებები ნათლად და არაბუნდოვნად არის განმარტებული ჩამონათვალიში, თუმცა სამართალდამცავები ვალდებულნი არ არიან გადაამოწმონ, რომ ბრალდებულმა ნამდვილად გაიგო თავისი უფლებები. უმეტეს შემთხვევაში, ისინი უფლებების შესახებ ზეპირ განმარტებებს დაკავებულის უფლებების შესახებ, ასევე დუმილისა და საკუთარი თავის საწინააღმდეგო ჩვენების არ მიცემის უფლების შესახებ, არ აკეთებენ.

- რეკომენდაცია: სამართალდამცავმა პირმა ზეპირსიტყვიერად უნდა განუმარტოს დაკავებულს მისი უფლებები მისთვის გასაგები ფორმით, რათა საშუალება მისცეს, ისარგებლოს ამ უფლებებით.

4. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს დაკავების, ან მოწმის გამოძახების წესს, ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ სამართალდამცავები სხვადასხვა ხერხით ცდილობენ გვერდი აუარონ ოფიციალურ წესებს ან ვადებს. არსებობს პოლიციის ოქმები ადამიანების ქუჩაში „გასაუბრების“ მიზნით გაჩერების შესახებ. მსგავს წესს არც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

და არც ნებისმიერი სხვა კანონი არ იცნობს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მხოლოდ იმას განსაზღვრავს, რომ პირის დაკითხვა შესაძლებელია დაკავებულის, მოწმის ან დაზარალებულის სტატუსით. გამოხატული თანხმობის გარეშე, პირის პოლიციის დაწესებულებაში გადაყვანა მისი თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების შეზღუდვაა და თვითნებური გადაწყვეტილების მიღების მაგალითს წარმოადგენს. პირის არარეგისტრირებული დაკავება ზრდის არასათანადო მოპყრობის რისკს. შესაბამისად, დაკავების წესები მნიშვნელოვან დახვეწას საჭიროებს, განსაკუთრებით დაკავების დროის ათვლის განსაზღვრისა და დაკავების ოქმის შედგენის ადგილის საკითხებთან მიმართებაში.

- რეკომენდაცია: პირის „გასაუბრების“ მიზნით დაკავების პრაქტიკა უნდა დასრულდეს, ვინაიდან ის თვითნებური გადაწყვეტილების მიღების დიდ რისკს მოიცავს. პოლიციამ მხოლოდ ოფიციალურად უნდა გადაიყვანოს დაკავებული ან მოწმე პოლიციის დაწესებულებაში და მხოლოდ კანონიერი პროცედურები უნდა განახორციელოს.

5. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა უზრუნველყოფს პირის უფლებას, არ დაიბრალოს დანაშაული, ექსპერტთა ჯგუფი არა ერთ შემთხვევას შეესწრო, როდესაც გამომძიებელი სხვადასხვა ხერხის მეშვეობით პირს მოწმის სტატუსით კითხავდა, ნაცვლად დაკავებულისა. ეს ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს და უარყოფითად მოქმედებს პირის მიერ დუმილის და დანაშაულის არ დაბრალების უფლების გამოყენებაზე. უმეტეს შემთხვევაში, პირს მოწმის სტატუსით კითხავენ დაკავებულის ნაცვლად მაშინაც კი, როდესაც არსებობს მისი ბრალდებულად ცნობისათვის საკმარისი მტკიცებულება.

პირის მოწმის სტატუსით დაკითხვისას, სამართალდამცავები ყველაფერს აკეთებენ, რათა პირს აგრძნობინონ, რომ მისი სამართლებრივი ვალდებულებაა მის ხელთ არსებული ინფორმაციის პოლიციისათვის მიწოდება მაშინაც კი, როდესაც ეს ინფორმაცია პოტენციურად პირდაპირ ან ირიბად შეიძლება გამოყენებული იქნას მის წინააღმდეგ. გამომძიებლები ხშირად ზედმეტ ყურადღებას ამახვილებენ მოწმის ვალდებულებაზე, მიაწოდოს ინფორმაცია სამართალდამცავებს ნაცვლად იმისა, რომ მეტი ყურადღება გაამახვილონ მოწმის უფლებაზე, არ უპასუხოს იმ შეკითხვებს, რომლებიც შეიძლება გამოძიების დროს მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული.

რეკომენდაცია: სამართალდამცავებმა ყურადღება არა მხოლოდ მოწმის სამართლებრივ ვალდებულებაზე

(იმ სანქციებზე, რომლებიც მას ამ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ემუქრება) უნდა გაამახვილონ, არამედ მოწმის უფლებებზეც, მათ შორის საკუთარი თავის ან ოჯახის წევრების მამხილებელი ინფორმაციის/ჩვენების არ მიცემის უფლებაზეც. ამასთან, როდესაც არსებობს მტკიცებულება, რომ პირს ჩადენილი აქვს დანაშაული, უნდა მოხდეს მისი დაკავება და არა მოწმის სტატუსით მოპყრობა, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა მოწმესთან შედარებით დაკავებულს უფრო მეტ სამართლებრივ უფლებას სთავაზობს, მათ შორის დუმილისა და ადვოკატის დაუყოვნებლივ მოთხოვნის უფლებას.

6. საქართველოს კანონმდებლობა არ აკონკრეტებს, სად უნდა გადაიყვანონ მოწმე დაკავების შემდეგ-პოლიციის დაწესებულებაში თუ დაკავების სხვა იზოლატორში. იმ შემთხვევაში, თუკი პირს პოლიციის დაწესებულებაში გადაიყვანენ, მისი იქ დაყოვნება შეუზღუდავი დროით შეიძლება, ვიდრე საბოლოოდ დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაიყვანენ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 174(2)-ე მუხლი განსაზღვრავს პირის დაკავების საფუძველს, მაგრამ არ აკონკრეტებს დაკავების ადგილს და, შესაბამისად, ეს შეიძლება იყოს როგორც დაკავების იზოლატორი, ისე პოლიციის დაწესებულება. დაკავების იზოლატორის ფუნქციონირების წესის დამატებითი ინსტრუქციების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის #108-ე ბრძანებულების თანახმად, გადაწყვეტილებას იმის შესახებ, დაკავების იზოლატორში უნდა მოთავსდეს დაკავებული თუ არა, იღებს გამომძიებელი, პოლიციის თანამშრომელი ან პროკურორი და ასახავს აღნიშნულს დაკავების ოქმში, რომელიც მოგვიანებით შესაბამისი პოლიციის დაწესებულებაში ხელმოწერით უნდა დაადასტუროს საგამომძიებო უწყების უფროსმა. ხშირად პოლიციის თანამშრომლებს ურჩევნიათ დაკავებული პოლიციის დაწესებულებაში გადაიყვანონ, ვინაიდან დაკავების იზოლატორებში არ არსებობს საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა ინფორმაციის ელექტრონილი საქმის წარმოების სისტემაში შესატანად. რადგან დაკავების იზოლატორში დაკავებულის უფლებების დაცვის მეტი გარანტიებია, უფრო გონივრული იქნება, ამ დაწესებულებების სათანადოდ აღჭურვა და დაკითხვების იქ ჩატარება. თუკი დაკავებული დაუყოვნებლივ იქნა გადაყვანილი დროებითი მოთავსების იზოლატორში, მას საკუთარი უფლებებით სარგებლობის მეტი შესაძლებლობა ექნება, რაც შეამცირებს მისი თვითნებური დაპატიმრების ან თავისუფლების აღკვეთის რისკს. ამასთან, ზუსტად მოხდება დაკავების დროის დაფიქსირება, გამოირიცხება დაკავების დროსთან დაკავშირებული ბუნდოვანება და დაკავებულს დაუყოვნებლივ ჩაუტარდება სამედიცინო შემოწმება, რაც მისი ზეწოლის ან არასათანადო მოპყრობისგან დაცვის დამატებითი გარანტია იქნება.

რეკომენდაცია: საქართველოს კანონმდებლობით ნათლად უნდა განისაზღვროს, თუ რა შემთხვევაში უნდა მოხდეს პირის გადაყვანა პოლიციის ან დროებითი მოთავსების იზოლატორებში. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში უნდა დაკონკრეტდეს პირის პოლიციის დაწესებულებაში გადაყვანის **მიზანი და ვადა** იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს დროებითი მოთავსების იზოლატორები. საქართველოს კანონმდებლობამ და სამართალდამცავმა უწყებებმა უნდა უზრუნველყონ, რომ თითოეული დაკავებული პირი დაუყოვნებლივ იქნას გადაყვანილი დროებითი მოთავსების იზოლატორებში და სწორედ იქ ჩატარდეს ყველა საგამოძიებო მოქმედება, ვინაიდან ამგვარად უკეთესად განხორციელდება დაკავებული პირის უფლებების დაცვა, მუსტად დაფიქსირდება დაკავების დრო და ჯანმრთელობის მდგომარეობა, მინიმუმამდე შემცირდება არასათანადო მოპყრობის, თვითნებური დაკავებისა და თავისუფლების აღკვეთის რისკები.

7. ხელისუფლებამ უნდა შეიმუშავოს სპეციალური გაიდლაინები თვითნებური გადაწყვეტილებების და ქმედებების შესამცირებლად მომავალში. ეს გაიდლაინები ხელს შეუწყობს სისტემატური უკანონო ქცევის შემცირებას პოლიციის მიერ დაკითხვებისა და სისხლის სამართლის პროცესის განხორციელების დროს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა შეიმუშავოს სპეციალური გაიდლაინები პოლიციის თანამშრომლებისათვის მათი ყოველდღიური საქმიანობების განხორციელების წესთან დაკავშირებით და დაკავების პროცესში ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით. ეს გაიდლაინები შეიძლება არ იყოს საჭარო, თუმცა თავად გაიდლაინების შემუშავების ან განახლების პროცესი, გარკვეულწილად, გამჭვირვალე უნდა იყოს. სასურველია, რომ პროცესში მონაწილეობა მიიღონ და საკუთარი უკუგება წარმოადგინონ შესაბამისი სფეროს პროფესიონალებმა და დაინტერესებულმა მხარეებმა. გაიდლაინები იმდენად დეტალური უნდა იყოს, რომ საშუალება მისცეს პოლიციის თანამშრომლებს, შეაფასონ ყველა შესაძლო სცენარი და მიიღონ კანონის შესაბამისი გადაწყვეტილებები.

8. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა სამართალდამცავებს თვითნებური გადაწყვეტილებების მიღების ძალიან ბევრ შესაძლებლობას აძლევს პირის დაკავებიდან პირველი 48 საათის განმავლობაში. კანონმდებლობა არ აკონკრეტებს, თუ ვინ არის პასუხისმგებელი, შეამოწმოს დაკავების კანონიერება და პირის განგრძობად პატიმრობაში ყოფნა პირველი 48 საათის განმავლობაში. ავტომატური 48 საათიანი დაკავება ამ პერიოდში დაკავების

გაგრძელება-არ გაგრძელების საჭიროების გადამოწმების მექანიზმის გარეშე, ზღუდავს პირის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებას.

რეკომენდაცია: საჭიროა ცვლილების შეტანა საქართველოს კანონმდებლობაში, რათა შეიქმნას შიდა და/ან ადმინისტრაციული მექანიზმი, რომელიც შეაფასებს პირის დაკავების კანონიერებას პირველი 48 საათის განმავლობაში. პოლიციას უნდა დაევალოს პერიოდულად გადახედოს და დაადასტუროს პირის პატიმრობის გაგრძელება.

9. მიუხედავად იმისა, რომ თარჯიმნით სარგებლობის უფლება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითაა გარანტირებული და ხარისხიანი თარგმანით უზრუნველყოფას გულისხმობს, ექსპერტთა ჯგუფის დაკვირვებით, პრაქტიკაში, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში შინაგან საქმეთა სამინისტრო და მთავარი პროკურატურა მხოლოდ ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენის თარჯიმნებს ქირაობს. სისტემატურად ხდებოდა აზერბაიჯანული, სომხური და ქურთული ენების გამორიცხვა და გამომძიებლები იძულებულნი იყვნენ, საჭიროების მიხედვით მოეძებნათ თარჯიმნები ანაზღაურების გარეშე. ამჟამად თარჯიმნის ან თარგმანის ხარისხის შეფასების მექანიზმი არ არსებობს.

რეკომენდაცია: სამართალდამცავმა უწყებებმა უნდა გააუმჯობესონ მთარგმნელობითი მომსახურებების შესყიდვის მენეჯმენტი და უზრუნველყონ ეთნიკური უმცირესობების ენებზე, მათ შორის აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე თარგმნის ხელმისაწვდომობა. ამასთან, უნდა შეიქმნას მინიმალური გარანტიები, რომ თარგმნის ხარისხი აკმაყოფილებდეს გარკვეულ სტანდარტს, რომელიც უზრუნველყოფს ბრალდებულის ან მოწმის მიერ მისი უფლებების, მოვალეობებისა და წაყენებული ბრალის გაგებას.

10. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა უზრუნველყოფს დაკავებულს ადვოკატის სწრაფი ხელმისაწვდომობის უფლებით, ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ მათ მიერ შესწავლილი საქმეების 80% დაკავებულები უარს ამბობდნენ პირველი დაკითხვის დროს ადვოკატით სარგებლობის უფლებაზე. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ დაკავებულისათვის რთულია ადვოკატის მნიშვნელობის შეფასება პირველ რიგში იმიტომ, რომ დაკავების ოქმში მისი უფლებების განმარტება მხოლოდ ფორმალურ სახეს ატარებს. მეორეს მხრივ, ამას ემატება დაკავებასთან დაკავშირებული ნერვიულობა და მღელვარება. ზოგადად, საზოგადოება ხშირად არ არის გაცნობიერებული, თუ რა როლს თამაშობს ადვოკატი სისხლის სამართლის პროცესში. დაკავებულთა უმეტესობას მიაჩნია, რომ

ადვოკატის მონაწილეობა მნიშვნელოვანი მხოლოდ სასამართლოშია წინასწარი პატიმრობის საკითხის განხილვისას და არა დაკავების მომენტში. პოლიციის მოხელეები ხშირად სარგებლობენ დაკავებულის გაუცნობიერებლობით და მოწმის სტატუსით კითხავენ მას; დაკავებული არც ადვოკატის დასწრებას თვლის მნიშვნელოვანად, ვერც დაკითხვის შედეგს აცნობიერებს და შიშობს, რომ ადვოკატის მოთხოვნით შეიძლება გამომძიებელი გააღიზიანოს.

ამასთან, საპროცესო შეთანხმების გაფორმების გავრცელებული პრაქტიკა უბიძგებს დაკავებულს, უარი თქვას ადვოკატით სარგებლობის უფლებაზე. ხშირად დაკავებულს ეშინია, რომ ადვოკატის მოთხოვნით გაღიზიანებულმა გამომძიებელმა შეიძლება უარი უთხრას საპროცესო შეთანხმებაზე. პოლიცია, თავის მხრივ, ცდილობს ისარგებლოს ყველა ამ ფაქტორით და დაკითხვა მისთვის სასარგებლოდ წარმართოს, უბიძგოს ბრალდებულს ან მოწმეს, მისცეს მისთვის სასურველი ჩვენება, რითაც შეიძლება ფაქტიურად დაიბრალოს დანაშაული.

რეკომენდაციები: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ უნდა გააუმჯობესოს მუშაობა საზოგადოებისათვის ადვოკატის როლისა და მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კუთხით, აჩვენოს მას ადვოკატის უფლებაზე უარის თქმით გამოწვეული შედეგები და რისკები. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ და იურიდიული დახმარების სამსახურმა უნდა უზრუნველყონ და გააუმჯობესონ სისხლის სამართლის ადვოკატთა მომსახურების ხარისხი. საჭიროა ამ მიმართულებით განათლების სტანდარტის გაზრდა და სისხლის სამართალში სპეციალიზებულ ადვოკატთა უნარ-ჩვევების განვითარება. მათ სასურველ გადაწყვეტილებას სასამართლოს გზით უნდა მიაღწიონ და არა საპროცესო შეთანხმებით.

11. სისხლის სამართლის საქმეებზე იურიდიული დახმარების მომსახურების მიწოდებას საქართველოში იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს, რომელიც დამოუკიდებელი საჯარო უწყებაა. გაწეული იურიდიული დახმარება ეფექტურია, თუმცა პრაქტიკაში ეს დახმარება დაკავების პირველი საათების განმავლობაში ხელმისაწვდომი არ არის. ეს კი ზეგავლენას ახდენს სამართალდამცავთა მხრიდან ამ პერიოდში ჩატარებული ნებისმიერი დაკითხვისა თუ საგამოძიებო მოქმედების სამართლიანობაზე.

მიმდინარე პრაქტიკა, კონკრეტულად კი 2 დღიანი ვადა და მასთან დაკავშირებული ადვოკატის დანიშვნის წესები თითქმის არ შეესაბამება სამართლიან პროცესს და გამომძიებელს პირის დაკითხვისა და მტკიცებულებების შეგროვების (კანონიერად თუ უკანონოდ) შესაძლებლობას ადვოკატის დანიშვნამდე აძლევს. უმეტეს

შემთხვევაში, ადვოკატი მხოლოდ ბრალდებულის სასამართლოს წინაშე პირველ წარდგენამდე ინიშნება.

- რეკომენდაციები: საჭიროა ცვლილებების შეტანა იურიდიული დახმარების კანონში და სხვა შესაბამის კანონმდებლობაში. ამ ცვლილებებით თითოეული პირი ავტომატურად იქნება უზრუნველყოფილი იურიდიული დახმარებით (თუკი არ ჰყავს კერძო ადვოკატი) დაკავებისთანავე, ასევე პირველი 48 საათის განმავლობაში ან ბრალის წაყენების შემდეგ და სასამართლოში გამოსვლისას;
- უნდა მომზადდეს გადაუდებელი იურიდიული დახმარების გეგმა (ადვოკატთა მორიგეობა 24/7 განმავლობაში), რომელიც შესაძლებლობას მისცემს ნებისმიერ დაკავებულს, მის ნათესავს, პოლიციას და სამართალდამცავებს დაკავებისთანავე მიიღონ იურიდიული კონსულტაცია. თანამშრომლებმა უნდა დააფიქსირონ ადვოკატის მოთხოვნის და მოსვლის დრო, სასურველია ელექტრონულ ფორმატში. იურიდიული დახმარების შესახებ კანონში და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში უნდა შევიდეს ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფს დაკავებულს ადვოკატის (ან სულ მცირე სატელეფონო კონსულტაციას იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატთან) სწრაფი ხელმისაწვდომობით დაკავების პირველივე საათებში და ნებისმიერი ფორმის დაკითხვის დაწყებამდე.
- უნდა გაუმჯობესდეს იურიდიული დამხმარების ადვოკატთა ხარისხი და ძალისხმევა ადეკვატური ადამიანური და მატერიალური რესურსების გამოყოფით, რათა შესაძლებელი გახდეს ბრალდებულის იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფა დაკავების პირველივე საათებში და ნებისმიერი დაკითხვის დაწყებამდე.

რეკომენდაციების ჩამონათვალი:

დაკავების წესების შესახებ

სამართალდამცავ უწყებებს:

- უნდა დაემორჩილონ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის მოთხოვნას, რომლის თანახმადაც პირის დაკავება ხდება მხოლოდ სასამართლოს განჩინების საფუძველზე. სასამართლოს განჩინების გარეშე დაკავება უნდა განხორციელდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში;

- ვალდებული არიან სიტყვიერად განუმარტონ დაკავებულს მისი უფლებები. უფლებების განმარტება არ უნდა ატარებდეს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს და უნდა უზრუნველყოფდეს, რომ პირმა გაიგო მისი უფლებები და შეუძლია მათი ეფექტურად გამოყენება;
- უნდა დასრულდეს პირის “გასაუბრების” მიზნით დაკავების პრაქტიკა. მოხელეს უფლება აქვს გადაიყვანოს დაკავებული პოლიციის დაწესებულებაში ან გამოიძახოს მოწმე, მაგრამ ეს ყველაფერი უნდა განახორციელოს შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების დაცვით;
- მოწმის უფლებების დაცვის მიზნით, აქცენტი უნდა გაკეთდეს არა მხოლოდ მის სამართლებრივ ვალდებულებაზე, მისცეს ჩვენება და იმ სანქციებზე, რაც მას სხვა შემთხვევაში დაეკისრება, არამედ ასევე მის უფლებაზე, არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის და ოჯახის წევრების წინააღმდეგ. როდესაც არსებობს მტკიცებულება, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, დაუშვებელია მისი მოწმის სტატუსით დაკითხვა და აუცილებელია ბრალის წაყენება; საქართველოს კანონმდებლობა დაკავებულისთვის უფრო სრულყოფილ გარანტიებს აწესებს, ვიდრე მოწმისათვის (დუმილის და ადვოკატის დაუყოვნებლივ დანიშვნის უფლება);
- საქართველოს კანონმდებლობაში პირდაპირ უნდა განისაზღვროს, თუ რა შემთხვევაში უნდა გადაიყვანონ პირი პოლიციის დაწესებულებაში და როდის დროებითი დაკავების იზოლატორში. კოდექსში უნდა დაკონკრეტდეს პირის პოლიციის დაწესებულებაში გადაყვანის მიზანი და გრაფიკი. ჩვენ სამართალდამცავებს ვურჩევთ, რომ პირი დაუყოვნებლივ გადაიყვანონ წინასწარი დაკავების დაწესებულებაში და იქ ჩაატარონ ყველა საგამოძიებო მოქმედება. ამგვარად უფრო მეტად იქნება დაცული დაკავებულის უფლებები, მათ შორის სწორედ მოხდება დაკავების დროისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის დაფიქსირება. ეს შეამცირებს არასწორი მოპყრობის, თვითნებური პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის რისკებს.
- საქართველოს კანონმდებლობაში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილებები, რომლის საფუძველზეც შეიქმნება შეფასების შიდა ან ადმინისტრაციული მექანიზმი, რომლითაც მოხდება დაკავებულის მიმდინარე პატიმრობის კანონიერების შეფასება პირველი 48 საათის განმავლობაში და მაღალი თანამდებობის პირები, ვალდებული იქნებიან პერიოდულად შეაფასონ პირის მიმდინარე პატიმრობა.

თარგმნის უფლების შესახებ

სამართალდამცავ უწყებებს:

- შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა შეიმუშავოს სპეციალური გაიდლაინები პოლიციის თანამშრომლებისათვის მათი ყოველდღიური საქმიანობების განხროციელების წესთან დაკავშირებით და დაკავების პროცესში ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით. ეს გაიდლაინები შეიძლება არ იყოს საჭარო, თუმცა თავად გაიდლაინების შემუშავების ან განახლების პროცესი, გარკვეულწილად, გამჭვირვალე უნდა იყოს. სასურველია, რომ პროცესში მონაწილეობა მიიღონ და საკუთარი უკუგება წარმოადგინონ შესაბამისი სფეროს პროფესიონალებმა და დაინტერესებულმა მხარეებმა. გაიდლაინები იმდენად დეტალური უნდა იყოს, რომ საშუალება მისცეს პოლიციის თანამშრომლებს, შეაფასონ ყველა შესაძლო სცენარი და მიიღონ კანონის შესაბამისი გადაწყვეტილებები.
- სამართალდამცავმა უწყებებმა უნდა გააუმჯობესონ მთარგმნელობითი მომსახურებების შესყიდვის მენეჯმენტი და უზრუნველყონ ეთნიკური უმცირესობების ენებზე, მათ შორის აზერბაიჯანულ დასომხურ ენებზე თარგმნის ხელმისაწვდომობა. ამასთან, უნდა შეიქმნას მინიმალური გარანტიები, რომ თარგმნის ხარისხი აკმაყოფილებს გარკვეულ სტანდარტს, რომელიც უზრუნველყოფს ბრალდებულის ან მოწმის მიერ მისი უფლებების მოვალეობებისა და წაყენებული ბრალის გაგებას.

სამართლებრივი წარმომადგენლობის და დაცვის შესახებ

საქართველოს იურიდიული დახმარების სამსახურს და

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას:

- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ უნდა გააუმჯობესოს მუშაობა საზოგადოებისთვის ადვოკატის როლისა და მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კუთხით, აჩვენოს მას ადვოკატის უფლებაზე უარის თქმით გამოწვეული შედეგები და რისკები.
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ და იურიდიული დახმარების სამსახურმა უნდა უზრუნველყონ და გააუმჯობესონ სისხლის სამართლის ადვოკატთა მომსახურების ხარისხი. საჭიროა ამ მიმართულებით განათლების სტანდარტის გაზრდა და სისხლის სამართალში სპეციალიზებულ ადვოკატთა უნარ-ჩვევების განვითარება.

- ადვოკატებმა სასურველ გადაწყვეტილებას სასამართლოს გზით უნდა მიაღწიონ და არა საპროცესო შეთანხმებით.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - იურიდიული დახმარების სამსახურს და საქართველოს პარლამენტს:

- საჯარო აცვლილებების შეტანა იურიდიული დახმარების კანონში და სხვა შესაბამის კანონმდებლობაში. ამ ცვლილებებით, თითოეული პირი ავტომატურად იქნება უზრუნველყოფილი იურიდიული დახმარებით (თუკი არ ჰყავს კერძო ადვოკატი) დაკავების თანავე, ასევე პირველი 48 საათის განმავლობაში ან ბრალის წაყენების შემდეგ და სასამართლოში გამოსვლისას;
- უნდა მომზადდეს გადაუდებელი იურიდიული დახმარების გეგმა (ადვოკატთა მორიგეობა 24/7 განმავლობაში), რომელიც შესაძლებლობას მისცემს ნებისმიერ დაკავებულს, მის ნათესავს, პოლიციას და სამართალდამცავებს დაკავების თანავე მიიღონ იურიდიული კონსულტაცია. მოხელეებმა უნდა დააფიქსირონ ადვოკატის მოთხოვნის და მოსვლის დრო, სასურველია ელექტრონულ ფორმატში.
- იურიდიული დახმარების შესახებ კანონში და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში უნდა შევიდეს ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფს დაკავებულს ადვოკატის (ან სულ მცირე სატელეფონო კონსულტაციას იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატთან) სწრაფი ხელმისაწვდომობით დაკავების პირველივე საათებში და ნებისმიერი ფორმის დაკითხვის დაწყებამდე.
- უნდა გაუმჯობესდეს იურიდიული დამხმარების ადვოკატთა ხარისხი და ძალისხმევა ადეკვატური ადამიანური და მატერიალური რესურსების გამოყოფით, რათა შესაძლებელი გახდეს ბრალდებულის იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფა დაკავების პირველივე საათებში და ნებისმიერი დაკითხვის დაწყებამდე.

ინფორმაციის მიღების უფლების შესახებ საქართველოში

- პოლიციის თანამშრომელმა დაუყოვნებლივ უნდა გადაიყვანოს დაკავებული დაკავების იზოლატორში და განუმარტოს უფლებები დაკითხვის ან საგამოძიებო მოქმედებების დაწყებამდე.

დაკითვის წესისა და დუბილის უფლების შესახებ

სამართალდამცავ უწყებებს:

- მოწმის დაკითხვისას, სამართალდამცავმა ნათლად უნდა განუმარტოს მოწმეს, რომ უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის ან ოჯახის წევრის წინააღმდეგ. სამართალდამცავმა არ უნდა დამალოს ეს ფაქტი და მხოლოდ მოწმის გამოძიებასთან თანამშრომლობის ვალდებულებაზე არ უნდა გაამახვილოს ყურადღება.

პოლიციის მიერ დაკავების ვადები¹²⁹

საათები	საქართველო	საათები
	დაკავება - პირი რაც შეიძლება მალე უნდა იქნას გადაყვანილი პოლიციის დაწესებულებაში	
00:00	ბრალის წაყენებაზე პატიმრობის ნებართვა პოლიციამ უნდა გასცეს გამოძიების საჭიროების საფუძველზე.	48:00
48:00 საათამდე	პატიმრობის დასრულება – მაქსიმალური პერიოდი, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია პირის დაკავება პოლიციის მიერ ბრალის წაყენების გარეშე	
72:00	პატიმრობის მაქსიმალური ვადა, თუკი მაგისტრატი მოსამართლე არ გასცემს შემდგომი პატიმრობის ნებართვას.	

129. წარმოდგენილი ვადები გვიჩვენებს სისხლის სამართლის პროცესის ეტაპებს. პოლიციის მიერ პირის დაპატიმრების სხვადასხვა ეტაპისა და პატიმრობის პერიოდში ეჭვმიტანილთა უფლებების შესახებ სხვადასხვა იურისდიქციის მიხედვით დეტალური ინფორმაცია იხილეთ მე-3 თავში.

დასკვნები და რეკომენდაციები დასკვნები

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს პოლიციის მიერ დაკავებული ან დაპატიმრებული ექვმიტანილი პირების უფლებათა პრაქტიკულ განხორციელებაზე დაკვირვებას და მის შეფასებას. პრაქტიკაში რეალურად მიმდინარე მოვლენების შესახებ ემპირიული მონაცემების შეგროვების უნიკალური მექანიზმების მეშვეობით, კვლევამ უნდა შეისწავლოს პოლიციისა და ადვოკატების ყოველდღიურ რუტინაში არსებული შეზღუდვები. ასევე ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ორგანიზაციულ, კულტურულ ან პროფესიულ უფლებათა განხორციელებაზე. ჩვენ 29 დღის მანძილზე დაახლოებით 200 საათის განმავლობაში ვაწარმოეთ პირდაპირი დაკვირვება პოლიციის განყოფილებაში. ასევე, შევისწავლეთ დაკავების ოქმები და გამოვკითხეთ პოლიციის თანამშრომლები და ადვოკატები. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი დაკვირვება პოლიციის ერთი განყოფილებით შემოიფარგლებოდა, ჩვენ განვსაზღვრეთ მოლდოვაში ექვმიტანილის უფლებებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სამართლებრივი და პრაქტიკული საკითხები. ამ კონტექსტში მოლდოვის სამართლებრივი ჩარჩო შეიცავს დასაბუთებულ დეტალურ დებულებებს სისხლის სამართლის დანაშაულის და კანონდარღვევის შემთხვევებში დაკავების წარმოების მოთხოვნების, პირობების და სამართლებრივი საფუძვლების შესახებ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სათანადოდ განმარტავს ექვმიტანილის უფლებებს წინასწარი პატიმრობის ეტაპზე და არეგულირებს საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენელთა უფლებამოსილებებს. მეტიც, 2012 წელს სისხლის სამართალწარმოებაში განისაზღვრა ექვმიტანილის დამატებითი უფლებები, როგორცაა: დამოუკიდებელი სამედიცინო დახმარების მიღების უფლება, კრიმინალური საგამოძიებო სამსახურების წარმომადგენლების ვალდებულება, აცნობონ ექვმიტანილს დუმილის უფლების გამოყენების შემთხვევაში უარყოფითი შედეგების არ არსებობის და სხვა პირთა ცრუ დადანაშაულების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. ამ თვალსაზრისით, ეროვნული კანონი ექვმიტანილის უფლებების შესახებ შესაბამისობაშია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნებთან და შეიცავს ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ ძირითად ელემენტებს.

ფორმა, რომლითაც სამართლებრივი დებულებები პრაქტიკაში ხორციელდება, რიგ ასპექტებში ვერ უზრუნველყოფს საპროცესო

უფლებების სამართლიან და ადეკვატურ დაცვას. პრინციპში სამართლებრივი დებულებები შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, თუმცა საჭიროა დაზუსტდეს პოლიციის ოფიცრების როლი და ძირითადი უფლება-მოვალეობები დაკავებისას და ზოგადად ეჭვმიტანილთან ურთიერთობისას. კვლევის თანახმად, პოლიციის ოფიცრებმა ხშირად არ იციან, როგორ იმოქმედონ კონკრეტულ სიტუაციებში, რადგან არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია ან არჩევნად გამოიყენონ არაოფიციალურად დამკვიდრებული, არაადეკვატური პროცედურები. ამასთან, დავინახეთ რომ პოლიციის ოფიცრები გარკვეულ სირთულეებს აწყდებიან აგრესიულ ეჭვმიტანილებთან ურთიერთობისას და არ იციან, როგორ იმოქმედონ სტრესულ სიტუაციაში. მეტიც, დაკავების ვადის დარღვევა ჩვეულებრივი მოვლენაა პოლიციის საქმიანობაში.

რაც შეეხება საგამოძიებო მოსამართლის მიერ დაკავების კანონიერების დადასტურების საკითხს, არასტაბილური და არათანმიმდევრული იურიდიული პრაქტიკა კონტროლის ამ მეთოდს არაეფექტურს ხდის.

ქვემოთ მოცემულია ჩვენი ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები.

საგამოძიებო ოფიცრის როლი

საგამოძიებო ოფიცრის სტატუსი და მისი სამართლებრივი უფლებამოსილება დაკავების და პირველი დაკითხვის პროცესში ამ კვლევის ფარგლებში შესწავლილი ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ჯერ კიდევ გაურკვეველია, როგორ ურთიერთობენ ისინი ეჭვმიტანილთან და, რეალურად, რამდენად საჭიროა მათი მონაწილეობა, რადგან არსებობს აზრი, რომ ხშირად ზოგი გამომძიებლის მხრიდან ადგილი აქვს უკანონო ქმედებას (როგორიცაა ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობა).

როგორც აღმოჩნდა, ხშირად ეჭვმიტანილებს მათ უფლებებს აცნობენ გამომძიებელთან პირველი ეგრეთ წოდებული „გასაუბრების“ შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ კანონი მოითხოვს დაუყოვნებლივ ინფორმირებას დუმილის უფლების შესახებ. ეს „გასაუბრებები“ არ კვალიფიცირდება, როგორც პირველადი დაკითხვა. შესაბამისად, მათზე არ ფორმდება ოფიციალური დოკუმენტები. უნდა აღინიშნოს, რომ გამომძიებლების (გამომძიების ოფიცრის) მონაწილეობა ამ უწყებით არ შემოიფარგლება. ჩვენი დაკვირვებით, ისინი ესწრებიან პროკურატურის გამომძიებლების (სისხლის სამართლის გამომძიებლების) მიერ წარმოებულ დაკითხვებს, აკეთებენ შეუსაბამო კომენტარებს და კითხვებს უსვამენ ეჭვმიტანილებს, როდესაც იქ ყოფნის არავითარი უფლება არ აქვთ.

უფასო იურიდიული დახმარება და ადვოკატის როლი

მოლდოვის უფასო იურიდიული დახმარების სისტემა ბოლო წლებში დაიხვეწა და მოიცავს უმნიშვნელოვანეს საკითხებს წინასწარი დაკავების ეტაპზე. კვლევის ფარგლებში შესაძლებლობა გვქონდა შეგვედარებინა უფასო იურიდიული დახმარების და კერძო ადვოკატების საქმიანობა. ზოგიერთი ადვოკატის დამოკიდებულება დაკავების დროს ეწინააღმდეგებოდა მისი კლიენტის ინტერესებს და არღვევდა პროფესიონალური რჩევის მიღების უფლებას. ჩვენ დავადგინეთ, რომ ზოგიერთი ადვოკატი პასიურია კლიენტის დაცვისას და ხანდახან ამოკლებს კლიენტის და ადვოკატის შეხვედრის დროს მაშინაც კი, როდესაც პოლიციის მხრიდან ამის მიზეზი არ არსებობს. უმეტეს შემთხვევაში, ადვოკატის რჩევა სტანდარტულია და მოკლებულია საქმის მიმართ ინდივიდუალურ მიდგომას. ამას, შესაძლოა, სხვადასხვა მიზეზი ჰქონდეს, როგორცაა ხელმისაწვდომობის არ ქონა საქმის მასალებზე და კონსულტაციებისათვის საჭირო სივრცის ან ოთახის არარსებობა. ხშირად ადვოკატებს კლიენტთან საუბარი პოლიციის განყოფილების კორიდორში უწევთ, სადაც პოლიციას ჩარევა და მოსმენა შეუძლია.

ჩვენს მიერ შესწავლილი შემთხვევების უმრავლესობაში, ადვოკატები ესწრებიან დაკითხვას, მაგრამ ძალიან პასიურნი არიან თუნდაც აშკარა იყოს მათი ჩარევის აუცილებლობა კლიენტის ინტერესების დაცვისთვის. ადვოკატები მაშინაც კი არ ერევიან, როდესაც ეჭვმიტანილს შეუსაბამო კითხვებს უსვამენ ან როდესაც დაკითხვის ოქმში კანონის დარღვევის, პროტესტის ან სხვა მნიშვნელოვანი ასპექტის შესახებ ინფორმაციის შეტანა უნდა მოითხოვონ. ზოგიერთ ადვოკატს არ აქვს დაკითხვაზე მოქცევისათვის საჭირო საკმარისი ცოდნა და უნარები ან რაიმე ინსტრუქცია, რომლითაც შეუძლია იხელმძღვანელოს.

დუმილის უფლება

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მსვლელობისას არ გვისაუბრია ეჭვმიტანილებთან, რომ განგვესაზღვრა, რამდენად აქვთ გაცნობიერებული დუმილის უფლება, დაკვირვების შედეგად გამოვავლინეთ, რომ გამომძიებლები და ადვოკატებიც კი იშვიათად განუმარტავდნენ მათ დუმილის უფლების მნიშვნელობას და მისი გამოყენების შედეგებს. ჩვენ არ გვინახავს ეჭვმიტანილი, რომელიც იყენებდა დუმილის უფლებას ან თუნდაც ადვოკატი, რომელიც კლიენტს ამის გაკეთებას ურჩევდა კონკრეტულ ვითარებაში.

სამედიცინო დახმარების მიღების უფლება

შევნიშნეთ, რომ ადვოკატები უფრო მეტად ერთვებიან, როდესაც კლიენტს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ესაჭიროება. ჩვეულებრივ, როდესაც ექვმიტანილი ან მისი ადვოკატი ითხოვენ, მათ პოლიციის განყოფილებაში უზრუნველყოფენ გადაუდებელი სამედიცინო დახმარებით. დავადგინეთ, რომ დაკავების ოქმში არის ცალკე ნაწილი ექვმიტანილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რომელიც უნდა შეავსოს სისხლის სამართლის საქმეთა გამომძიებელმა და მას ხელი უნდა მოაწეროს ექვმიტანილმა. თუმცა, ასეთ ვითარებაშიც კი პოლიციის ოფიცრების ქმედება უფრო რეაქტიულია, ვიდრე პროაქტიული და ერთადერთი ჩართულობის გამოხატულება, რომელიც ჩვენ მიერ იქნა იდენტიფიცირებული, იყო სასწრაფო დახმარების გამოძახება გადაუდებელ შემთხვევებში.

შეტყობინება უფლებების შესახებ

მოლდოვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ავალდებულებს პოლიციას, მიაწოდოს ექვმიტანილს ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ, თუმცა, ამ ინფორმაციის მიწოდების ფორმა გაუმჭობესებას საჭიროებს. ჩვეულებრივ, ეს ინფორმაცია წარმოადგენს ამონარიდს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან, რომელიც განსაზღვრავს ექვმიტანილის/ბრალდებულის უფლებებს და თან ერთვის დაკავების ოქმს. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული ამონარიდი სრულად წარმოადგენს საჭირო ინფორმაციას, მეტისმეტად ტექნიკური ენის გამო შეტყობინებას მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს. ჩვენ გამოვავლინეთ რომ პოლიციის ოფიცრები ან თუნდაც ადვოკატები რუტინულად არ განმარტავენ ან აზუსტებენ უფლებათა ჩამონათვალს და არ ამოწმებენ, რამდენად ესმის ექვმიტანილს უფლება, რომლის შესახებაც ატყობინებენ. ამ თვალსაზრისით, მოლდოვის კანონმდებლობა არ შეიცავს ცნებას - „უფლებათა წერილი“ - რომელიც მარტივ და გასაგებ ენაზე მზადდება ევროკავშირის სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს ინფორმაციის მიღების უფლების შესახებ დირექტივის 2012/13/EU შესაბამისად. ინფორმაციის მიწოდების დროც მნიშვნელოვანი საკითხია. კანონის თანახმად, პირს ინფორმაცია დაკავებისთანავე უნდა მიაწოდონ, თუმცა პოლიციის ოფიცრები, ჩვეულებრივ, ცდილობენ ეს რაც შეიძლება გვიან, ხანდახან პირველი დაკითხვის შემდეგაც კი გააკეთონ.

ლოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა

საქმის მასალების მოთხოვნისას, ადვოკატებს ჩვეულებრივ უარს ეუბნებიან გამოძიების კონფედენციალურობის მიზეზით. თუმცა,

კანონში ბოლოდროინდელი ცვლილებების თანახმად, დაცვის ადვოკატებს ხელი მიუწვდებათ პატიმრობის შეფარდების დამსახურებულ დოკუმენტაციაზე.

თარჯიმნის მომსახურების და დოკუმენტაციის თარგმნის უფლება

არარსებობს რაიმე მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს თარჯიმნის მომსახურების მიღების უფლების განხორციელებას. მოლდოვის კანონმდებლობა არეგულირებს თარჯიმნების ავტორიზაციის პროცესს სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობისთვის, თუმცა ჩვენ დავინახეთ, რომ ეს პირები საჯიროების შემთხვევაში, არ არიან ჩართულნი დაკავების პროცესში. ხელისუფლების წარმომადგენლებს არ აქვთ ამ პროცესის მართვის ცალსახა პროცედურა და ვერ ახერხებენ უფლებამოსილი თარჯიმნების მონაწილეობის ხარჯის ანაზღაურებას. შედეგად, ურჩევნიათ დახმარებისათვის მეგობრებს ან ნაცნობებს მიმართონ ან თავად თარგმნონ, თუმცა კანონი ამას კრძალავს. ამას გარდა, არ არსებობს რაიმე კრიტერიუმი ან პროცედურა რომელიც განსაზღვრავს თარგმანის საჭიროებას, შესაბამის ენას ან თარგმნის ხარისხს. ჩვენ ვერ მოვახერხეთ თარგმანის ხარისხთან დაკავშირებით მონაცემების მოძიება, თუმცა ადვოკატებმა აღნიშნეს, რომ წინასწარი დაკავების ეტაპზე თარგმანი ცუდი და არაეფექტურია. ჩვენ, ასევე, შევნიშნეთ, რომ გამოძიებლები ჩვეულებივ გადადიან რუსულზე თუ ეჭვმიტანილმა იცის/ესმის რუსული და არ ითხოვენ უფლებამოსილი თარჯიმნის დახმარებას. ამასთან, დავინახეთ, რომ საქმის მასალების თარგმნაზე პასუხისმგებლობა ეჭვმიტანილს ეკისრება და ამ მხრივ პოლიცია არ უწევს რაიმე დახმარებას.

რეკომენდაციები

ეჭვმიტანილის უფლებების სწორ აღსრულებაზე უარყოფით გავლენას ახდენს პოლიციის ოფიცრებისათვის დეტალური ინსტრუქციების არ არსებობა, მათი ხარვეზიანი პრაქტიკა დაკავებისას და დაცვის ადვოკატების პასიური როლი შესაბამისი უნარების სიმცირესთან ერთად. ჩვენი კვლევის შედეგების საფუძველზე მოვამზადეთ შემდეგი რეკომენდაციები:

1. მთავრობა და პარლამენტი

- განხორციელდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილება დაკავების ვადის გაზრდის მიზნით, რათა შესაძლებელი იქნას საპროცესო ზომების გატარება, რომლებიც წინ უნდა უსწრებდეს დაკავების ოქმის შედგენას, რადგან პირის გადაადგილების თავისუფლება იზღუდება ამგვარი ზომების გატარებისას. დაკავების კანონიერების განმსაზღვრელი საპროცესო ნორმები ასევე უნდა დაზუსტდეს.

- განხორციელდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილება დაკავებისას გამომძიებლის როლის და უფლებამოსილების დაზუსტების მიზნით.

2. შინაგან საქმეთა სამინისტრო

- ინსტრუქციების მომზადება და დამტკიცება პოლიციელთა ყოველდღიური საქმიანობის ხელშეწყობისა და დაკავების წარმოებისას მათი როლის დეტალური განმარტების მიზნით. ამასთან, ინსტრუქციები ცალსახად უნდა განსაზღვრავდნენ დაკავებისას ეჭვმიტანილის უფლებების დაცვის უზრუნველყოფისა და რთულ ვითარებაში მოქმედების წესებს.
- უფლებათა არსებული სიის გადახედვა და მისი მარტივი და გასაგები ენით ჩამოყალიბება ევროკავშირის სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს ინფორმაციის მიღების უფლების შესახებ (უფლებათა წერილი) დირექტივის შესაბამისად. შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს ინსტრუქციები, თუ როდის და სად უნდა იქნეს მიწოდებული ინფორმაცია.
- პოლიციის განყოფილებებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკონსულტაციო ოთახი დაკავებისას ეჭვმიტანილისა და ადვოკატის კონფედენციალური შეხვედრებისათვის შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით.
- ეფექტური მექანიზმის შექმნა თარგმანის კრიტერიუმების უზრუნველყოფის მიზნით, რათა განისაზღვროს თარგმანის საჭიროება, შესაბამისი ენა და ხარისხი.
- დეტალური ინსტრუქციების მომზადება დაკავების დროს სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად.
- გამომძიებლებისათვის ეჭვმიტანილის უფლებების შესახებ სასწავლო კურსების მომზადება.

3. იურისტთა კავშირი და ეროვნული იურიდიული დახმარების საბჭო

- ინსტრუქციების მომზადება პოლიციაში დაკითხვის დროს ადვოკატების მიერ გამოყენებული ტაქტიკისა და ტექნიკის შესახებ.
- წინასწარი დაკავების ეტაპზე, იურიდიული დახმარების მარეგულირებელი ხარისხის სტანდარტების შემუშავება და ამოქმედება. მონიტორინგის მექანიზმები უნდა შეიქმნას ხარისხის სტანდარტების მოქმედების უზრუნველყოფის მიზნით.
- დაცვის მხარის ადვოკატებისთვის ეჭვმიტანილის უფლებების შესახებ სასწავლო კურსების შემუშავება და დანერგვა.

რეკომენდაციები

სამართალდამცავი ორგანოების მიმართ პირთა დაკავების შესახებ

- სასამართლო ზედამხედველობის გაძლიერება დაკავებული პირების საპროცესო გარანტიების განხორციელებაზე (მათ შორის, პრევენციული სამართლის განზოგადება და მოსამართლეთა სპეციალური ტრენინგი);
- დაკავებული პირების მიმართ ერთიანი პროცედურის შემუშავება და მიღება ყველა წინასწარი გამოძიების ორგანოსათვის. დადგენილ იქნას ერთი კომპეტენტური თანამშრომელის ვალდებულება, განახორციელოს დაკავებული პირის შესახებ ჩაწერის წარმოების უზრუნველყოფა;
- პირის ფაქტობრივი დაკავების შესახებ ინფორმირების პრაქტიკის ჩამოყალიბება (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლი);
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208§5 მუხლთან მკაცრი შესაბამისობის უზრუნველყოფა ოქმში იმ ადგილის მითითებასთან დაკავშირებით, სადაც დაკავებული პირის მოთავსება ხდება იძულებით ან ბრძანებით კომპეტენტურ ოფიციალურ პირთან ერთად ან კომპეტენტური პირის მიერ განსაზღვრულ დაწესებულებაში; ასევე, უნდა აღინიშნოს დაკავების ზუსტი დრო (საათი და წუთი) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209 მუხლის შესაბამისად;
- აქტიური საინფორმაციო კამპანიის ჩატარება დაკავების დროს არსებული უფლებების და გარანტიების შესახებ;
- ერთიანი ელექტრონული რეგისტრაციის სისტემის შექმნა, დაკავებული პირის მიმართ განხორციელებული ყველა მოქმედების აღრიცხვის მიზნით და ერთობლივი მიდგომის შემუშავება დაკავებული პირის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს და უფასო იურიდიული დახმარების (სამართლებრივი დახმარების უზრუნველყოფის კოორდინაციის ცენტრი) მიერ მონაცემთა შეგროვებისთვის; სისტემატური და რეგულარული შემოწმებების უზრუნველყოფა ამ მიდგომის შესაბამისად;
- პატიმრობაში მყოფ პირებზე პასუხისმგებელი ოფიციალური პირების ყველა ქმედების სავალდებულო ჩაწერის ერთიანი პროცედურის უზრუნველყოფა ყველა წინასწარი გამოძიების ორგანოსათვის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის შესაბამისად;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა მიერ წამებისა და არასათანადო მოპყრობის ყველა შემთხვევის გამოძიებისა და დასჯის ეფექტური მექანიზმის შექმნა.

ინფორმაციის მიღების უფლება

- დაკავებულ პირთა უფლებების შესახებ ინფორმირების სავალდებულო წერილობითი ფორმის შემუშავება და მიღება, მათ შორის სპეციალიზებული ფორმის მოწყვლადი კატეგორიებისთვის მათი კონკრეტული საჭიროებების გათვალისწინებით (მაგალითად, ბავშვები);
- დაკავებული პირის მიმართ ნებისმიერი ქმედების ვიდეო ჩაწერის პრაქტიკის შემოღება. მათ შორის, დაკავებულისთვის უფლებების განმარტების პროცესის;
- უკრაინის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 87§2 მუხლის ცვლილება, დაკავებული პირისათვის დაკავების მომენტში სათანადო ინფორმაციის არ მიწოდების მოხსენიება ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების მნიშვნელოვანი დარღვევების ჩამონათვალში;
- საგამოძიებო პრივილეგიად კლასიფიცირებული ინფორმაციის ამომწურავი სიის მომზადება, რაც საფუძვლად დაედება გამომძიებლის ან პროკურორის მიერ გარკვეულ მასალებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვას.

ხელმისაწვდომობა ადვოკატსა და იურიდიულ მომსახურებაზე

- იურიდიული დახმარების და სისხლის სამართალწარმოების სტანდარტების ამაღლება მეორადი დახმარების უზრუნველყოფიადვოკატების რეესტრში დარეგისტრირებული ყველა ადვოკატისთვის. აგრეთვე, ეფექტური მონიტორინგის მექანიზმის შემოღება;
- დაკავების პროცესში იურიდიული დახმარების განხორციელების შესახებ ტრენინგის უზრუნველყოფა სისხლის სამართლის დაცვის განმახორციელებელი ადვოკატებისათვის;
- ადვოკატის დაკავებულ პირთან კონფიდენციალური შეხვედრისათვის პირობების უზრუნველყოფა;
- FSLA ცენტრის მიერ პირის დაკავების შესახებ შეტყობინების შემდეგ, ადვოკატის დროული გამოცხადებისა და პირველად დაკითხვამდე კონფიდენციალური კომუნიკაციის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი;
- ადვოკატის დახმარებაზე უარის თქმის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, უარის მიზეზებისა და ეტაპების მითითებით.

დაკითხვა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა მიერ და დუმის უფლება

- გამომძიებლის, პროკურორისა და სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომლებისათვის ვალდებულების დადგენა, რათა მათ მოამზადონ ანგარიში იმ პროცესის შესახებ, რომლითაც დაკავებულ პირს ატყობინებენ, რომ მას აქვს უფლება, არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის, ოჯახის წევრების და უახლოესი ნათესავების წინააღმდეგ (დუმის უფლება) დაკავების ოქმის მომზადებასა და პირის პირველ დაკითხვამდე;
- სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება დუმის უფლებისა და მისი უზრუნველყოფის შესახებ;
- პრაქტიკის შექმნა, რითაც დაკითხვის ოქმში ყველა იმ პირის შესახებ გაკეთდება აღნიშვნა, რომელიც ესწრებოდა დაკითხვის პროცესს;
- დაკავებული პირის დაკითხვისთვის განსაზღვრული სივრცის აღჭურვა და დაკითხვის მხოლოდ ამ ადგილებში ჩატარება.

სამედიცინო დახმარების მიღების უფლება

- დაკავებული პირის სამედიცინო დახმარების მიღების უფლების უზრუნველყოფის მექანიზმის შექმნა და მისი რეგულირება ერთიანი დოკუმენტით, სადაც განსაზღვრული იქნება კონკრეტული ნორმები ყველა დაკავებული პირისთვის სასწრაფო დახმარების გამოძახების, გადაუდებელი დახმარების გაწევის და წამლების მიცემის შესახებ. მათ შორის, მათთვის, ვინც იღებენ წამალს დაკავების მომენტისთვის (კერძოდ ART, ოპიოიდური ჩანაცვლებითი თერაპია, ინსულინი, ჰიპოტონიური მკურნალობა ან გულის შეტევის წამლები), ასევე მოცემული იქნება ჩანაწერები სამედიცინო დახმარების შესახებ და სხვა;
- დაკავებული პირის პერიოდული სამედიცინო შემოწმების შედეგების ცალკე დოკუმენტში ჩაწერის პროცედურის შემოღება;
- დაკავებულთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, აგრეთვე, დროული და ეფექტური სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი კონკრეტული ოფიციალური პირის განსაზღვრა.

კონკრეტული საპროცესო გარანტიები მოწყვლადი ჯგუფებისთვის

- პირდაპირი სამართლებრივი აკრძალვის შემოღება ნარკოტიკული ან ალკოჰოლური ინტოქსიკაციის ქვეშ მყოფი პირების დაკითხვასთან დაკავშირებით, ჯანმრთელობის განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად;
- ნარკოდამოკიდებული პირის მიმართ სისხლის სამართალ-წარმოების პროცესში ფსიქოლოგის და ნარკოლოგის მონაწილეობის სავალდებულო წესის შემოღება;
- ნარკოდამოკიდებული პირების დაკითხვის პროცესში ფსიქოლოგის და ნარკოლოგის მონაწილეობის უზრუნველყოფა; ნარკოდამოკიდებულ პირთან საგამომძიებო მოქმედებების ჩატარების შესაძლებლობის სავალდებულო სამედიცინო შეფასება;
- დაკავებულ პირთათვის მათი უფლებების შესახებ შეტყობინების წერილობითი და ზეპირი ფორმების შემუშავება. მათ შორის, მოწყვლადი კატეგორიებისთვის სპეციალიზებული ფორმების, მათი სპეციფიური საჭიროებების გათვალისწინებით (მაგალითად, ბავშვები);
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 67§1 მუხლის ცვლილება, სადაც ნარკოდამოკიდებული პირის ფსიქოლოგიური მდგომარეობა არ უნდა გახდეს დამამძიმებელი გარემოება სასჯელის განსაზღვრისას;
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213§2 მუხლის იმპლემენტაცია, რაც გულისხმობს არასრულწლოვანი პირის დაკავების შესახებ მშობლების ან მეურვეების, მზრუნველების, სამეურვეო ან სამზრუნველო დაწესებულების დაუყოვნებელ და უპირობო ინფორმირებას.

თარჯიმნის მომსახურებისა და დოკუმენტების თარგმნის უფლება

- თარჯიმნების ჩართვისა და მათი მომსახურების ანაზღაურების მექანიზმის შექმნა;
- სერთიფიცირებული თარჯიმნების ინტეგრირებული რეგიონული რეესტრის შექმნა მოსამართლეთა, პროკურორების, სამართალდამცავების ადვოკატებისა და მოქალაქეების მარტივი წვდომის უზრუნველყოფით;
- კლიენტსა და ადვოკატს შორის თარჯიმნის დახმარებით განხორციელებული კონფიდენციალური კომუნიკაციის შინაარსის გამჟღავნების შემთხვევაში, თარჯიმნის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების წესის შემოღება;
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებების ჰარმონიზაცია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილი თარგმანის უფლების განსაზღვრებებთან.

1. შესავალი

დამოკიდებულება დანაშაულში ეჭვმიტანილი პირების მიმართ სისხლის სამართლის სამართალწარმოების საწყის ეტაპებზე - მათი დაკავების ან დაპატიმრების დროს ან შემდგომ - სამართლიანი სასამართლოს უფლებისა და კანონის უზენაესობის გარანტირების საფუძველს წარმოადგენს. აღნიშნული აღიარებულია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს (ECtHR) არა ერთ გადაწყვეტილებაში და ევროკავშირის საპროცესო უფლებების შესახებ კანონმდებლობის პროგრამაში (ცნობილია, როგორც „საპროცესო უფლებების საგზაო რუკა¹³⁰“). ამასთან, იგი აღიარებულია მრავალი ქვეყნის კონსტიტუციით, კანონითა თუ კოდექსით, სადაც განსაზღვრულია ეჭვმიტანილთა და ბრალდებულთა საპროცესო უფლებები, განსაკუთრებით სისხლის სამართლის სამართალწარმოების საწყის ეტაპზე. მიუხედავად ამისა, ბევრ ქვეყანაში ძალზედ მცირეა სანდო ინფორმაცია პოლიციისა და სხვა სამართალდამცავების ეჭვმიტანილებსა და ბრალდებულებთან ურთიერთობის ან პრაქტიკაში ამ პირების საპროცესო უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ. ეს მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან საპროცესო უფლებების პრაქტიკაში განხორციელების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე დგინდება მათი შიდა და რეგიონალურ სტანდარტებთან შესაბამისობა და განისაზღვრება პრაქტიკაში მოქმედების გარანტირებისათვის საჭირო ნაბიჯები.

ცოდნაში არსებული ამ ხარვეზის აღმოფხვრას ხელი შეუწყო 2013 – 2015 წლებში საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში ჩატარებულმა კვლევამ. ეს ქვეყნები იმ ნიშნით შეირჩა, რადგან ყოველი მათგანი ანხორციელებდა სისხლის სამართლის სისტემის ძირეულ რეფორმას. კვლევა დააფინანსა ღია საზოგადოების სამართლის ინიციატივამ, ხოლო მისი მართვა იტვირთა იურიდიული დახმარების რეფორმატორთა ქსელმა (LARN)¹³¹. კვლევა ჩაატარეს ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს, მოლდოვის სოროსის ფონდისა და უკრაინის საერთაშორისო რენესანსის ფონდის მიერ დაქირავებულმა ექსპერტებმა. მკვლევარებმა სხვადასხვა მეთოდი გამოიყენეს ეჭვმიტანილებისა და ბრალდებულების მიერ საპროცესო უფლებების განხორციელების შესახებ ობიექტური ინფორმაციის

130. საგზაო რუკა - ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის დაცვის მხარდაჭერა სისხლის სამართლის სამართალწარმოებისას, 1 July 2009, 11457/09 DROIEN 53 COPEN 120.

131. იხილეთ <http://www.legalaidreform.org/>.

შესაგროვებლად. აღნიშნული ითვალისწინებდა არსებული მონაცემების შეგროვებას სისხლის სამართლის პროცესის ნაწილების შესახებ, დაკვირვებას პოლიციის განყოფილებებში და იმ ადვოკატებზე, რომლებიც პოლიციის მიერ დაკავებული ან დაპატიმრებული პირების სამართლებრივ მხარდაჭერას უზრუნველყოფენ, პოლიციის ჩანაწერების ინსპექტირებას; აგრეთვე, ინტერვიუებს პოლიციის ოფიცრებთან, ადვოკატებსა და ექვმიტანილებთან.

კვლევა ორიენტირებულია საპროცესო უფლებებზე, რომელთა განხორციელება უნდა მოხდეს სისხლის სამართლის სამართალწარმოების ადრეულ ეტაპებზე: ინფორმაციის მიღების უფლება; ადვოკატის მომსახურებისა და უფასო იურიდიული დახმარების მიღების უფლება; თარჯიმნის უფასო მომსახურებისა და დოკუმენტების თარგმნის უფლება; სამედიცინო დახმარებისა და მოწყვლადი ჯგუფების სპეციალური დაცვის უზრუნველყოფის უფლება; დუმის უფლება. აღნიშნული უფლებების საფუძველს უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (ECHR), მათ აღიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და საპროცესო უფლებების რუკის ფარგლებში მიღებული ევროკავშირის კანონმდებლობა.

კვლევის პროექტში მიიღეს და განავითარეს ევროკომისიის¹³² დაფინანსებით ადრე ჩატარებულ კვლევაში აპრობირებული მეთოდები. აღნიშნული კვლევა ჩატარდა ინგლისში, უელსში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში და შოტლანდიაში და გამოქვეყნდა სათაურით: პირის დაკავება - ექვმიტანილის უფლებების მდგომარეობის კვლევა ოთხ იურისდიქციაში¹³³. ის ეფუძნება სხვადასხვა ევროპულ იურისდიქციაში მანამდე განხორციელებული კვლევითი პროექტების დასკვნებს¹³⁴. წინა კვლევების წინამძღვარი მსჯელობა, რომელიც ამ კვლევის მიზნებისთვისაა მიღებული, განსაზღვრავს, რომ საპროცესო უფლებების პრაქტიკაში განხორციელებისთვის უნდა შესრულდეს სამი პირობა:

- საკონსტიტუციო და საკანონმდებლო სტრუქტურა, რომელიც ადექვატურად უზრუნველყოფს სისხლის სამართლის დაცვით უფლებებს;
- ინსტიტუციონალური რეგულაციები, პროტოკოლები და პროცედურები, რომლებიც შესაძლებელს ხდიან ამ უფლებების „პრაქტიკულ და ეფექტურ“ განხორციელებას;
- პროფესიონალური კულტურა, განსაკუთრებით პოლიციის ოფიცრების, ადვოკატებისა და სისხლის სამართლის სფეროს სხვა მუშაკების, რომელთაც ექვმიტანილებისა და ბრალდებულების საპროცესო უფლებების დაცვა ევალებათ.

132. JUST/2010/PEN/AG/1578.

133. J.Blackstock, E. Cape, J. Hodgson, A. Ogorodova and T. Spronken (Intersentia, Antwerp 2014).

134. იხილეთ, E. Cape, Z. Namoradze, R. Smith and T. Spronken, Effective Criminal Defence in Europe (Intersentia, Antwerp 2010), and E. Cape and Z. Namoradze, Effective Criminal Defence in Eastern Europe (Soros Foundation – Moldova, 2012).

კვლევითი პროექტის მიგნებები, დასკვნები და რეკომენდაციები სრულად არის ასახული შესაბამის ქვეყნებში გამოქვეყნებულ ცალკეულ ანგარიშებში. ეს ანგარიშები უჩვენებს, რომ მნიშვნელოვანი გამოწვევების გათვალისწინებით, შესაბამისი ქვეყნების კონსტიტუციები, კანონმდებლობები და კოდექსები ადეკვატურად განსაზღვრავენ ეჭვმიტანილი ან ბრალდებული პირების საპროცესო უფლებებს, თუმცა არსებობს პრობლემების მთელი სპექტრი, რომელიც ხელს უშლის მათ პრაქტიკაში განხორციელებას. ამ დოკუმენტის მიზანია, სამი ქვეყნის ანგარიშებში მოცემული საერთო საკითხების შესწავლა და მათი სხვა ქვეყნების ანგარიშების დასკვნებთან დაკავშირება. შემდგომ ამ ცოდნის საფუძველზე მომზადდება მნიშვნელოვანი წინადადებები იურისდიქციების შეპირისპირებისათვის, პრაქტიკაში საპროცესო უფლებების უკეთ განხორციელების მიზნით.

2. ვის ეხება და როდის მოქმედებს საპროცესო უფლებები

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (6) (3) მუხლში განსაზღვრული სამართლიანი სასამართლოს უფლება ეხება სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ ნებისმიერ პირს. ეს წარმოშობს ორ კითხვას (1) რას ნიშნავს „სისხლის სამართლის“ და (2) რას ნიშნავს „ბრალდებული“? პირველთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კონვენცია არ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულის გამიჯვნას შიდა მიზნებისათვის, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ამგვარი განმარტება გადამწყვეტია კონვენციის მიზნებისთვის. კონვენცია არ ეწინააღმდეგება „დეკრიმინალიზაციას“, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს სახელმწიფოს მიერ საპროცესო უფლებების მინიჭებისათვის თავის არიდების მიზნით სისხლის სამართლის ნაცვლად „რეგულირებადი“ დანაშაულის კვალიფიკაციის მინიჭების გზით¹³⁵. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ ამართლებს სტრატეგიებს, რომელთა მიხედვით პირი, რომელიც, ფაქტიურად, ეჭვმიტანილია სისხლის სამართლის დანაშაულში, დააკავონ ადმინისტრაციულ დანაშაულთან დაკავშირებით ან დაიკითხოს, როგორც მოწმე¹³⁶. სისხლის სამართლის დანაშაული კვალიფიცირდება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: (ა) როგორ ხდება დანაშაულის კლასიფიცირება შიდა მიზნებისათვის; (ბ) დანაშაულის ხასიათი; და (გ) ნებისმიერი შესაძლო საჭარბო სანქციის ხასიათი და სიმკაცრის ხარისხი¹³⁷.

„ბრალდებასთან“ დაკავშირებით სასამართლო განსაზღვრავს:

„... ბრალდების უფლებამოსილების მქონე კომპეტენტური ორგანო ოფიციალურად აცნობებს პირს, რომ მან სისხლის

135. ECtHR 21 დეკემბერი 1984, Ozturk v Germany, No. 8544/79, para. 49.

136. იხილეთ მაგალითად, ECtHR 21 April 2011, Nechiporuk and Yonkalo v Ukraine, No. 42310/04; და ECtHR 14 ოქტომბერი 2010, Brusco v France, No. 1466/07.

137. Engels v Germany (1979-80) 1 EHRR 706.

სამართლის დანაშაული ჩაიდინა“, განსაზღვრება, ასევე, ითვალისწინებს, თუ რამდენად „მნიშვნელოვანი გავლენა აქვს აღნიშნულს (ექვმიტანილის) მდგომარეობაზე¹³⁸“.

ამდენად, 6-ე მუხლით განსაზღვრული სამართლიანი სასამართლოს უფლებები ამოქმედდება, როგორც კი ეს მომენტი დადგება განურჩევლად იმისა, თუ რომელი კონკრეტული იურისდიქციით არის ადამიანი „ბრალდებული“. ამდენად, სამართლიანი სასამართლოს უფლებები არ არის დამოკიდებული იმაზე, ზოგადად დაკავებულია თუ არა პირი; აქ უფრო მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად იზღუდება პირის თავისუფლება კონვენციის მიზნებისთვის. არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ როგორ კვალიფიცირდება თავისუფლების შეზღუდვა ქვეყნის შიდა კანონმდებლობით¹³⁹.

ევროკავშირმა თავი აარიდა ტერმინის - „ბრალდება“- როგორც საპროცესო უფლებების ამოქმედების მექანიზმის გამოყენებას. სანაცვლოდ, შესაბამისი ფორმულა უზრუნველყოფს ამ დრომდე მიღებული საპროცესო უფლებების შესახებ სამი დირექტივის ამოქმედებას,

„... იმ მომენტიდან, როდესაც პირს ეცნობება კომპეტენტური ორგანოს მიერ... (ოფიციალური შეტყობინებით ან სხვაგვარად), რომ ის არის ექვმიტანილი ან ბრალდებული სისხლის სამართლის დანაშაულში (მიუხედავად იმისა, აღკვეთილი აქვს თუ არა მას თავისუფლება¹⁴⁰)“.

სისხლის სამართლის დანაშაულში ექვმიტანილის მიმართ ადმინისტრაციული პროცედურის გამოყენება ან მასთან, როგორც მოწმესთან ურთიერთობა და ამ გზით საპროცესო უფლებებისათვის თავის არიდება; ანუ პირისათვის სისხლის სამართლის დანაშაულში ექვმიტანილად ცნობის შესახებ ინფორმაციის არ მიწოდება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, შესაბამისი დებულებების დარღვევად ითვლება.

ზოგადად, სამივე ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, ექვმიტანილისა და ბრალდებულის საპროცესო უფლებები წარმოიშობა პირის დაპატიმრების ან დაკავების შემთხვევაში. თუმცა, მკვლევარებმა გამოავლინეს, რომ პოლიციის მიერ დაპატიმრებულ ან დაკავებულ

138. ECtHR 15 ივლისი 1982, *Eckle v Germany*, No. 8130/78, para. 73.

139. ECtHR 6 ნოემბერი 1980, *Guzzardi v Italy*, No. 7367/76.

140. დირექტივა 2010/64/EU ევროპის პარლამენტი და საბჭო 20 ოქტომბერი 2010 სისხლის სამართალწარმოებისას დოკუმენტების თარგმანისა და თარგმნის მომსახურების მიღების შესახებ (EU Directive on the right to interpretation and translation), Art.1(2); დირექტივა 2012/13/EU ევროპის პარლამენტი და საბჭო 22 მაისი 2012 ინფორმაციის მიღების უფლება სისხლის სამართალწარმოებისას, მუხლი 2(1) (EU Directive on the right to information); და დირექტივა 2013/48/EU ევროპის პარლამენტი და საბჭო 22 ოქტომბერი 2013 ადვოკატის მომსახურების მიღების უფლება სისხლის სამართალწარმოებისას (EU Directive on the right of access to a lawyer), მუხლი .2(1).

პირებს ან მათ, რომელთა მამართაც სისხლის სამართლის გამოძიება წარმოებს დაკავების ან დაპატიმრების გარეშე, შეძლეს კანონით მინიჭებული უფლებების განხორციელება. დაურეგისტრირებელი ან არაფორმალური დაკავება ჩვეულებრივი მოვლენა აღმოჩნდა სამივე იურისდიქციაში. ეს ხშირად ასოცირებული იყო არაოფიციალურ დაკითხვებთან, ხანდახან ეჭვმიტანილის მიმართ ფსიქოლოგიური ზეწოლის, მუქარის ან ძალის გამოყენებით. ამასთან, დაკავების პროცედურას ისეთ შემთხვევებშიც მიმართავდნენ, როდესაც სასამართლოს თანხმობის გარეშე დაკავების მოთხოვნები არ იყო დაკმაყოფილებული. ეჭვმიტანილის მიმართ დამოკიდებულება, თითქოს მოწმე იყოს, საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკა აღმოჩნდა; ზოგ ქვეყანაში (მაგალითად, უკრაინასა და მოლდოვაში) კი სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილების მიმართ ადმინისტრაციული წარმოების პრაქტიკა ნარჩუნდება. ასეთ შემთხვევაში, ადამიანებს ისე ექცეოდნენ, თითქოს მათ არავითარი საპროცესო უფლება არ გააჩნდათ; ან, უკეთეს შემთხვევაში, ეს პირები სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილის საპროცესო უფლებების ნაწილის გამოყენებას თუ ახერხებდნენ.

უკრაინის ანგარიშის ავტორების თანახმად, დაკავების ეტაპზე სამართალდამცავები ხშირად „ეყრდნობიან წარსულის ტრადიციას“ მიუხედავად იმისა, რომ კანონი შეიცვალა. ასეთ პრაქტიკას სხვადასხვა ფაქტორი უწყობდა ხელს და ახალისებდა კიდევ. საქართველოში კანონი ნათლად არ განმარტავს დაკავების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა გადაიყვანონ თუ არა პირი პოლიციის განყოფილებაში ან საპატიმრო დაწესებულებაში და ვინ არის პასუხისმგებელი პირის დაპატიმრებაზე დაკავების შემდეგ. მოლდოვაში პოლიციის გამომძიებლის (საგამომძიებო ოფიცრის) სამართლებრივი სტატუსი ნათლად არ არის განსაზღვრული. ასევე, შემაშფოთებელია დაკითხვის უკანონო მეთოდების გამოყენება. უკრაინაში არსებობს დაუსჯელობის კულტურა. კერძოდ, იმ სამართალდამცავების, რომლებიც დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირებთან ურთიერთობენ. ამ თვალსაზრისით, საერთო ფაქტორი არის დაკავების ან დაპატიმრების ადეკვატურად, გამჭვირვალედ და სანდოდ გაფორმების მოთხოვნის არარსებობა. შესაბამისად, არ არსებობს რაიმე „ერთიანი“ დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ეჭვმიტანილის დაკავების და დაპატიმრების ყველა ეტაპს.

საპროცესო უფლებების მქონე პირთა და იმ ვითარების ზუსტი განსაზღვრა, როდესაც ეს უფლებები უნდა ამოქმედდეს, ასევე მათი პრაქტიკაში განხორციელების უზრუნველყოფა არ არის მხოლოდ კვლევაში განხილული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი პრობლემა. წინა კვლევებმა მსგავსი გამოწვევები სხვა იურისდიქციებშიც გამოავლინა, თუმცა რიგმა ქვეყნებმა მიიღეს ამ პრობლემების

აღმოფხვრისათვის საჭირო კანონები, პროცესები და პროცედურები¹⁴¹. კვლევის ფარგლებში მომზადებულ სამივე ქვეყნის ანგარიშში მოცემულია დეტალური რეკომენდაციები, მაგრამ ყველა იურისდიქციამ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

1. კანონმა უნდა უზრუნველყოს მუსტი განსაზღვრება, რომელიც ასახავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამის პრეცედენტულ სამართალს, ვის და რა ვითარებაში აქვს საპროცესო უფლებები. კერძოდ, უნდა დადგინდეს, რომ აღნიშნული ეხება პირებს, რომლებიც დე ფაქტო ეჭვმიტანილები არიან სისხლის სამართლის დანაშაულში მიუხედავად მათი მუსტი სამართლებრივი სტატუსისა.
2. კანონმა ან რეგულაციამ მუსტად უნდა განსაზღვროს პოლიციის და სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილის დაკავების ან დაპატიმრების უფლების მქონე სხვა სამართალდამცავი სტრუქტურების ვალდებულებები; რაც ითვალისწინებს დაკავების/დაპატიმრების შესახებ დოკუმენტის სასწრაფოდ შედგენას, მიზეზის სანდო და გადამოწმებადი ფორმით განმარტებით და მის დაუყოვნებლივ წარდგენას შესაბამისი ზემდგომი ორგანოსათვის.
3. კანონი და/ან რეგულაცია მუსტად უნდა განსაზღვრავდეს პოლიციელის ან სხვა სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენლის ვალდებულებას პირის დაკავების ან დაპატიმრების პროცესში, რაც გულისხმობს დაკავებული ან დაპატიმრებული პირის სასწრაფოდ გადაყვანას პოლიციის შესაბამის განყოფილებაში ან დაკავების დაწესებულებაში და კრძალავს პირის ნებისმიერი ფორმით (ოფიციალური ან არაოფიციალური) გამოკითხვას მის გადაყვანამდე პოლიციის უფლებამოსილ განყოფილებაში ან დაკავების დაწესებულებაში.
4. კანონი და/ან რეგულაცია უნდა განსაზღვრავდეს, რომ დაკავებული ან დაპატიმრებული პირის მიყვანა მოხდეს მხოლოდ პოლიციის განყოფილებაში ან შესაბამის დაკავების დაწესებულებაში უფლებამოსილი პირის მიერ, რომელსაც არ ექნება კავშირი გამოძიებასთან და მიიღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი, განსაზღვრული კანონიერი კრიტერიუმების შესაბამისად და ამის თაობაზე შეადგენს სანდო და გადამოწმებად დოკუმენტს.

141. იხილეთ ედ კეიპი და ზაზა ნამორაძე, ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვა აღმოსავლეთ ევროპაში (Soros Foundation-Moldova, 2012), თავი 9 და ედ კეიპი, ზაზა ნამორაძე, რ. სმიტი და ტ. სპრონკენი ეფექტური სისხლისსამართლებრივი დაცვა ევროპაში (Intersentia, Antwerp 2010). იხილეთ ასევე J. Blackstock, E. Cape, J. Hodgson, A. Ogorodova and T. Spronken, Inside Police Custody: An Empirical Account of Suspect's Rights in Four Jurisdictions (Intersentia, Antwerp 2014), esp. pp.441-443.

5. უნდა არსებობდეს პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს ექვმიტანილის დაკავებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის ერთად იყოს თავმოყრას ისეთი ფორმით, რომ მისი გაცნობა შესაძლებელი იყოს ექვმიტანილის და/ან მისი ადვოკატისთვის.

3. ინფორმაციის მიღების უფლება

სისხლის სამართლის სამართალწარმოების ადრეულ ეტაპზე ინფორმაციის მიღების უფლებას რიგი ცალკეული კომპონენტები აქვს: (1) ინფორმაცია საპროცესო უფლებების შესახებ; (2) ინფორმაცია დაპატიმრების ან/და დაკავების მიზეზების შესახებ; და (3) ინფორმაცია დანაშაულის შესახებ, რომელიც სავარაუდოდ ჩაიდინა ექვმიტანილმა. ჩვენ განვიხილავთ პირველ ელემენტს.

საპროცესო უფლებების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება პირდაპირ არ არის განსაზღვრული ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციაში, მაგრამ არსებობს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა, რომლის მიხედვით ხელისუფლების ორგანოებს აქვთ პოზიტიური ვალდებულება, მიაწოდონ ექვმიტანილებისა და ბრალდებულებს ინფორმაცია იურიდიული კონსულტაციისა და უფასო იურიდიული დახმარების უფლების შესახებ (თუ ამისთვის შესაბამისი პირობები შესრულებულია¹⁴²). პირმა უნდა მიიღოს ინფორმაცია დუმის უფლების შესახებ, ამ უფლების წარმოშობის შემთხვევაში¹⁴³. ხელისუფლების ორგანოებმა უნდა მიიღონ ყველა გონივრული ზომა იმისათვის, რომ ექვმიტანილები სრულად იყვნენ ინფორმირებულნი მათი უფლებების შესახებ და, რამდენადაც შესაძლებელია, აცნობიერებდნენ დაკითხვის პროცესში მათი ქცევის შედეგებს¹⁴⁴. ევროკავშირის დირექტივა სისხლის სამართლის სამართალწარმოებისას ინფორმაციის მიღების უფლების შესახებ განსაზღვრავს, რომ ექვმიტანილს ან ბრალდებულს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია საპროცესო უფლებების შესახებ: ადვოკატის და საჭიროების შემთხვევაში, უფასო იურიდიული დახმარების მიღების უფლება, ბრალდების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6-ე მუხლის შესაბამისად), თარჯიმნის მომსახურების და დოკუმენტების თარგმანის უფლება. ეს მოქმედებს განურჩევლად იმისა, დაპატიმრებული ან დაკავებულია თუ არა პირი, მაგრამ თუ პირი დაკავებული ან დაპატიმრებულია, მას უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ამ და სხვა უფლებების შესახებ მარტივი და გასაგები ენით. ნებისმიერ შემთხვევაში ინფორმაცია

142. ECtHR 10 აგვისტო 2006, Padalo v Bulgaria, No. 54784/00; და ECtHR 27 მარტი 2007, TalatTunc v Turkey, No. 32432.96.

143. ECtHR 18 თებერვალი 2011, Zaichenko v Russia, No. 39660/02.

144. ECtHR 11 დეკემბერი 2008, Panovits v Cyprus, No. 4268/04; ECtHR 31 March 2009, Plonka v Poland, No. 20310/02; და ECtHR 24 სექტემბერი 2009, Pishchalnikov v Russia, No. 7025/04.

„დაუყოვნებლივ“ უნდა იქნას მიწოდებული¹⁴⁵.

გარკვეულ დეტალებში განსხვავების მიუხედავად, სამივე ქვეყნის კანონმდებლობა განსაზღვრავს, რომ ეჭვმიტანილ ან დაკავებულ პირს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია საპროცესო უფლებების შესახებ. მაგალითად, უკრაინაში ეს უნდა გააკეთოს „კომპეტენტური ორგანოს წარმომადგენელმა“, როდესაც აკავებს პირს. ამასთან, დაკავებულ პირს სტანდარტული წერილობითი ფორმით უნდა ეცნობოს მისი უფლებების შესახებ. მოლდოვაში კანონი მოითხოვს, რომ პოლიციამ მიაწოდოს ინფორმაცია ეჭვმიტანილს მისი უფლებების შესახებ ისევე, როგორც ეს საქართველოს კანონმდებლობით რეგულირდება.

თუმცა, ამ ვალდებულების პრაქტიკაში განხორციელება სამივე ქვეყანაში რთული აღმოჩნდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, როდესაც ეჭვმიტანილებს „არაფორმალურად“ აკავებენ და აპატიმრებენ ან მათ ეპყრობიან, როგორც ადმინისტრაციული წესით დაკავებულებს ან მოწმეებს, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათ მიაწვდიან ინფორმაციას საპროცესო უფლებების შესახებ. უკრაინაში სავალდებულოდ არის მიჩნეული „უფლებათა წერილის“ გადაცემა, თუმცა მიწოდებული ინფორმაცია ძალზედ ნომინალურია. მოლდოვაში არ არის რაიმე ვალდებულება „უფლებათა წერილთან“ დაკავშირებით და მკვლევარებმა დაადგინეს, რომ მიწოდებული ინფორმაცია, ჩვეულებრივ, წარმოადგენდა ამონარიდს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან, რომელიც, რა თქმა უნდა, ოფიციალურ ენაზე იყო დაწერილი. უკრაინაში ინფორმაციას უფლებების შესახებ იშვიათად აწვდიდნენ დაკავების დროს და როდესაც აწვდიდნენ, ინფორმაცია ხშირად არ შეესაბამებოდა კანონმდებლობას. ინფორმაციას უფლებების შესახებ საქართველოში და მოლდოვაშიც იშვიათად აწვდიდნენ დაკავებისას. მიუხედავად იმისა, რომ მოლდოვის კანონმდებლობით სავალდებულოა დაკავების შემდეგ პირის დაუყოვნებლად ინფორმირება საპროცესო უფლებების შესახებ, მკვლევარების თქმით, პოლიცია ამას რაც შეიძლება გვიან, ხშირად პირველი დაკითხვის შემდეგაც კი აკეთებს. სამიდან არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს რაიმე მოთხოვნა ან მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ მიწოდებული ინფორმაცია სრულიად გასაგები იყოს ეჭვმიტანილისთვის.

სხვა იურისდიქციების გამოცდილება უჩვენებს, რომ ეჭვმიტანილის საპროცესო უფლებების შესახებ ინფორმირების ვალდებულების პრაქტიკაში ეფექტურად განხორციელება მოითხოვს დეტალურ რეგულაციებსა და ოქმებს, სადაც განისაზღვრება, თუ ვინ ან როდის უნდა მიაწოდოს აღნიშნული ინფორმაცია; ასევე, სტანდარტულ „უფლებათა წერილს“, რომელიც მარტივად შეიძლება იქნას

145. EU Directive on the right to information, Arts.3 and 4.

ადაპტირებული განსაკუთრებული საჭიროებების (ენობრივი, ასაკობრივი, მენტალური და სხვა) მქონე ექვმიტანილებისთვის. მაგალითად, ჰოლანდიაში ჩატარებული კვლევის მიხედვით, შეტყობინების პროცესი ფერხდებოდა, რადგან ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება გაყოფილი იყო პოლიციასა და პროკურატურას შორის, ხოლო შოტლანდიაში უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების სტანდარტი რამდენადმე გაუგებარი იყო¹⁴⁶. ინფორმაციის მიღების უფლების ეფექტურად განხორციელებისათვის საჭიროა შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

1. კანონი ცალსახად უნდა განსაზღვრავდეს, რა ვითარებაში უნდა აცნობონ ექვმიტანილს მისი საპროცესო უფლებების შესახებ. ზოგი უფლების, მაგალითად, დუმილის უფლების შესახებ პირს დაკავების მომენტში უნდა აცნობონ, ხოლო სრული ინფორმაცია უფლებების შესახებ უნდა გადაეცეს პოლიციის განყოფილებაში ან დაკავების ადგილზე მიყვანისთანავე.
2. კანონი ნათლად უნდა განსაზღვრავდეს, ვინ (ოფიციალური პირი) არის პასუხისმგებელი ექვმიტანილის ინფორმირებაზე საპროცესო უფლებების შესახებ. იდეალურ შემთხვევაში, ეს უნდა იყოს ექვმიტანილის პოლიციის განყოფილებაში ან დაკავების ადგილზე გადაყვანის უფლებამოსილების მქონე ოფიცერი.
3. უნდა შემუშავდეს რეგულაცია ან პროტოკოლი, რომელიც ნათლად განსაზღვრავს, თუ რა ფორმით უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ექვმიტანილს და მოსთხოვს ხელისუფლების წარმომადგენელს, საჭიროების შემთხვევაში განუმარტოს მას აღნიშნული ინფორმაცია და გადაამოწმოს, რამდენად გაიგო ის ექვმიტანილმა.
4. უნდა შეიქმნას სტანდარტული „უფლებათა წერილი“, რომელსაც დაერთვება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ექვმიტანილებისთვის ადაპტირებული სტანდარტული შეტყობინება, სადაც მარტივი და გასაგები ენით იქნება გადმოცემული კანონით განსაზღვრული საპროცესო უფლებები.
5. უნდა შემუშავდეს მექანიზმი, რომლის მეშვეობით შემოწმდება როდის და რა ვითარებაში მიიღო ექვმიტანილმა ინფორმაცია საპროცესო უფლებების შესახებ, ასევე, ჩაიწერება ექვმიტანილის პასუხები (მაგალითად, გაიგო თუ არა ინფორმაცია ან რა გადაწყვიტა, მაგალითად, ადვოკატის

146. J. Blackstock, E. Cape, J. Hodgson, A. Ogorodova and T. Spronken, Inside Police Custody: An Empirical Account of Suspect's Rights in Four Jurisdictions (Intersentia, Antwerp 2014), pp.433-435.

მომსახურების მიღების უფლების განხორციელებასთან დაკავშირებით).

4. დაცვის უფლება და უფასო იურიდიული დახმარება

კონვენციის მე-6 (3)(c) მუხლი სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ პირს ანიჭებს უფლებას, თავად დაიცვას თავი ან შეარჩიოს დამცველი; თუ მას არ აქვს იურიდიული მომსახურების ღირებულების გადახდის საშუალება, მას შეუძლია უფასო დახმარების მიღება მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე. ზემოთ აღინიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია განსაზღვრავს ტერმინს - ბრალდებული, რათა დადგინდეს დრო, რომელშიც ხელისუფლების წარმომადგენლებმა ოფიციალურად უნდა აცნობონ პირს, რომ ბრალი ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში. მაშასადამე, პირს უფლება აქვს მოითხოვოს ადვოკატი დაკავებისთანავე ან, რიგ შემთხვევებში, დაკავებამდე¹⁴⁷, ამასთან, მას საშუალება უნდა ჰქონდეს ნებისმიერ დროს გაესაუბროს ადვოკატს არა უგვიანეს პირველი დაკითხვისა¹⁴⁸. დაცვის უფლებაზე უარის თქმა „არა მართო ნებაყოფლობითი უნდა იყოს, არამედ უნდა წარმოადგენდეს გაცნობიერებულ და ინფორმირებულ უარს დაცვის უფლებაზე. მანამ, სანამ ბრალდებული განაცხადებს, რომ მან პირდაპირ, მისი ნების საფუძველზე უარი თქვა მე-6 მუხლით გარანტირებულ მნიშვნელოვან უფლებაზე, უნდა დადასტურდეს, რომ მან გონივრულად განჭვრიტა, რა შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა მის ამ ქმედებას¹⁴⁹. ეჭვმიტანილს უნდა ჰქონდეს ადვოკატთან განმარტოების საუბრის შესაძლებლობა¹⁵⁰, მას უფლება აქვს, დაისწროს ადვოკატი პირველ დაკითხვაზე¹⁵¹. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხაზს უსვამს იურიდიული დახმარების მნიშვნელობას თვით ინკრინინირების თავიდან აცილების თვალსაზრისით და ადგენს, რომ ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს ეჭვმიტანილის სათანადო იურიდიული მხარდაჭერა. კერძოდ, მიიღოს მისგან შესაბამისი ინსტრუქციები, მოამზადოს დაკითხვისთვის და დაეხმაროს მას¹⁵². ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით ინტერპრეტირებული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნები ასახულია ადვოკატის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის შესახებ ევროკავშირის დირექტივაში.

რაც შეეხება უფასო იურიდიულ დახმარებას (სახელმწიფოს მიერ დახმარება უფასო იურიდიული დახმარების საფასურის

147. იხილეთ მაგალითად , ECtHR 8 თებერვალი 1996, John Murray v UK, No. 18731/91, and ECtHR 18 February 2010, Zaichenko v Russia, No. 39660/02.

148. ECtHR, Grand Chamber, 27 ნოემბერი 2008, Salduz v Turkey, No. 36391/02.

149. ECtHR 24 სექტემბერი 2009, Pishchalnikov v Russia, No. 7025/04.

150. ECtHR 16 დეკემბერი 1992, Niemietz v Germany, A 251-B.

151. ECtHR 21 ივნისი 2011, Mader v Coratia, No. 56185/07; ECtHR 28 June 2011, Sebalj v Croatia, No. 4429/09.

152. ECtHR 13 ოქტომბერი 2009, Dayanan v Turkey, No. 7377/03.

სახით), ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 (3)(c) განმარტავს, რომ აღნიშნული უფლება წარმოიშვება ორი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში: (ა) პირს არ აქვს მომსახურების ღირებულების დაფარვის შესაძლებლობა; და (ბ) აღნიშნულის განხორციელება მართლმსაჯულების ინტერესებშია (საქმის არსებითი მხარე). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზუსტად არ განმარტავს ვითარებას, როდესაც უფლება წარმოიშვება, თუმცა საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებით ითვალისწინებს სამ ფაქტორს: სავარაუდო დანაშაულის სერიოზულობა და პოტენციური სასჯელის სიმძიმე, საქმის კომპლექსურობა და ბრალდებულის სოციალური და პირადი მდგომარეობა¹⁵³. ევროკავშირი არის იურიდიული დახმარების შესახებ დირექტივის შემუშავების პროცესში, რომელიც, სავარაუდოდ, უზრუნველყოფს პოლიციის განყოფილებაში დაკავებული ეჭვმიტანილების ავტომატურ დაშვებას იურიდიულ დახმარებაზე¹⁵⁴.

კვლევაში განხილულ სამივე ქვეყანაში არის კანონები, რომლებიც უზრუნველყოფს ადვოკატის მომსახურებისა და იურიდიული დახმარების მიღების უფლებას სისხლის სამართლის სამართალწარმოების საგამოძიებო ეტაპზე. უკრაინაში ნებისმიერ დაკავებულ პირს აქვს ადვოკატის მომსახურების მიღების უფლება, ხოლო გარკვეული კატეგორიის დანაშაულზე ეჭვის არსებობის შემთხვევაში, უფასო იურიდიული დახმარება სავალდებულოა. უფასო იურიდიული დახმარება გარანტირებულია დაკავებიდან 72 საათის განმავლობაში და შესაბამისმა კომპეტენტურმა პირმა უნდა აცნობოს დაკავებულს უფასო იურიდიული დახმარების მიღების უფლების შესახებ. მსგავსი კანონები მოქმედებს მოლდოვაშიც, სადაც, ასევე, გარანტირებულია კლიენტისა და ადვოკატის განმარტოებით კონსულტაციები და დაწესებულია სანქციები აღნიშნული უფლების დარღვევისათვის. საქართველოში სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი უზრუნველყოფს ადვოკატის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობას და მოითხოვს, რომ ეჭვმიტანილებმა დაკავებისას მიიღონ ინფორმაცია ამ უფლების შესახებ. მაშასადამე, სამივე ქვეყნის კანონმდებლობა შესაბამისობაშია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტებთან იურიდიული კონსულტაციებისა და უფასო იურიდიული დახმარების შესახებ.

ბოლო წლებში ნორმატიული სტანდარტები სამივე ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. თუმცა, ამ სტანდარტების პრაქტიკაში განხორციელების თვალსაზრისით, მკვლევარებმა არა ერთი პრობლემა აღმოაჩინეს, რომელთა უმრავლესობა მეორდებოდა სხვადასხვა იურისდიქციაში. ეს დეტალურად არის განსაზღვრული

153. ECtHR 24 მისი 1991, Quaranta v Switzerland, No. 12744/87.

154. Proposal for a Directive of the European Parliament and of the Council on provisional legal aid for suspects or accused persons deprived of liberty and legal aid in European arrest warrant proceedings – General approach, Brussels, 26 February 2015, DROIEN 20 COPEN 62 CODEC 257.

თითოეული ქვეყნის შესაბამის ანგარიშში. აქ განვიხილავთ ხუთ ძირითად საკითხს, რომელიც ხშირად გვხვდება. უნდა გვახსოვდეს, რომ არაფორმალური დაპატიმრების/დაკავების და ეჭვმიტანილის საპროცესო უფლებების განხორციელების გვერდის ავლა უარყოფით გავლენას ახდენს ნორმატიული სტანდარტების პრაქტიკაში განხორციელებაზე.

დროული ხელმისაწვდომობა ადვოკატის მომსახურებაზე - ამ უფლების ეფექტურად განხორციელებისათვის საჭიროა ეჭვმიტანილის დაუყოვნებლივ ინფორმირება აღნიშნული უფლების შესახებ და, მისი სურვილის შემთხვევაში, ადვოკატთან დაკავშირება. ამასთან, საჭიროა უფასო იურიდიულ მომსახურებაზე სასწრაფო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მექანიზმი (სადაც ეს ავტომატურად არ ხდება) და სქემა, რომლის მიხედვით ადვოკატი ეჭვმიტანილის მიერ შეტყობინებიდან უმოკლეს ვადაში გამოცხადდება. მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ეს მოთხოვნები ხშირად არ კმაყოფილდებოდა უკრაინასა და საქართველოში. როგორც აღინიშნა, უკრაინაში ეჭვმიტანილებს ხშირად სათანადოდ არ აწვდიდნენ ინფორმაციას, ამას კიდევ უფრო ამძიმებდა ის ფაქტი, რომ საქმეების ორ მესამედზე მეტის შემთხვევაში პოლიციის მიერ უფასო იურიდიული სამსახურის შეტყობინება დაკავების შესახებ რამდენიმე საათის დაგვიანებით ხდებოდა. საქართველოში კანონი განსაზღვრავს ორ დღიან ვადას უფასო იურიდიული მომსახურების მიღების შესახებ განცხადების განხილვისთვის, რაც პრაქტიკაში ნიშნავს, რომ, თუ ეჭვმიტანილი კერძოდ არ მოიწვევს ადვოკატს, სავარაუდოდ, ის ვერ დაინიშნება პოლიციის მიერ ეჭვმიტანილის პირველ დაკითხვამდე ან სხვა საგამოძიებო ზომების გატარებამდე.

პოლიციის მიერ პირის დაკითხვა ადვოკატის დასწრების გარეშე - სამივე ქვეყანაში კანონი უზრუნველყოფს პოლიციის მიერ ეჭვმიტანილის დაკითხვისას ადვოკატის დასწრების უფლებას. თუმცა, პრაქტიკაში ხშირად თავს არიდებენ ამ უფლების განხორციელებას. უკრაინაში გამოვლინდა, რომ საქმეების თითქმის ნახევრის შემთხვევაში პირველი დაკითხვა ადვოკატის გარეშე მიმდინარეობდა. ხშირად პოლიცია ისეთ დროს ნიშნავდა პირველ დაკითხვას, რომ ადვოკატი ვერ დაესწრებოდა. ჩვენ დავინახეთ, რომ უკრაინაში ხშირად ვითარებას ამძიმებდა პოლიციის მიერ პირების არაფორმალური დაკავების ფაქტები. მსგავსი პრობლემა გამოვლინდა მოლდოვაშიც, სადაც პოლიცია არაფორმალურად კითხავდა ეჭვმიტანილს დაკავების შემდეგ, პატიმრობის შესახებ ოფიციალური დოკუმენტის გაფორმებამდე. ასეთ პირობებში ეჭვმიტანილების დაკითხვა ადვოკატის გარეშე ხდება; მეტიც, უფასო იურიდიული დახმარების მიღების უფლების გაცნობამდე.

უარი უფასო იურიდიული დახმარების უფლება - ეს საკითხი ბევრ იურისდიქციაშია პრობლემატურია, რადგან ვითარება, რომელშიც ეჭვმიტანილმა ადვოკატი უნდა მოითხოვოს, რამდენადმე რთულად შესასწავლია; და როგორც აღმოჩნდა, პოლიცია ხშირად მიმართავს სხვადასხვა ხერხს, რათა ეჭვმიტანილებს უარი ათქმევინოს აღნიშნული უფლებით სარგებლობაზე¹⁵⁵. საქართველოში შესწავლილი საქმეების 80 პროცენტში აქვთ ეჭვმიტანილებს ნათქვამი უარი ადვოკატის მომსახურებაზე. ამის მიზეზი, ერთის მხრივ, არის არცოდნა, რომ ადვოკატის მომსახურების მიღება შესაძლებელია და მეორეს მხრივ - პოლიციის დამოკიდებულება; მოლდოვაში აღმოვაჩინეთ, რომ პოლიცია ხშირად ცდილობს ეჭვმიტანილს გადააფიქრებინოს ადვოკატის დახმარების მიღების უფლების გამოყენება. მაგალითად, ეუბნება, რომ ეს ძვირი ეღირება.

ადვოკატისა და კლიენტის განმარტობით გასაუბრება - ეს უფლება მოითხოვს, რომ ეჭვმიტანილს შეეძლოს პოლიციის მეთვალყურების გარეშე ადვოკატთან შეხვედრა. ეს მოთხოვნა ითვალისწინებს შესაბამისი სივრცის არსებობას პოლიციის განყოფილებებსა და დაკავების ადგილებში, სადაც აღნიშნული კონსულტაციები პოლიციის ჩარევის გარეშე შედგება. მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ უკრაინაში ასეთი სივრცის ნაკლებობაა და ხშირად კონსულტაციები კლიენტსა და ადვოკატს შორის იმართება პოლიციის განყოფილების დერეფანში ან გამომძიებლის ოფისში. მოლდოვაშიც იგივე ვითარება აღმოჩნდა. შესწავლილი საქმეების უმრავლესობაში, კონსულტაციები ადვოკატსა და კლიენტს შორის მიმდინარეობდა განყოფილების დერეფანში სხვა ადამიანების და პოლიციის იმ ოფიცრების თანდასწრებით, რომლებმაც ეჭვმიტანილი დააკავეს და მათ ნებისმიერ დროს ჩარევაც კი შეეძლოთ. მეორეს მხრივ, საქართველოში არსებობს ადვოკატის მიერ კლიენტის კონსულტირებისთვის სპეციალური ოთახები.

უფასო იურიდიული დახმარების ხარისხი - დაკავებული ეჭვმიტანილისათვის გაწეული იურიდიული დახმარების ხარისხი პრობლემატური საკითხი აღმოჩნდა ბევრ იურისდიქციაში¹⁵⁶, რაც, ასევე, თვალნათელია კვლევაში განხილულ ქვეყნებში. როგორც აღმოჩნდა, უკრაინაში ხშირად კლიენტები ითხოვდნენ ადვოკატს, მაგრამ ისინი არ მიდიოდნენ, თუმცა როდესაც მიდიოდნენ, მაშინაც

155. იხილეთ მაგალითად, J. Blackstock, E. Cape, J. Hodgson, A. Ogorodova and T. Spronken, Inside Police Custody: An Empirical Account of Suspect's Rights in Four Jurisdictions (Intersentia, Antwerp 2014), pp. 273-274.

156. იხილეთ მაგალითად, ედ კეიპი, ზაზა ნამორადე, რ. სმიტი და ტ. სპრონკენი ეფექტური სისხლისმართლებრივი დაცვა ევროპაში (Intersentia, Antwerp 2010), pp.588-589; E. Cape and Z. Namoradze, Effective Criminal Defence in Eastern Europe (Soros Foundation-Moldova, 2012), pp. 450-452; J. Blackstock, E. Cape, J. Hodgson, A. Ogorodova and T. Spronken, Inside Police Custody: An Empirical Account of Suspect's Rights in Four Jurisdictions (Intersentia, Antwerp 2014), pp. 446-448.

Adopted by the UN General Assembly on 20 December 2012. The Principles and Guidelines are available via <http://www.unodc.org/unodc/en/justice-and-prison-reform/tools.html?ref=menuaside>.

მხოლოდ მოკლე კონსულტაციებით იფარგლებოდნენ და ფორმალურ როლს ასრულებდნენ დაკითხვებზე. იგივე სურათია მოლდოვაშიც. უმეტეს შემთხვევაში ადვოკატებს ჰქონდათ „სტანდარტული“ დამოკიდებულება, ყოველგვარი ინდივიდუალური მიდგომის გარეშე. ბევრი ადვოკატი პასიური იყო პოლიციის მიერ დაკითხვის პროცესში და ვერ ახერხებდა კომპეტენტური იურიდიული დახმარების უზრუნველყოფას სათანადო ცოდნისა და უნარების არ ქონის გამო.

ადვოკატის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უფლების პრაქტიკული განხორციელება გამოძიების ეტაპზე ყველა იურისდიქციაში გამოწვევაა. მკვლევარებმა კვლევის ფარგლებში სამივე ქვეყნისათვის დამახასიათებელი მსგავსი პრობლემები გამოავლინეს. სისხლის სამართლის სისტემებში¹⁵⁷ უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის შესახებ გაეროს პრინციპების და ინსტრუქციების განხორციელებაში ქვეყნების მხარდასაჭერად, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურომ გამოსცა სახელმძღვანელო, რომელიც განმარტავს სისხლის სამართლის სამართალწარმოების საგამოძიებო ეტაპზე ადვოკატის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის საკითხს¹⁵⁸. იმისათვის, რომ ამ კვლევაში განხილული ქვეყნების საკანონმდებლო ჩარჩოები შესაბამისობაში იყოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტებთან, შემდეგი ფაქტორები უნდა იქნას გათვალისწინებული:

1. უნდა შეიქმნას პროცედურები და მექანიზმები ეჭვმიტანილის მიერ ადვოკატის მომსახურებაზე თანხმობის ან უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველ-საყოფად (მაგალითად, გადაწყვეტილების მიღების პროცესს უნდა გაუძღვეს ოფიცერი, რომელიც არ არის ჩართული იმ დანაშაულის გამოძიებაში, რომლის გამოც არის დაკავებული ან დაპატიმრებული ეჭვმიტანილი და პროცესი წარიმართოს აუდიო/ვიზუალური ჩანერის თანხლებით).
2. უნდა შემუშავდეს პროცედურები, რათა უზრუნველყოფილი იქნას ადვოკატის ან კომპეტენტური ორგანოს დაუყოვნებელი ინფორმირება ეჭვმიტანილის გადაწყვეტილების შესახებ, სურს თუ არა ადვოკატი. აგრეთვე, სასწრაფოდ უნდა იქნას მიღებული გადაწყვეტილება უფასო იურიდიული დახმარების შესახებ.
3. კანონმა ნათლად უნდა განსაზღვროს, რა ვითარებაში უნდა

157. Adopted by the UN General Assembly on 20 December 2012. The Principles and Guidelines are available via <http://www.unodc.org/unodc/en/justice-and-prison-reform/tools.html?ref=menuside>.

158. UNODC, Early access to legal aid in criminal justice processes: a handbook for policymakers and practitioners (UNODC/UNDP, New York 2014).

განახორციელოს ექვმიტანილმა ადვოკატის მომსახურების მიღების უფლება გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა და რომ არავითარი დაკითხვა არ ჩატარდეს, ვიდრე ექვმიტანილი ადვოკატთან გასაუბრებას არ მოახერხებს¹⁵⁹.

4. უზრუნველყოფილი უნდა იქნას სივრცე ექვმიტანილისა და ადვოკატის განმარტოებით საუბრისთვის.
5. კომპეტენტურმა ორგანოებმა (ადვოკატთა ასოციაცია, იურიდიული დახმარების ორგანოები იუსტიციის სამინისტრო) უნდა შეიმუშაონ ერთიანი წესი ადვოკატის მიერ პოლიციაში მყოფი ექვმიტანილის კონსულტირებისთვის, რომელიც ნათლად უნდა განიმარტოს ქცევის სტანდარტებით. ადვოკატებს, რომლებიც უზრუნველყოფენ იურიდიულ კონსულტაციას ან უფასო იურიდიულ დახმარებას, შესაბამისი სწავლება უნდა ჩაუტარდეთ, შემოღებული უნდა იყოს მათი კომპეტენციის სავალდებულო შეფასება.

5. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ექვმიტანილების პროცედურული უფლებები

კვლევის ფარგლებში შესწავლილი იყო, თუ როგორ ხდება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირების მხარდაჭერა. კერძოდ, იმ პირების, რომლებიც არ საუბრობენ და არ ესმით ენა, აქვთ გარკვეული სამედიცინო საჭიროებები ან რაიმე თვალსაზრისით არიან მოწყვლადნი. დასკვნები მოცემულია შესაბამისი ქვეყნების ანგარიშებში. ჩვენ აქ განვიხილავთ დოკუმენტების თარგმნისა და თარჯიმნის მომსახურების მიღების უფლებას.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 5(2) და 6(3)(a) მუხლები უზრუნველყოფენ, რომ ნებისმიერი პირი, რომელიც დაკავებულია ან ბრალდებული სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის გამო, დროულად იყოს ინფორმირებული მისთვის გასაგებ ენაზე, ბრალდების საფუძველისა და ხასიათის შესახებ. მუხლი 6(3)(e) განსაზღვრავს, რომ სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ პირს აქვს უფლება, „შიილოს თარჯიმნის უფასო მომსახურება, თუ არ ესმის სასამართლოს მიერ გამოყენებული ენა“. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით ტერმინის - „ბრალდება“ განმარტების მიხედვით, მუხლი 6(3)(a) და (e) მოქმედებს იმ მომენტიდან, როდესაც პირი იღებს

159. ევროკავშირის დირექტივა ადვოკატის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის შესახებ უზრუნველყოფს გადახვევას პირველ დაკითხვამდე ადვოკატთან შეხვედრის უფლებიდან და დაკითხვაზე ადვოკატის დასწრების უფლებიდან, ეს ნებადართულია მხოლოდ შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში:

159. (ა) ადამიანის სიცოცხლის, თავისუფლების ან ფიზიკური ჯანმრთელობის მიმართ არსებული საფრთხის თავიდან აცილების მიზნით; ან (ბ) როდესაც საგამომიებო ორგანომ სასწრაფოდ უნდა აღკვეთოს სამართალწარმოების მიმართ არსებული საფრთხე (Art. 3(6)). დროებითი გადახვევა, ასევე, ნებადართულია გეოგრაფიული სიშორით გამოწვეულ გამონაკლის გარემოებებში (Art. 3(5)). იხილეთ, ასევე, მერვე მუხლიდან დროებითი გადახვევის ზოგადი პირობები.

შეტყობინებას, რომ მან ჩაიდინა დანაშაული¹⁶⁰. ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართალი განსაზღვრავს, რომ კომპეტენტურმა ორგანომ მიიღოს გადაწყვეტილება დოკუმენტების თარგმნის ან თარჯიმნის მომსახურების საჭიროების შესახებ¹⁶¹. დოკუმენტების ზეპირი თარგმანი ნებადართულია, თუ აღნიშნული შესაბამისი დოკუმენტის შინაარსსა და მის შედეგებს გასაგებს გახდის ბრალდებულისთვის. თარგმანი საშუალებას უნდა აძლევდეს ბრალდებულს, გაიგოს მის წინააღმდეგ დაწყებული საქმის შინაარსი და შეძლოს თავის დაცვა¹⁶². უნდა აღინიშნოს, რომ ეს უფლება არ შემოიფარგლება იმ ადამიანებით, რომლებსაც არ ესმით ან ვერ საუბრობენ სასამართლოს ენაზე, რადგან ის მათი მშობლიური (ან ერთადერთი) ენა არ არის, არამედ ვრცელდება იმ ადამიანებზეც, რომლებსაც არ ესმით ან ვერ საუბრობენ სასამართლოს ენაზე მეტყველების ან სმენის პრობლემების გამო. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში ასახული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებით, განსაზღვრულია ევროკავშირის დირექტივით დოკუმენტების თარგმნისა და თარჯიმნის მომსახურების შესახებ. კერძოდ, დირექტივა მოითხოვს თარგმანის საჭიროების განსაზღვრის სპეციალურ პროცედურას¹⁶³, რათა ადვოკატსა და კლიენტს შორის კონსულტაციის პროცესში უზრუნველყოფილ იქნას თარგმანი¹⁶⁴, და სახელმწიფომ გაატაროს კონკრეტული ზომები დოკუმენტების თარგმნისა და თარჯიმნის მომსახურების ხარისხის გარანტირებისათვის¹⁶⁵.

სამივე ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უზრუნველყოფს დოკუმენტების თარგმნის და თარჯიმნის მომსახურების მიღების უფლებას. ზოგადად, ეს შესაბამისობაშია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტებთან, მაგრამ არ ვრცელდება დოკუმენტების თარგმნისა და თარჯიმნის მომსახურების შესახებ ევროკავშირის დირექტივის რიგ მოთხოვნებზე. კერძოდ, არცერთ ქვეყანაში არ უზრუნველყოფს კანონი სპეციალურ პროცედურას ეჭვმიტანილისათვის თარგმანის საჭიროების დასადგენად, ხოლო უკრაინასა და საქართველოში დოკუმენტებისა და თარჯიმნის მომსახურების ხარისხი არ რეგულირდება. მოლდოვაში კი პირიქით, კონკრეტული კანონმდებლობა უზრუნველყოფს, რომ თარგმანი იყოს სრულყოფილი, ზუსტი და დროული, ამასთან აწესებს სანქციებს ამ მოთხოვნების განზრახ დარღვევისთვის¹⁶⁶. უკრაინაში

160. იხილეთ მაგალითად , ECtHR 28 ნოემბერი 1978, Luedicke, Belkacem and Koc v Germany, Nos. 6210/736877/75, 7132/75.

161. ECtHR 24 სექტემბერი 2002, Cuscani v UK, No. 32771/96.

162. ECtHR 18 ოქტომბერი 2006, Hermi v Italy, No. 18114/02.

163. Art. 2(4).

164. Art. 2(2), ეს კავშირშია დაკითხვებსა და მოსმენებთან სისხლის სამართალწარმოებისას ან აპელაციასა და სხვა პროცედურულ მოქმედებებთან

165. Art. 5(1).

166. კანონი თარჯიმნების ავტორიზაციისა და ანაზღაურების შესახებ.

არ არსებობს რაიმე სამართლებრივი მოთხოვნა დაკავებასთან ან დაპატიმრებასთან დაკავშირებული დოკუმენტის შესაბამის ენაზე წარდგენასთან დაკავშირებით.

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა მნიშვნელოვანი სირთულებები სამართლებრივი ნორმების განხორციელებასთან დაკავშირებით. მათი უმრავლესობა სამივე ქვეყნის იურისდიქციისათვის იყო დამახასიათებელი¹⁶⁷; არც ერთ ქვეყანაში არ იყო ნათლად განსაზღვრული პროცედურა ან კრიტერიუმი იმის დასადგენად, საუბრობდა ან ესმოდა თუ არა ეჭვმიტანილს შესაბამისი ენა. მაშინაც კი, თუ გამოიკვეთებოდა თარგმანის საჭიროება, უზრუნველყოფა ხდებოდა მხოლოდ ერთჯერადი გადაწყვეტილების საფუძველზე და ხშირად თავად გამომძიებლები ცდილობდნენ თარგმნას (მოლდოვაშიც კი, სადაც ასეთი რამ კანონს ეწინააღმდეგება) ან პროცედურები თარგმნის ან თარჯიმნის გარეშე მიმდინარეობდა. აღნიშნულს მეტწილად განაპირობებდა თარჯიმანთან ან მთარგმნელთან დაკავშირების პროცედურის არ არსებობა; ყოველ იურისდიქციაში გამომძიებელი იყო პასუხისმგებელი თარჯიმნის მოძიებაზე. საქართველოსა და უკრაინაში აღნიშნულს ამძიებდა სირთულებები, რომელსაც პოლიცია აწყდებოდა თარგმნის ან თარჯიმნის მომსახურების ხარჯის დაფარვისას. უკრაინაში გამოვლინდა შემთხვევები, როცა ხანდახან გამომძიებლები საკუთარი ჯიბიდან უხდიდნენ თარჯიმნებს და მთარგმნელებს. მოლდოვაში კანონი ითხოვს ხარისხის რეგულირებას, თუმცა პრაქტიკაში ეს არ ფუნქციონირებს. უკრაინასა და საქართველოში არ არსებობდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. ადვოკატსა და კლიენტს შორის გამართულ კონსულტაციებზე თარგმანი გარკვეულ სირთულებებთან იყო დაკავშირებული.

დოკუმენტების თარგმნის და თარჯიმნის მომსახურების მარეგულირებელი კანონმდებლობის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ნორმებთან შესაბამისობისა და პრაქტიკაში აქტიურად მოქმედების უზრუნველსაყოფად, უნდა განხორციელდეს შემდეგი ინიციატივები:

1. შემუშავდეს პროცედურა და განისაზღვროს კრიტერიუმი, რითაც თარგმნის (შესაბამის ენაზე) საჭიროება ეფექტურად და თანმიმდევრულად შეფასდება. საუკეთესო შემთხვევაში პროცედურა უნდა ჩაატაროს ოფიცერმა, რომელიც არ არის დაკავშირებული გამოძიებასთან.
2. შემუშავდეს სქემა, რომელიც უზრუნველყოფს სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში მონაწილე თარჯიმნების

167. იხილეთ მაგალითად, J. Blackstock, E. Cape, J. Hodgson, A. Ogorodova and T. Spronken, Inside Police Custody: An Empirical Account of Suspect's Rights in Four Jurisdictions (Intersentia, Antwerp 2014), ch. 4. However, good procedures and practices for identifying the need for interpretation/translation, and for assuring quality, were found in England and Wales.

და მთარგმნელების შესაბამისობას მინიმალური ხარისხის კრიტერიუმებთან. ასევე, უნდა შეიქმნას აკრედიტებული თარჯიმნებისა და მთარგმნელების რეესტრი.

3. შეიქმნას პროცედურა, რომელიც საშუალებას მისცემს პოლიციას და სხვა საგამოძიებო ორგანოებს, დროულად დაუკავშირდნენ შესაბამის თარჯიმანს.
4. რაკი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლი 6(3)(e) უზრუნველყოფს „უფასო“ თარგმნისა და თარჯიმნის მომსახურების მიღების უფლებას, უნდა შეიქმნას სპეციალური ბიუჯეტი პოლიციაში ან სხვა საგამოძიებო ორგანოში ან შესაბამის სამინისტროში, საიდანაც ანაზღაურდება აღნიშნული ხარჯი. ბიუჯეტი უნდა იძლეოდეს მთარგმნელებისა და თარჯიმნების შესაბამისი ნიხრით ანაზღაურების საშუალებას.
5. ნებისმიერი სქემა, რომელიც უზრუნველყოფს აკრედიტებული თარჯიმნების მომსახურების მიღებას, ღია უნდა იყოს დაცვის ადვოკატებისთვის.

6. საპროცესო უფლებების პრაქტიკაში განხორციელების გაუმჯობესება

კვლევაში განხილულ სამივე ქვეყანას მნიშვნელოვანი ნაბიჯები აქვს გადადგმული სისხლის სამართლის სამართალწარმოების საგამოძიებო ეტაპზე ეჭვმიტანილი და ბრალდებული პირების საპროცესო უფლებების რეალიზაციის გაუმჯობესების მიმართულებით. გარკვეული მნიშვნელოვანი გამოწვევების გათვალისწინებით, კანონები მიღებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამის დებულებებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. რიგ შემთხვევებში, ეს სამართლებრივი რეფორმები სხვა ევროპულ იურისდიქციებში მიღებულზე შორს წავიდა. თუმცა კვლევამ უჩვენა, რომ სერიოზული ხარვეზებია ნორმატიული სტანდარტების პრაქტიკულ განხორციელებასთან დაკავშირებით. თუ ვამბობთ, რომ მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა ეჭვმიტანილი და ბრალდებული პირების უფლებების სფეროში, მაშინ უნდა გავარკვიოთ, რატომაა განსხვავება კანონსა და პრაქტიკას შორის.

ერთი მიზეზობრივი ფაქტორი არის კანონის ნათლად განსაზღვრული დებულებების ნაკლებობა. მაგალითად, როგორც აღვნიშნეთ, კანონმა მუსტად უნდა განსაზღვროს საპროცესო უფლებების წარმოშობის მომენტი, ეჭვმიტანილის ამ უფლებების შესახებ ინფორმირებაზე პასუხისმგებელი პირი და ის, რომ დაკითხვა ვერ ჩაივლის ეჭვმიტანილის იურიდიული კონსულტირების გარეშე,

თუ მას ამის სურვილი აქვს. ასეთი კანონები უნდა გამყარდეს სამართლებრივი ვალდებულებების დარღვევის გამო დაწესებული ეფექტური სანქციებით.

მეორე ფაქტორი გახლავთ კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ხელშემწყობი რეგულაციების, პროცედურებისა და პროტოკოლების ნაკლებობა. მაგალითად, საპროცესო უფლებების შესახებ ინფორმირება უფრო ეფექტურად განხორციელდება, თუ ეროვნულ დონეზე შემუშავდება სტანდარტული „უფლებათა წერილი“, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორ და როდის უნდა იყოს ინფორმაცია მიწოდებული; და ეს არ უნდა იყოს პოლიციის ოფიცრის ინდივიდუალური გადაწყვეტილება. ადვოკატის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უკეთ გარანტირებისათვის, საჭიროა, კონკრეტულ (ამოცნობად) ოფიცერს დაეკისროს პასუხისმგებლობა ადვოკატთან ან უფასო იურიდიულ სამსახურთან დაკავშირებაზე; ამასთან, ის იქნება ანგარიშვალდებული, თუ აღნიშნული მომსახურების მიწოდება ვერ მოხდება. თარჯიმნის მომსახურების მიღების უფლება, სავარაუდოდ, უფრო ეფექტურად განხორციელდება პრაქტიკაში, თუ შემუშავდება სტანდარტული პროცედურა აღნიშნული საჭიროების იდენტიფიცირებისა და კვალიფიციურ თარჯიმანთან დაკავშირებისათვის.

პირველი ორის მსგავსად, მნიშვნელოვანი მესამე ფაქტორია სისხლისსამართლის სისტემის, კერძოდ, პოლიციის თანამშრომლების ინსტიტუციური წახალისება და პროფესიული კულტურა. ფაქტობრივად, პოლიცია უნდა იყოს საპროცესო უფლებების მთავარი დამცველი. კვლევამ უჩვენა, რომ, რიგ შემთხვევებში, პოლიციელები უარყოფენ ეჭვმიტანილის საპროცესო უფლებებს, რადგან შესაბამისი პროცედურები ან არ მოქმედებს ან მათი შესრულება რთულია. კვლევამ, ასევე, გამოავლინა, რომ ზოგი პოლიციელის სურვილი, მიზანმიმართულად აუაროს გვერდი საპროცესო უფლებებს, მეტწილად ეჭვმიტანილების არაოფიციალურად დაკავებით ან მათთვის ინფორმაციის მხოლოდ დაკითხვის შემდეგ მიწოდებით ხდება.

აღნიშნული პრობლემის მოგვარებისათვის საჭიროა შეიქმნას საზედამხედველო და დისციპლინარული პროცედურები. აგრეთვე, გაუმჯობესდეს სწავლება, რადგან გამოვლინდა, რომ სათანადო ტრენინგით შესაძლებელია საპროცესო უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება¹⁶⁸. ორივე გზა მნიშვნელოვანია, მაგრამ ასეთი ქცევის მინიმუმამდე დაყვანის ან სულაც აღმოფხვრისათვის საჭიროა გავარკვიოთ, რატომ აკეთებს ამას პოლიცია. რა თქმა უნდა,

¹⁶⁸ იხილეთ Blackstock, E Cape, J. Hodgson, A. Ogorodova, T. Spronken and M. Vanderhallen, Inside Police Custody: Training Framework on the Provision of Suspects' Rights (Intersentia, Antwerp 2014). See also the training curricula for legal aid providers and police officers in UNODC, Early access to legal aid in criminal justice processes: a handbook for policymakers and practitioners (UNODC/UNDP, New York 2014), Appendix I and II.

ჯეროვანი ყურადღება უნდა დაეთმოს წარსულის სამართლებრივ და კულტურულ კონტექსტზე დაფუძნებულ ტრადიციულ ქცევას, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია დღევანდელი ინსტიტუციური მოტივაცია. მაგალითად, დაკავებისა და მსჯავრდების მიზნები და დაწინაურების კრიტერიუმები.

ეჭვმიტანილების და ბრალდებულების საპროცესო უფლებები სამართლიანი სასამართლოს უფლების ძირითად ასპექტს წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტებთან შესაბამისობა პრაქტიკაში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმიტომ, რომ სახელმწიფოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ ეს შესაბამისობა, არამედ იმიტომ, რომ აღნიშნული აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს გარანტირებისათვის. თავის მხრივ, სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესია სოციალური ჩართულობის და კანონის უზენაესობის გარანტირებისათვის.

THE PROCEDURAL RIGHTS OF SUSPECTS IN GEORGIA

BESARION BOKHASHVILI
GIORGI MSHVENIERADZE
IRAKLI KANDASHVILI

This paper was published with the financial and technical support of the Open Society Georgia Foundation and the Open Society Justice Initiative. The views, opinions, and statements expressed by the authors and those providing comments are theirs alone and do not necessarily reflect the position of the Foundation and the Open Society Justice Initiative. Neither the Open Society Georgia Foundation nor the Open Society Justice Initiative is responsible for the content contained in this report.



CONTENTS

I. INTRODUCTION	118
II. CRIMINAL JUSTICE IN GEORGIA	121
III. THE ARREST OF AN INDIVIDUAL: THE STAGES OF INVESTIGATIONS AND TRIALS ACCORDING TO THE CRIMINAL PROCEDURE OF GEORGIA	126
THE ARREST OF AN INDIVIDUAL	128
THE STANDARDS ESTABLISHED BY THE EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS DURING AN ARREST	128
1) THE PURPOSE OF AN ARREST OR DETENTION	128
2) THE MEANING OF “REASONABLE SUSPICION”	128
3) THE TERM “OFFENCE”	129
THE ARREST PROCEDURE IN GEORGIA	129
THE FIRST FORTY-EIGHT HOURS AFTER AN ARREST	132
THE RIGHT TO INTERPRETATION AND TRANSLATION	136
INTERNATIONAL STANDARDS	136
STANDARDS IN GEORGIA	138
POLICE ARREST AND LEGAL AID IN GEORGIA (LEGISLATIVE AND PRACTICALASPECTS)	140
STANDARDS ESTABLISHED BY CASE LAW OF THE EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS	140
THE SYSTEM OF LEGAL REPRESENTATION IN GEORGIA (THE GEORGIAN BAR ASSOCIATION)	142
THE RIGHT TO LEGAL ASSISTANCE, LEGAL AID, AND COMMUNICATION UPON ARREST IN GEORGIA	147
PRACTICAL ASPECTS IDENTIFIED WHILE MONITORING	148
LEGAL AID IN CRIMINAL CASES	149
PRACTICAL IMPLEMENTATION	154
PROBLEMS RELATED TO THE EARLY ACCESS TO LAWYER IN THE CASE OF LEGAL AID IN GEORGIA	155
THE RIGHT TO INFORMATION	157
EUROPEAN STANDARDS	157
RIGHT TO INFORMATION IN GEORGIA	159

POLICE INTERROGATION AND THE RIGHT TO SILENCE	162
EUROPEAN STANDARDS ON THE INTERROGATION AND FREEDOM FROM SELF- INCRIMINATION	162
INTERROGATION OF THE PERSON AND RIGHT TO SILENCE IN GEORGIA	163
THE RIGHT TO MEDICAL ASSISTANCE	165
EUROPEAN STANDARDS	165
GEORGIAN LEGISLATION AND PRACTICE	166
SPECIAL PROTECTION FOR CHILDREN AND OTHER VULNERABLE SUSPECTS	167
INTERNATIONAL STANDARDS	167
STANDARDS IN GEORGIA	168
CONCLUSIONS AND RECOMMENDATIONS	171
THE LIST OF RECOMMENDATIONS	178
ANNEX	181
RIGHTS OF SUSPECTS IN POLICE DETENTION IN MOLDOVA	182
HUMAN RIGHTS BEHIND CLOSED DOORS (UKRAINE)	187
INSIDE POLICE CUSTODY IN EASTERN EUROPE SUSPECTS' RIGHTS IN PRACTICE IN GEORGIA, MOLDOVA AND UKRAINE	190

I. INTRODUCTION

Effective protection of the rights of arrested and/or detained persons is a precondition of any fair criminal proceeding. The Constitution of Georgia, as well as international treaties to which Georgia is a party, guarantees specific legal safeguards for the protection of each and every arrestee. The rights these documents afford are not just theoretical or illusory, but practical and effective. That every person arrested enjoy a minimum set of legal guarantees ensures that from the very first moment a person is deprived of liberty that he must be informed about the reasons and evidence for his arrest as well as his rights in a language in which he understands, must have access to legal advice and representation, and must have access to medical services. These guarantees enable a defendant to challenge the lawfulness of his arrest before administrative and judicial authorities, discontinue unlawful deprivation of liberty, and request compensation should the arrest be found unlawful. Furthermore, the guarantee of these rights from the very first moment of arrest is of the utmost importance for the following reasons:

